საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დავით ჯიქია

ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინდიკატორული მართვის მხარდამჭერი საინფორმაციო სისტემის დამუშავება

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა: ინფორმატიკა

შიფრი 0401

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, 0175, საქართველო

ივლისი, 2019 წელი

საავტორო უფლება © 2019 წელი, დავით ჯიქია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით **დავით ჯიქიას** მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: **„ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინდიკატორული მართვის მხარდამჭერი საინფორმაციო სისტემის დამუშავება“** და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის“ სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: პროფ. გურამ ჩაჩანიძე

რეცენზენტი: _____

რეცენზენტი: _____

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2019

ავტორი: **დავით ჯიქია**

დასახელება: **„ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინდიკატორული მართვის მხარდამჭერი საინფორმაციო სისტემის დამუშავება“**

სადოქტორო პროგრამა: ინფორმატიკა

ხარისხი: აკადემიური დოქტორი

სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთმოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

ჩვენს მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშნომი**"ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინდიკატორული მართვის მხარდამჭერი საინფორმაციო სისტემების დამუშავება"**, საკმაოდ აქტუალურია დღევანდელ საქართველოში არსებული მართვის არაადექვატური მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამო. აქედან გამომდინარე, ვთვლით, რომ საკვლევ თემაში დასმული პრობლემები დაჩქარებული წესით მოითხოვს გადაწყვეტას. ყოველივე ეს, გვაძლევს იმის უფლებას დარწმუნებით ვთქვათ, რომ აღნიშნული საკითხი საკმაოდ სენსიტიურია და გარკვეული ქმედითი ნაბიჯების გადადგმას და სიახლეების დანერგვას საჭიროებს ადგილობრივ თვითმმართველობაში, რაც თავისთავად მეტად აქტუალურია.

საქართველოში დღეს არსებულმა სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვის პრინციპებმა ნათლად დაგვანახა მართვის სისტემაში არსებული შავი ხვრელები. დღეს საქართველოში მოღვაწე ექსპერტთა და დონორთა აბსოლიტური უმრავლესობა საუბრობს ქვეყნის დეცენტრალიზაციაზე და უფლებამოსილების დიდი ნაწილის გადაცემაზე ადგილობრივი თვითმმართველობისთვის. მაგრამ, ამავდროულად მათთვის მეორეხარისხოვნია ის ძირითადი საკითხები, რომ დიდ უფლებებს დიდი პასუხისმგებლობები მოყვება, რომლის გადაჭრაც სწორედ იმ ქალაქის ხელმძღვანელთა პრეროგატივა და პასუხისმგებლობა ხდება.

სადისერტაციო ნაშნროში აქტიურად ვსაუბრობთ უფლებამოსილების გადაცემის აუცილებლობაზე, მაგრამ აქ უკვე იკვეთება საკითხები, თუ გადაეცათ უფლებამოსილებანი თვითმმარველობის ხელმძღვანელებს მერებს, რა პრინციპით უნდა მოხდეს მათ მიერ ამ პასუხისმგებლობის და რთული გადაწყვეტილებების მართვა? ხომ არ დაემსგავსება ეს მართვა ქაოსურს? როდესაც ხელმძღვანელის წინაშე არის პრობლემა, არსებობს ასევე ამ პრობლემის გადაჭრის გზებიც. სამწუხაროდ, ამ გზებიდან ვითომ და საუკეთესოს არჩევა ხდება ქაოტურად (საკუთარ და ხშირ შემთხვევაში მცდარ მოსარებებზე დაყრდნობით) და არა გადაწყვეტილების მიღების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

საქართველოს ისტორიიდან კარგად ვიცით დამოუკიდებლობის შემდგომ თვითმმართველობა საქართველოში არსებობის მხოლოდ სამ ათეულ წელს მოიცავს ანუ ის ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და არ არის დაზღვეული შეცდომებით და დაუგეგმავი არარაციონალური გადაწყვეტილებებით. ჩვენი ვალია მოვიძიოთ, დავამუშაოთ და დავნერგოთ მართვის ისეთი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქის მართველებს სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში.

საკვლევი თემის ძირითადი შინაარსიც ამას ემსახურება. დღევანდელ თვითმმართველობაში არის უამრავი პრობლემა და ისეთი ხასიათის საკითხები, რომლის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული ქალაქის და ქვეყნის მომავალიც. რაც ყველაზე მთავარია, ჩვენ არ გაგვაჩნია მართვის

მოქნილი სისტემები, რომელიც დაეხმარება ხელმძღვანელ პირს ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებაში. კვლევის ამოცანაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ შეიქმნას მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც საკმაოდ მოქნილად დააჯგუფებს საკითხებს პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე.

სადისერტაციო ნაშნომის მესამე ნაწილი სრულად არის დათმობილი ასეთი სისტემის შექმნაზე და მისი მუშაობის ეფექტიანობაზე, ვინაიდან სწორედ მკაფიოდ დასახული მიზანი გაფილტრული სისტემური ინფორმაცია და მოქნილი სისტემა თავისი მართვის სიმარტივით გაგვიადვილებს მართვის გადაწყვეტილებების მიღებას.

როგორც ჩვენს მიერ გაანალიზებული სამეცნიერო ნაშრომებიდან გავარკვიეთ, ქვეყანაში 29 წლის მანძილზე არსებული ვითარება ცხადყოფს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მართვის სფეროში მიუხედავად მცირედი წარმატებებისა საქართველოს ჯერ კიდევ საკმაოდ რთული გზა აქვს გასავლელი და ის არა მარტო ინტელექტუალურ არამედ ფინანსური ინვესტიციების განხორციელებას საჭიროებს. იმისათვის, რომ ქვეყანამ მოახერხოს და შესძლოს, ელექტრონული მმართველობის მხრივ დასავლეთის სტანდარტებთან შემლებისდაგვარად მიახლოვება, საჭიროა, ამ პროცესის მეცნიერული კვლევა და კვლევის შედეგების პრაქტიკული განხორციელება.

ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევისა და ანალიზით მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მართვის პოლიტიკაში არანაირ დონეზე არ არის დამუშავებული მართვის ელექტრონული პროცესის რეგულირების კონცეფცია. არ არსებობს საიმედო საინფორმაციო მონაცემთა ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ზუსტ აღრიცხვას და რომელიც მიესადაგებოდა ქალაქებში არსებულ სოციალურ ეკონომიკური პრობლემების ანალიზის სწორ სპეციფიკას, ძირითად მიმართულებებს და მოთხოვნებს.

დისერტაციაში გარკვეულწილად განვსაზღვრეთ რუსთავის მაგალითზე ქალაქების ადამიანური რესურსების პოტენციური შესაძლებლობა. ასევე განისაზღვრა სამუშაო ჯგუფი, რომლებმაც უნდა მოამზადონ ის ძირითადი დოკუმენტაცია რომელიც შემდგომი გადაწყვეტილებების გასაანალიზებლად იქნება აუცილებელი. შევქმენით კონცეფცია თანამედროვე ელექტრონული მართვის სისტემის. გადაწყვეტილების მიღებისთვის უნდა დაინერგოს ინფორმატიზაციისა და ელექტრონული მმართველობის განვითარების უახლესი ტექნოლოგიები. დაინერგოს მოქალაქეთა მომსახურებისა და მათი მმართველობითი პროცესში ჩართვის კუთხით აუცილებლობა, არამხოლოდ საკანონმდებლო დონეზე ვინაიდან ნებისმიერი ქალაქის და ადგილობრივი თვითმმართველობის მართვის მთავარი ქვაკუთხედი მოსახლეობის ჩართულობაა ნებისმიერ ეტაპზე ნებისმიერ პროცესში.

ჩვენს მიერ დამუშავებულ სადისერტაციო ნაშრომში საკმაოდ დიდი ნაწილი დაეთმო მართვის თანამედროვე ტენდენციების ანალიზს, ასევე იმ სისტემური კონცეფციის შექმნას, რომლიც შემლებს სწორი

სტატისტიკური მონაცემების პირობებში გარკვეული პრობლემების ანალიზის საფუძველზე პრობლემის წყაროს დადგენის შესაძლებლობას და შესაბამისად ამ წყაროების ცოდნის მეშვეობით ძირითადი პრობლემის წარმომავლობის დადგენას.

აღნიშნული სისტემის მეშვეობით ქალაქის ხელმძღვანელის ხელთ არსებული უამრავი მონაცემები ერთმანეთში მოახერხებენ კვეთებს სადაც მოხდება ანალიზი. თითოეული ციფრი ცალკე აღებული შესაძლებელია არაფრის მომცემი იყოს მაგრამ თუ სისტემით მას დროსა და სივრცეში ავსახავთ, მაშინ დავინახავთ ძირითად პრობლემებს, რომელიც შესაძლებელია ხელმძღვანელის ხელთ იყოს მაგრამ მისი ერთი შეხედვით უმნიშვნელობიდან გამომდინარე არც კი იქნას განხილული როგორც საფრთხე.

კვლევამ აჩვენა, რომ ქალაქის მუნიციპალური მართვა, რომელიც ხორციელდება მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ძირითადად იყოფა ორ: სოციალურ და ეკონომიკურ მიმართულებად.

დავამუშავეთ ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინდიკატორული მართვის მოდელი, რომლის მეშვეობით ხდება გადაწყვეტილების მიღებისა და მისი რეალიზების პრობლემების დამუშავება. ამისათვის, პირველ რიგში განისაზღვრა ძირითადი ინდიკატორული მაჩვენებლები. (მოსახლეობის რიცხოვნობა, ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა, მკვდრადშობადობა, ახალდაბადებულთა სიკვდილიანობის რიცხოვნობა, გარდაცვლილთა რიცხოვნობა ასაკის მიხედვით, ბუნებრივი მატება, ქორწინება, განქორწინება და სხვ.); უმუშევრობის დონე საშუალოდ წელიწადში; მოსახლეობის რეალური შემოსავალი; საბინაო ფონდი (მოსახლეობასთან მიმართებაში); საგანმანათლებლო მონაცემები (ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული, უმაღლესი); მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა წილი; მცირეშემოსავლიან ოჯახთა რიცხოვნობა; ძირითადი კაპიტალის ინვესტიციების მოცულობა; მცირე საწარმოების მიერ წარმოებული, მათ შორის მიკროსაწარმოების და ინდივიდუალური მეწარმეების საქონლის (მომსახურების) ბრუნვა; ბიუჯეტში კონსოლიდირებული საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების ნაერთი; აღმასრულებელ და ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის შეფასების მაჩვენებლები მოსახლეობის მხრიდან და სხვ.

ჩვენს მიერ განხილული ინდიკატორული მართვის პრინციპების გათვალისწინებით ავაგეთ ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინდიკატორულ მართვის ზოგადი სტრუქტურული მოდელის კონცეფცია. ეს ხელს შეუწყობს ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვის პრობლემის აღმოფხვრას, მართვის ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებას.

Resume

Dissertation which is presented by us “Processing of Supporting Information Systems of Urban Socio-economic Processes Indicated Management” is quite actual due to the inadequate methods and technologies existing in Georgia. Consequently, we think that the problems emphasized in the research topic should be resolved hastily. All of this gives us an opportunity to say confidently, that this issue is quite sensitive and requires some effective steps and introduction of innovations in local self-government, which is too timely.

Principles of management of socio-economic processes exist in modern Georgia clearly shown us the black holes in the management system. Today, the absolute majority of experts and donors, which are working in Georgia, speaks about decentralization and transferring of large amount of authority to the local self-government. At the same time, the main issue - the more authority the more responsibility – is secondary. But solving these main issues is prerogative and responsibility of the city's leaders.

We are actively considering the necessity of authority transfers in the dissertation, but other issues appear here: If the authorities are delegated to mayors of the self-governments, what principles should be used during managing these responsibilities and difficult decisions? Will it look like chaos? When there is a problem before the head, the ways to solve it also exist. Unfortunately, choosing the best of these ways is chaotic (based on their own and often wrong opinions) and not using modern methods and technologies of decision making.

From the history of Georgia we know well that the self-government exists in Georgia during three decades, after the independence of our country. Therefore, it is still young and not insured from mistakes and unplanned irrational decisions. Our duty is to find out, process and implement such a kind of system of management that will help the leaders of cities to make the right decisions.

The main content of the research topic is the same. Nowadays, there are a lot of problems and issues in local self-governments and the future of the city and the country depends on their solutions. More importantly, we do not have flexible systems of management that will help the leader to take effective decisions. The main object of the research is to create an electronic system of management, which will group the issues due to the actuality of the problem.

The third part of the dissertation is fully dedicated to create and effectively work such a kind of system, as clearly purposes, the filtered system information and the flexible system, with simple management, will become easier to make management dicisions. As we found out from scientific works analyzed by us, the situation in the country for 29 years reveals that despite the small successes in the management of local self-government, Georgia has to come a long way and it required not only intellectual but financial investments. In order to the country will be able to approach western standards of e-governance, scientific researches of this topic and practical implementations of study results are

required. The results of our research and analyse have shown that the concept of regulating electronic processes of management has not worked at any level of the management of the local self-government. There is no reliable information database which provides accurate accounting and which would be suitable to the exact specifications of socio-economic problems analysing in the cities, key directions and demands.

According to the example of Rustavi, we have determined a possible potential of human resources of cities in the dissertation. The working group was also determined which should prepare basic documents - necessary to analyze further decisions. We have created the concept of modern electronic management system. For the decision making, the modern technologies of informatization and e-governance development should be implemented. Innovating citizen services and their involvement in the management process, not only on the legislative level, as the basic element of management of any cities or local self-govermnet is citizens involvement at any stage, in any process. Analysis of the modern trends of management occupy quite a large part in our dissertation, as well as the creation of a system concept, which will be able to find out the source of the problem, in the case of correct statistical data, based on analyse of certain problems. According to studying of these sources to determine the origin of the main problem.

Through these systems, the amount of data available for the head of the city will be crossed together, where the analysis will be done. Each figure, separately, may not give us anything, but if we reflect them, using the system, in time and space, we will see the main problems, which may be in the hands of the head, but because of less important at a glance, will not be considered as a threat. The study has shown that the municipal management of the city, which is implemented to improve the quality of a citizen's life, is divided in two social and economic directions.

We have processed the model of urban socio-economic processes indicated management, which is used for solution of problems of decision making and their realization. For this, first the main indicators were defined (The number of population, the number of live births, the stillbirth, the number of infant deaths, the number of deaths by age, natural increase, marriage, divorce, etc.); Housing fund (related to population); Educational data (general, professional, higher); Children without care rate; the number of small income families; Volume of major capital investments; Commodity circulation produced by small enterprises, including micro businesses and individual entrepreneurs; Budget consolidated tax and non-tax revenue; Assessment indicators of Executive and local authorities' work by populations and etc.

Considering the principles of indicated management, which is discussed by us, we have created the concept of a general structural model of urban socio-economic processes indicated management. This will help to eradicate the problems of urban socio-economic process management, to make effective management decision.

შინაარსი

შესავალი..... 14

I.ლიტერატურის მიმოხილვა
ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების განვითარებისა და ინდიკატორული მართვის სისტემის დამუშავების ზოგადი მიმოხილვა

1.1. საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნის განვითარების ზოგადი ისტორიული მიმოხილვა სისტემური მართვის ჩამოყალიბების ფონზე..... 20
1.2. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მართვის ზოგადი მიმოხილვა..... 24
1.3. თანამედროვე ქალაქების მართვაში წარმოქმნილი ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები..... 28
1.3.1. უმუშევრობა..... 32
1.3.2. მოსახლეობის ზრდის დაბალი ტემპი..... 34
1.3.3. დაბალი შემოსავლები და სიღარიბის მაღალი დონე..... 35
1.3.4. განათლების პრობლემა..... 35
1.3.5. ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობა..... 37
1.3.6. სოციალური დაცვის დაბალი ეფექტიანობა..... 38
1.3.7. ინფრასტრუქტურის განვითარება..... 40
1.4. გამჭირვალედ მართვის ნაკლებობის შედეგად წარმოქმნილი პრობლემები ადილობრივ თვითმმართველობაში..... 41
1.5. ქალაქის თანამედროვე ფუნქციები..... 44
1.6. ელექტრონული მმართველობის მსოფლიო ტენდენციები..... 48
1.7. ღია მმართველობა საქართველოში..... 51
1.7.1. ელექტრონული შესყიდვა..... 53
1.7.2. საქმის წარმოების დოკუმენტი 56
1.7.3. საჯარო რეესტრის ელექტრონული სისტემა..... 57
1.8. ელ მართველობის ქართული ტენდენციები..... 68
1.9. საქართველოს 2014 წლის ელ-მმართველობისა და ელ-ჩართულობის ინდექსი..... 60
პირველი თავის დასკვნა..... 64

II. ძირითადი ნაწილი
ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინდიკატორული მართვის მხარდამჭერი საინფორმაციო სისტემის კონცეფცია

2.1. ქალაქის მუნიციპალური მართვა..... 66
2.2. ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინდიკატორული მართვის მოდელის აგების სტრუქტურა..... 68
2.3. ქალაქის ინდიკატორული მართვის მეთოდოლოგიური

ასპექტების მეცნიერული ანალიზი..... 70
2.4. გადაწყვეტილების მიღების ხელშემწყობი, ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის მართვის ინდიკატორული მექანიზმი..... 77
2.5. რისკების რეგულირება ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვაში..... 79
2.6. ქალაქის ავტომატიზებული მართვის ფორმალიზებული მოდელის შინაარსი..... 81
მეორე თავის დასკვნა..... 86

III. ექსპერიმენტული ნაწილი
ქალაქის ავტომატიზებული მართვის მხარდამჭერი მონაცემთა ბაზის ფორმირება რუსთავის მაგალითზე

3.1. ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები ქვემო-ქართლს და რუსთავის მაგლითზე..... 89
3.1.1. მოსახლეობის რიცხოვნობა..... 90
3.1.2. ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა..... 94
3.1.3. ახალდაბადებულთა სიკვდილიანობის რიცხოვნობა..... 98
3.1.4. მკვდარშობადობა..... 100
3.1.5. გარდაცვლილთა რიცხოვნობა ასაკის მიხედვით..... 101
3.1.6. ბუნებრივი მატება..... 103
3.1.7. ქორწინება..... 104
3.2. მოსახლეობის სოც -ეკონომიკური მდგომარეობა რეგიონის და რუსთავის მაგალითზე..... 106
3.2.1. ქვეყნის უმუშევრობის დონე რეგიონის ჭრილში..... 106
3.2.2. საგანმანათლებლო მონაცემები (ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული, უმაღლესი) რეგიონის და ქალაქ რუსთავის ჭრილში..... 108
3.3. ქალაქის ეკონომიკის რესურსული უზრუნველყოფის ავტომატიზებული მართვის მხარდამჭერი მონაცემთა ბაზების აგების კონცეფცია..... 109
მესამე თავის დასკვნა..... 119
დასკვნა..... 121
ლიტერატურა..... 123

	დიგრამის ნუსხა	
დიაგრამა N1	საქართველოში უმუშევართა რაოდენობა.....	33
დიაგრამა N2	მოსახლეობის რიცხოვნობა.....	34
დიაგრამა N3	პოლიკნინიკების რაოდენობა.....	37
დიაგრამა N4	მოსახლეობის მომსახურება სასწრაფო დახმარებით.....	38
დიაგრამა N5	რეგისტრირებული და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა.....	39
დიაგრამა N6	საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის წილი.....	40
დიაგრამა N7	2017 წლის თვითმმართველობის ინდექსის შედეგები.....	43
დიაგრამა N8	საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა.....	91
დიაგრამა N9	ქვემო ქართლის მოსახლეობის რიცხოვნობა.....	92
დიაგრამა N10	რუსთავის მოსახლეობის რიცხოვნობა.....	92
დიაგრამა N11	2012-2019 წლის სტატისტიკური მონაცემი რუსთავი....	93
დიაგრამა N12	2012-2019 წლის სტატისტიკური მონაცემი ქვემო ქართლი.....	93
დიაგრამა N13	2012-2019 წლის სტატისტიკური მონაცემი საქართველო	93
დიაგრამა N14	ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნება.....	95
დიაგრამა N15	რეგიონის შობადობის ინდექსი.....	95
დიაგრამა N16	რუსთავში შობადობის მაჩვენებელი.....	96
დიაგრამა N17	შობადობის ზოგადი მაჩვენებელი.....	97
დიაგრამა N18	ჩვილ ბავშვთა მოკვდავობის კოეფიციენტი.....	99
დიაგრამა N19	გარდაცვალებულთა რიცხოვნობა.....	101
დიაგრამა N20	გარდაცვალებულთა რიცხოვნობა ქვემო ქართლი.....	101
დიაგრამა N21	გარდაცვალებულთა რიცხოვნობა რუსთავი.....	102
დიაგრამა N22	გარდაცვალებულთა რიცხოვნობა შეჯამება.....	102
დიაგრამა N23	ბუნებრივი მატება.....	103
დიაგრამა N24	ბუნებრივი მატება რუსთავის მაგალითზე.....	104
დიაგრამა N25	რეგისტრირებული ქორწინების რაოდენობა საქართველოს მაშტაბით.....	105
დიაგრამა N26	რეგისტრირებული ქორწინების რაოდენობა ქ. რუსთავი.....	105
დიაგრამა N27	უმუშევრობის დონე რეგიონულ ჭრილში.....	107

	სურათების ნუსხა	
სურათი N1	შესყიდვების სააგენტოს ვებ გვერდი.....	54
სურათი N2	შეტყობინების ველი.....	55
სურათი N3	საქართველოს მაჩვენებლები 2012 და 2014 წლებში.....	61
სურათი N4	გაეროს ელ მართველობის ინდექსი.....	61
სურათი N5	ელ მართველობის ინდექსი.....	62
სურათი N6	სერვისების პანელი.....	114
სურათი N7	მოსახლეობის და დემოგრაფიის მთავარი ველი.....	115
სურათი N8	დაბადების მართვის პანელის ქვე ველი.....	115
სურათი N9	ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა ქალაქის მიხედვით.....	116
სურათი N10	2017 წლის დაბადების მაჩვენებელი.....	116
სურათი N11	2019 წელს დაბადებულთა მაჩვენებელი თვეების მიხედვით.....	117
სურათი N12	2019 წლის იანვრის თვის დაბადებულთ მაჩვენებელი	117
სურათი N13	2019 წლის მაისის თვის დაბადებულთ მაჩვენებელი	118

ნახაზების ნუსხა

ნახაზი N1	ჭკვიანი ქალაქის ინდიკატორების სისტემის სტრუქტურული სქემა.....	75
ნახაზი N2	მეთოდოლოგიური პრინციპები	76
ნახაზი N3	ქალაქის ძირითადი შესაძლო პოტენციური რესურსები.....	85
ნახაზი N4	სისტემის ძირითადი მაჩვენებლები.....	111
ნახაზი N5	დემოგრაფიულ მაჩვენებლებში შემავალი ველები	111
ნახაზი N6	დაბადების მაჩვენებელში შემავალი ველები	112
ნახაზი N7	პრობლემაზე მამოქმედებელი ინდიკატორები	113

შესავალი

თემის აქტუალურობა.

კაცობრიობის განვითარება საკმაოდ საინტერესო პროცესს მოიცავს, პირველყოფილი თემური წყობილების შემდეგ საზოგადოებამ საოცარი ტექნოლოგიური პროგრესი განიცადა, განსაკუთრებით ბოლო საუკუნეებში, პირველყოფილი თემურ წყობილებიდან თანამედროვე ტექნოლოგიამდე.

ტექნიკური პროგრესი, საზოგადოებას ნელ-ნელა ეტაპობრივად უადვილებდა ცხოვრებას და მათთვის მისაღწევი მიზნის მიღწევას. საინტერესოდ ვითარდებოდა თუ არა კაცობრიობის მორალური მხარე იმ პროცესის პარალელურად რასაც თან ახლავდა ტექნიკურ პროგრესი? იყო დრო როცა ადამიანები კანიბალიზმს ბუნებრივად მიიჩნევდნენ მაგრამ საუკუნების ცვლამ შეცვალა საზოგადოების მენტალური მხარეც აზრებიც და ქცევაც ამიტომაც აშკარაა, როდესაც ვიწყებთ საუბარს საზოგადოების ჩამოყალიბებაზე უნდა ავღნიშნოთ პირველ რიგში როგორ ხდებოდა საზოგადოების ფორმირება და რა ეტაპები გამოიარა მან პირველყოფილი თემურ წყობილებიდან, ბრინჯაოს ხანიდან დღემდე.

საზოგადოების ფორმირება დაიწყო მაშინ როდესაც ჰომოსაპიანსმა გადაწყვიტა საკუთარი ხელით შეექმნა სარჩო და საკვების გამომუშავების მიზნით დაიწყო მიწაზე მუშაობა. საკვებზე მოთხოვნამ განსაზღვრა საჭიროება იმდენი სარჩოს მოპოვებისა, რომ ბელადს გამოეკვება საკუთარი ჯგუფი, ტომი თუ ოჯახი. გამოკვებაზე დაუღალავმა ფიქრმა გამოიწვია ჭარბი საკვების შენახვის, დაგროვების სურვილი რაც საშუალებას მისცემდა ტომს მარაგის ქონის შემთქვევაში არ ეფიქრა ყოველდღიურად ნადირობაზე ან საკვების მოპოვებაზე. მაგარმ მალევე მიხვდნენ, რომ დაგროვებული ერთგვაროვანი საკვები მომაბეზრებელია და შესანახად შესაძლოა რთულიც, შესაბამისად მეტი საკვების სურვილმა გააჩინა აზრი ისეთი სისიტემისთვის მიემართად რომელიც სამუშაოს თანაბარად გადანაწილებასთან ერთად მისცემდა მათ ჭარბი საკვების

მოშორების საშვალებასაც. აქ უკვე ნელ–ნელა იკვეთება მართვის სისტემის შექმნის და დამუშავების ჩანასახები. ჭარბმა საკვების წარმოქმნამ გამოიწვია სხვა პროდუქტზე ან ნივთზე გაცემის ან გაცვლის სურვილი. შესაბამისად წარმოიქმნა პირველი ჩანასახი ეკონომიკის მოთხოვნისა და მიწოდების. მოთხოვნა მიწოდებამ ფულის წარმოქმნამდე ბარტერული ვაჭრობა შექმნა. ბუნებრივად გაჩნდა სურვილი შექმნილიყო ადგილი სადაც თავს მოიყრიდა ადამიანთა ჯგუფი რასაც მოყვა დასახლებული პუნქტის ორგანიზება. მოსახლეობის ერთ ადგილზე დასახლების ზრდამ გამოიწვია ქალაქების შექმნის მოთხოვნილება და როდესაც ვიწყებთ საუბარს ქალაქზე მის ისტორიაზე ჩამოყალიბებაზე და როლზე ქვეყნის განვითარების პროცესში აუცილებლად უნდა განვსაზღვროთ პირველ რიგში ქალაქის განსაზღვრება რა არის ქალაქი და რა როლს ასრულებს ის საზოგადოების ფორმირებაში.

ქალაქი შედარებით მსხვილი დასახლებული პუნქტია, რომელიც ასრულებს სამრეწველო, სატრანსპორტო, სამეურნეო, კულტურული, პოლიტიკური, ადმინისტრაციული ორგანიზაციის ფუნქციებს. ქალაქი თავისი თავისებურებებით განსხვავდება ესენია მოსახლეობის რაოდენობა და საქმიანობა. ქალაქს ახასიათებს დასახლების შედარებით დიდი სიმჭიდროვე და განაშენიანების კომპაქტურობა. ზოგადად ქალაქები წამოიქმნა ისტორიული განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც საზოგადოებაში აქტიურად მიმდინარეობდა შრომის დანაწილებისა და სოციალური დიფერენციაციის პროცესი. ამ ფაქტორების გამო მოსახლეობის ძირითადი ნაწილი გადაჯგუფდა როგორც მმართველი კლასი კერძოდ ხელოსნები, ვაჭრები და ასე შემდეგ. მათი კონცენტრაცია მოხდა ერთ დასახლებულ პუნქტებში სწორედ ეს დასახლებული პუნქტებია ქალაქები. დიდი დასახლებები ანუ ქალაქები ადამიანების განვითარების საკმაოდ ადრეულ ეტაპზე გაჩნდა. მაგალითად არის ბიბლიაში სახელი იერიქონი რომელიც დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის 8000 იან წლებში დაარსდა. ასეთი ქალაქები

იმართებოდა მეფის მიერ, „პრინციპით ერთი ქალაქი ერთი სახელმწიფო“ ასეთი ქალაქი „ქალაქ სახლმწიფოს“ სტატუსს ატარებდნენ[1].

ქალაქის მუნიციპალური მართვა, რომელიც ხორციელდება მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ძირითადად იყოფა ორ: **სოციალურ და ეკონომიკურ მიმართულებად.**

ამდენად, თანამედროვე ქალაქს ესაჭიროება ეფექტური სოციალური და ეკონომიკური განვითარების მეცნიერული თეორიების შემუშავება და განხორციელება.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს - ქალაქების სოციალური და ეკონომიკური მდგრადობის განვითარების ეფექტიანი რესურსული უზრუნველყოფის თანამროვე ტექნოლოგიებისა და მოდელის შექმნის თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზა. ქალქების ეფექტური მართვის საინფორმაციო სისტემის აგება.

სადისერტაციო კვლევის მეცნიერული სიახლე. ქალაქის მართვის დღევანდელი დეცენტრალიზაციის მოთხოვნათა პირობებში და საქალაქო მეურნეობის მენეჯმენტის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დროს გართულებულია ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვა. ამ დროს იზრდება ინფორმაციული ტექნოლოგიების მნიშვნელობა, რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქის მართვის ხელმძღვანელობას მართვის ობიექტის ანალიზის, შესაბამისი პროგნოზის და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებაში. სადისერტაციო კვლევის მეცნიერული სიახლეა ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ინდიკატორული მართვის მეცნიერულად დასაბუთებული მიდგომების და პრაქტიკული რეკომენდაციების დამუშავება. მეცნიერული სიახლე გადმოცემულია ინდიკატორული მართვის, როგორც ინოვაციური მეთოდის განსაზღვრაში; ინდიკატორული მართვის მოდელის და მისი ორგანიზაციულ-ფუნქციური დანიშნულების წარმოდგენაში; დამუშავებული თეორიული ნაწილის პრაქტიკულ რეალიზებაში.

კვლევის მიზანი და ამოცანაა - ჩვენი სადისერტაციო კვლევის მიზანია, ქალაქის ინდიკატორული მართვის კონცეფციის დამუშავება; ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინდიკატორული

მართვის მოდელის მეშვეობით გადაწყვეტილების მიღებისა და მისი რეალიზების პრობლემების დამუშავება. ამისათვის, პირველ რიგში უნდა განვსაზღვროთ ძირითადი ინდიკატორული მაჩვენებლები. ზოგადად ამ ჩამონათვალს შეიძლება ჰქონდეს ასეთი შინაარსი:

- ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები (მოსახლეობის რიცხოვნობა, ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა, მკვდრადშობადობა, ახალდაბადებულთა სიკვდილიანობის რიცხოვნობა, გარდაცვლილთა რიცხოვნობა ასაკის მიხედვით, ბუნებრივი მატება, ქორწინება, განქორწინება და სხვ.);
- უმუშევრობის დონე საშუალოდ წელიწადში;
- მოსახლეობის რეალური შემოსავალი;
- საბინაო ფონდი (მოსახლეობასთან მიმართებაში);
- საგანმანათლებლო მონაცემები (ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული, უმაღლესი);
- მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა წილი;
- მცირეშემოსავლიან ოჯახთა რიცხოვნობა;
- ძირითადი კაპიტალის ინვესტიციების მოცულობა;
- მცირე საწარმოების მიერ წარმოებული, მათ შორის მიკროსაწარმოების და ინდივიდუალური მეწარმეების საქონლის (მომსახურების) ბრუნვა;
- ბიუჯეტში კონსოლიდირებული საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების ნაერთი;
- აღმასრულებელ და ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის შეფასების მაჩვენებლები მოსახლეობის მხრიდან და სხვ.

პრობლემის დამუშავებისას გამოყენებულია არსებული და განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომები განსაზღვრულია დადებითი და უარყოფითი მხარეები. ნაჩვენებია სიახლეები რომლის დანერგვაც მისცემს საშუალებასადგილობრივ თვითმმართველობას ბევრად ეფექტურად იფუნქციონიროს.

საინფორმაციო-ნორმატიული ბაზა აგებულია ოფიციალური მონაცემების საფუძველზე. გამოყენებულია, აგრეთვე საქ სტატის მიერ მოწოდებული ასევე გამოქვეყნებული უამრავი მონაცემები.

შესაბამისად ინდიკატორული მართვის პრინციპების გათვალისწინებით ავაგოთ ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინდიკატორულ მართვის ზოგადი სტრუქტურული მოდელი.

სტრუქტურული მოდელი ჩვენ შემთხვევაში არის ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის შემდგენელი კონკრეტული ელემენტების ერთობლიობა, ამ ელემენტებს შორის არსებული ურთიერ დამოკიდებულება და მათი კავშირი გარე სამყაროსთან (გარემოსთან, სოციუმთან).

ჩვენს მიერ განხილული ინდიკატორული მართვის პრინციპების გათვალისწინებით უნდა ავაგოთ ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინდიკატორულ მართვის ზოგადი სტრუქტურული მოდელი.

სტრუქტურული მოდელი ჩვენ შემთხვევაში არის ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის შემდგენელი კონკრეტული ელემენტების ერთობლიობა, ამ ელემენტებს შორის არსებული ურთიერდამოკიდებულება და მათი კავშირი გარესამყაროსთან (გარემოსთან, სოციუმთან).

სწორედ ინდიკატორები განგვისაზღვრავს ქალაქებში თუ ნებისმიერ დასახლებულ ერთეულში მოსახლეობის სრულფასოვანი განვითარების და უსაფრთხოების დონეს ასევე მდგომარეობას ნებისმიერი ძირიტადი მიმართულებების ჭრილში, და მაშინ როდესაც მოსახლეობის ნებისმიერი მდგომარეობა ცდება დადგენილი ინდიკატორების სტანდარტს სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის გასაანალიზებელია ჩვენს მიერ შექმნილი ინდიკატორების და სისტემის მეშვეობით თუ რამ გამოიწვია ნებისმიერი დადგენილი სტანდარტის გადახვევა. რა არის მიზეზი ამა თუ იმ შედეგისა. და სწორედ თავშივე შედეგი გვიჩვენებს ზის თუ არა ნებისმიერი მდგომარეობა ჩვენს მიერ დადგენილ სტანდარტებში. და

სწორედ ჩვენს მიერ შექმნილი სისტემის მიერ თავისუფლად გვაქვს საშუალება ვეძებიოთ გამომწვევი მიზეზი და დავიწყოთ ზრუნვა პრევენციის მეშვეობით. დღესდღეისობით მსგავსი სისტემით მართვა ადილობრივი ხელისუფლებისთვის წარმოუდგენელია. შესაბამისად მართვაც გარკვეულწილად ქაოსურია და მხოლოდ შედეგების შემდგომ იწყება ფიქრი გამოსწორებაზე. ხშირ შემთხვევაში შედეგის მიღების შემდგომ გამოსწორება თითქმის შეუძლებელია. რაც ქვეყნის და ქალაქების განვიტარებას აფერხებს.

ნაშრომის თეორიულ-პრაქტიკულ მნიშვნელობას წარმოადგენს ჩვენ მიერ დისერტაციაში შემოთავაზებული კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენება. იგი შეიძლება განპირობებული იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობისთვის თანამედროვე საინფორმაციო სისტემის და ტექნოლოგიების კონცეპტუალური სქემის შედგენითა და მისი შესაბამისი კომპლექსური სამუშაო იარაღებისა და ინსტრუმენტების პრაქტიკაში გამოყენებით. კვლევებით მიღებული შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის და გადაწყვეთილებების მოქნილი და შედეგზე ორიენტირებული მართვის გასაუმჯობესებლად;

კვლევის ჰიპოთეზა. ჩვენი სადისერტაციო კვლევის კონცეფცია დაფუძნებულია იმ ჰიპოტეზაზე, რომლის მიხედვითაც ქალაქის სოციალურ ეკონომიკური განვითარების სწორი ინდიკატორების განსაზღვრა პირდაპირ დაეხმარება ადგილობრივ ხელისუფალთ მართვის მოქნილ და ეფექტურ ჩამოყალიბებას სადაც ნებისიერი გადაწყვეთილებები მაქსიმალურად იქნება დაზღვეული არასწორი ნაბიჯებისგან.

ნაშრომის მოცულობა და მისი სტრუქტურა: დისერტაციის სრული მოცულობაა 124 ნაბეჭდი გვერდი; მოიცავს ნაშრომის რეზიუმეს (ორ ენაზე), სარჩევს, შესავალს, სამ თავს და დასკვნას. ახლავს 7 ნახაზი , დიაგრამა 27, სურათი 13 და 34 გამოყენებული ლიტერატურის სია.

I. ლიტერატურის მიმოხილვა ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების განვითარებისა და ინდიკატორული მართვის სისტემის დამუშავების ზოგადი მიმოხილვა

1.1. საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნის განვითარების ზოგადი ისტორიული მიმოხილვა სისტემური მართვის ჩამოყალიბების ფონზე

სახელმწიფოს მშენებლობა ქვეყნის უმთავრესი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. სწორედ ერთიანი ეროვნული სახელმწიფოს შენების მთავარი და უპირველესი უნარია ქართველი ერი და მისი ძალა, რომელმაც უნდა განაპირობოს ჩვენი ქვეყნის გადარჩენა და განვითარება ამ ურთულეს ეპოქაში რეგიონსა და პირობებში. ქვეყნის ისტორიული გამოცდილება მოწმობს, რომ ქართული სახელმწიფოს სწორი მშენებლობა ყოველთვის ქვემოდან ზევით პრონციპით იწყებოდა, როცა ძლიერი და გამართული ტერიტორიული ერთეულები ქმნიდნენ სტრუქტურულად ჩამოყალიბებულ ძლიერსავე სახელმწიფოს.

სამწუხაროდ საქართველოს ისტორია სულ სხვაგვარად წარიმართა: საბჭოთა კავშირის როგორც დახურული ქვეყნის რღვევის შედეგად, საქართველომ სამწუხაროდ მემკვიდრეობით მიიღო არა მხოლოდ ცენტრალური, არამედ მკაფიოდ ცენტრალიზებული სახელისუფლებო სისტემაც, რომელმაც, 90 -იან წლებში მოიშორა რა კომუნისტური იდეოლოგია და მართვის თავისებური პრინციპები, წარმატებით შეინარჩუნა ყველა მანკიერი ადმინისტრაციული ვერტიკალი. ასეთი მართვის სისტემისათვის საკმაოდ შორეულია ძალაუფლების დაყოფისა და განაწილების მსოფლიოში ცნობილი რაიმე სახის პრინციპი. შესაბამისად, ასეთი სისტემა არსებობა თავისი ხასიათით ვერ ეგუება

სახელმწიფოს სწორ ქვემოდან ზემოთ შენების გამოცდილებას, ასევე ძლიერ ადილობრივ თვითმმართველობასა და რაც მთავარია ტერიტორული მართვის ევროპულ მოდელს. ამიტომ საქართველოში თანამედროვე ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა უფრო საერთაშორისო საზოგადოების გარკვეული ზეწოლის შედეგი გახლავთ, ვიდრე ქართული სახელმწიფოს განვითარების შედეგად მიღებული ნებაყოფლობითი პროდუქტი [2].

1997 წელს გამოქვეყნდა „მუნიციპალური განვითარების სახელმწიფო პროგრამა“, რომელიც პირდაპირ და ღიად დაადეკლარირა დეცენტრალიზაციის დაწყების პირველი ეტაპი საქართველოში, რაც რათქმაუნდა საქართველოს ევროპის საბჭოში მიღების აუცილებელი წინაპირობა გახდა. მართალია, 2001 წელს ქართულ ორგანულ კანონში ბევრჯერ შეტანილი ცვლილებებით, რაიონულ დონეზე განხორციელდა პირდაპირი წესით არჩეული საკრებულოს შეიცვალის პროცესი, შეიზღუდა რა მისი უფლებამოსილებები და გაძლიერდა ადმინისტრაციული ვერტიკალი, რაც ევროპის საბჭოს მხრიდან საკმაოდ მკაცრი კრიტიკის საგნად იქცა.

2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, ცენტრალური ხელისუფლების მოთხოვნით, ძალიან ბევრი ცვლილება შევიდა საქართველოს ორგანულ კანონში ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. მოგების ასევე საშემოსავლო გადასახადი გარდაიქმნა როგორც ცენტრალურ ბიუჯეტის შემოსავალი, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ადგილზე თვითმმართველობის დამოუკიდებლობა. ასეთმა პროცესებმა ცალსახად იმოქმედა ქვეყნის არამარტო დეცენტრალიზაციის დაჩქარებაზე არამედ ხელ-ფხი შეუკრა და ადგილობრივ მმართველებს ეფიქრათ თანამედროვე სისტემების შექმნაზე რაც ხელს შეუწყობდა ქალაქების გეგმაზომიერ განვითარებას და სწორი სტრატეგიების შემუშავებას. ვინაიდან ფინანსური დამოუკიდებლობაა ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი იმისა რომ

ქალაქები თანამედროვე ინდიკატორების მეშვეობით გეგმაზომიერად და სწორად განვითარდეს.

2012 წელს მთავრობის ცვლილების შემდგომ ახალმა ხელისუფლებამ თვითმმართველობის რეფორმა ყველაზე უმთავრეს პრიორიტეტად გამოაცხადა და დაამტკიცა „2013-2014 წლების საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ძირითადი პრინციპები“. ასეთი სტრატეგიის შემდგომ ქვეყანამ მალევე მიიღო საქართველოს ორგანული კანონი - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“. ასეთი ცვლილებების მიუხედავად, მთავრობამ თვითმმართველი ერთეულებისათვის იმ ეტაპზე თავი შეიკავა და არ გადასცა რაიმე მნიშვნელოვანი უფლებამოსილება, მათ შორის ფინანსები და ქონება, რაც საშუალებას მისცემდა თვითმმართველობებს გამხდარიყვნენ ცენტრალური ხელისუფლებისგან დამოუკიდებელნი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში. შვიდი ახალი ქალაქის ხელოვნურად შექმნა ასევე მერის/გამგებლის არჩევითობა საკმარისი არ აღმოჩნდა სამწუხაროდ მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადასადგმელად დეცენტრალიზაციის მიმართულებით რაც საკმაოდ რთულ პირობებში აყენებდა ადგილობრივ თვითმმართველობას ვინაიდან მართველობა რაიმე სახის ფინანსური უფლებების გარეშე წარმოუდგენელია [3].

ეს გამოცდილება ცხადყოფს, რომ განხორციელებული რეფორმები სამწუხაროდ საარჩევნო ციკლს უფრო დაემსგავსა, ვიდრე მართვის მკაფიოდ ცენტრალიზებული სისტემის რეფორმირების ამოცანას. აღსანიშნავია ის, რომ სწორედ დეცენტრალიზაციის განვითარება ქვეყანაში გვაძლევს საშვალებას მართვის დამოუკიდებელი პროცესის წარმართვას. მართვა თავისთავში გულისხმობს იმ კომპონენტების შემუშავებას რომელიც სწორად დასახავს მართვის პროცესში პრობლემებს და მისი აღმოფხვრის სწრაფ სწორ და ეფექტურ გზებს. სწორედ ასე იქმნება იმ საკითხების ნუსხა რომელიც უნდა გადაწყდეს

განვითარების პროცესში და რაც ქმნის განვითარების ინდიკატორებს და მის ეფექტურ მართვის რგოლებს.

მაინც რა არის დეცენტრალიზაცია? და რა დადებითი მხარე აქვს ამას ადგილობრივი მოსახლეობის არსებობაში. დეცენტრალიზაცია მოიცავს ძირითადი ოთხი წინაპირობის აუცილებელ სრულყოფილად არსებობას, საკუთარი უფლებამოსლების ფარგლებში:

ა) საჯარო საქმეების ძირითადი წილის ყველასგან დამოუკიდებლად განკარგვა;

ბ) ადგილობრივი ადმინისტრაციის დამოუკიდებლად შექმნა;

გ)ადგილობრივი ბიუჯეტის დამოუკიდებლად შექმნა და განკარგვა;

დ) საკუთარ ტერიტორიულ ერთეულში (და არამარტო) არსებული ნებისმიერი ტიპის ქონებისა და ბუნებრივი რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილის ფლობა და დამოუკიდებლად განკარგვა [4].

2014 წლის ივნისში გაფორმებული „საქართველოს–ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ თანახმად, ქვეყნის მთავრობამ აიღო ვალდებულება, გააძლიეროს მრავალდონიანი მმართველობა, განახორციელოს საჯარო ადმინისტრაციის რეფორმა და გაზარდოს ადგილობრივი თვითმმართველობის როლი. ასოცირების დღის წესრიგის დოკუმენტი ქართულ მხარეს ავალდებულებს, ქვეყანაში დეცენტრალიზაციის სტრატეგის ევროპის საბჭოს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ქარტიის“ შესაბამისად განახორციელოს. ქარტიის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი პრინციპია სუფსიდიარობა ანუ მმართველობის პრინციპი, რომ ცენტრალური ხელისუფლება უნდა ახორციელებდეს მხოლოდ იმ საქმიანობას, რომელიც ადგილობრივ დონეზე ვერ განხორციელდება.

ქარტიის პრინციპების მნიშვნელობის ხაზგასასმელად და ევროპის საბჭოს მონიტორინგის კომიტეტის რეკომენდაციის შესაბამისად, სუფსიდიარობის პრინციპი საქართველოს კონსტიტუციით იქნება გამყარებული კონსტიტუციის ახალი პროექტის მე–7 მუხლით

„ტერიტორიული მოწყობის საფუძვლები“ რომელიც ამბობს, რომ უფლებამოსილებათა გამიჯვნა სახელმწიფო ხელისუფლებასა და თვითმმართველ ერთეულებს შორის ეფუძნება სუფსიდიარობის პრინციპს. სახელმწიფო უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის ფინანსური სახსრების შესაბამისობას ორგანული კანონით დადგენილ მის უფლებამოსილებებთან“ [5].

დღეს სამწუხროდ არც ერთი ეს ძირითადი წინაპირობა არ სრულდება. საქართველოში კი ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობის დასაფუძნებლად აუცილებელია გრძელვადიანი, სისტემური, აუცილებლად საზოგადოებრივ თანხმობაზე მათ ნაზრევზე დაფუძნებული სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება.

ასეთი პოლიტიკა ქვეყანამ აუცილებლად საკონსტიტუციო ღირებულებებსა და პრინციპების არსებობით უნდა დაფუძნდეს. მისასალმებელია ის, რომ სუბსიდიარობისა პრინციპები, კონსტიტუციის ახალი რედაქციით (პროექტით), საკონსტიტუციო ნორმის რანგში იქნა აყვანილი; ეს პოლიტიკა რათქმაუნდა სრულად უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ ქარტიასაც, რომელიც საქართველომ დაარატიფიცირა 2004 წელს.

1.2. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მართვის ზოგადი მიმოხილვა

საყოველთაოდ ცნობილია პოსტ სოციალისტურ ქვეყნებში მწვავე პოლიტიკური, ფინანსურ-ეკონომიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა სახის კრიზისი. ამ მხრივ არ გამოირჩევა საქართველოც. პირიქით, საქართველოში უფრო მძაფრად მიმდინარეობდა და უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა კრიზისული მოვლენები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

შექმნილი მდგომარეობა განპირობებულია მრავალი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორით. მაგრამ ყველაზე მთავარ პრობლემას

წარმოადგენდა ძველი სოციალური წყობიდან ახალ სოციალურ წყობაზე გადასვლისას ეროვნულ თავისებურებებზე დაფუძნებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის უქონლობა, რომლის მთავარ მიმართულებასაც წარმოადგენს ქვეყნის განვითარების მართვის სრულყოფა.

ყველასთვის ცნობილი იყო, რომ XX ს-ის მეორე ნახევრიდან დღემდე, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მიმდინარეობს სახელმწიფო მოწყობისა და მართვის პრინციპების დაჩქარებული განვითარება. მთელ რიგ ქვეყნებში სახელმწიფო მოწყობის აუცილებელ კომპონენტად იქცა დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობა. მისი ძირითადი ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ ამ მმართველობას ახორციელებს ადგილობრივ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა მისივე არჩეულ თვითმმართველობასთან ერთად, რაც ფრიად მოქნილი სისტემაა და ეხმარება ქვეყანას სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში ვინაიდან სწორედ ადგილზე მართვა ქმნის მოქნილ სისტემას რომელიც ადეკვატურად იღებს თავის თავზე მთელ რიგ გამოწვევებს. და ჯერ არავის მოუგენია ამაზე უფრო მოქნილი მართვის სისტემა რომელის წარმატების კოეფიციენტეი ადექვატურად მაღალი იქნებოდა.

2017 წელს ევროპის საბჭომ დააფინანსა კვლევა საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობაში განხორციელებული მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ. სადაც მკაფიოდ გამოკვეთილია მოსახლეობის როლი დეცენტრალიზაციაში და ადგილობრივ სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის ფორმირებაში. საინტერესოა ის ფაქტორიც რომ კვლევა დადებითად აფასებს განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს 2014-2015 წლების და აღნიშნავს, რომ ქვეყანაში მოსახლეობის ჩართულობის კუთხით კოდექსში გადადგმული ნაბიჯები ცვლილებების სახით (საუბარია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85 მუხლის ცვლილებები) ეს არის ხელის შეწყობა, მოსახლეობა კიდევ უფრო მეტად ჩაერთოს მუნიციპალიტეტების საქმიანობაში. ვინაიდან თვითმმართველობა ეს არის არჩეული ორგანო და მისი უმთავრესი

გამოწვევაა ამომრჩევლთა დაკვეთების შეძლებისდაგვარად გონიერების ფარგლებში განხორციელება.

კვლევამ აჩვენა, რომ მუნიციპალიტეტების მხოლოდ მცირე ნაწილია მოტივირებული მოსახლეობს გაუზიაროს ის ხედვები და მართვის ინდიკატორები რაც ხელს შეუწყობს ქალაქის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. სამწუხაროდ მუნიციპალიტეტების დიდი ნაწილი ცდილობს დისტანცირებული იყოს ადგილობრივ მოსახლეობისგან და თვითდინებით მართავდეს ქალაქს [6].

ასევე საინტერესოა კვლევა რომელიც 2017 წელს ჩატარდა მუნიციპალიტეტების გამჭირვალობაზე [7].

კვლევაში საინტერესო ტენდენციები ჩამოყალიბდა.

პიეველი კვლევა ემყარენოდა მოსახლეობის ჩართულობასა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების სურვილს მათთან ერთად მოეხდინათ საკვანძო საკითხებზე მუშაობა. მეორე კვლევა კი მუნიციპალიტეტის გამჭირვალობის კოეფიციენტს ადგენდა. აქ საინტერესო ფაქტი გამოიკვეთა მიუხედავად იმისა რომ ეს კვლევები ერთ წელს ჩატარდა ის სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ იქნა წარმოებული და ორივე კვლევაში წამყვან ადგილებს ერთი და იგივე მუნიციპალიტეტები იკავებენ. რაც საგანგაშოა იმ კუთხით, რომ მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული ქალაქების ხელმძღვანელების თვითშეგნებაზეა დამოკიდებული ადგილზე გამჭირვალობის და ღიაობის ხარისხი. ანუ იქ სადაც ქალაქის ხელმძღვანელის კეთილი ნებაა იყოს გახსნილი და იყოს კომუნიკაბელური მოსახლეობასთან ითვლება წარმატებულ მუნიციპალიეტეტბად. აქ მექანიზმი მოშლილია და მხოლოდ პირადი განწყობები და იღბალი მართავს სისტემას. სწორედ სისტემის მოშლა იწვევს პიროვნულ დონეზე მართვის ქაოსურ მექანიზმების შექმნას რაც არამართებულია.

დეცენტრალიზაციის პროცესში ქალაქის ხელმძღვანელის უფლებამოსილებანი დღითიდღე იზრდება აქ აუცილებელია სისტემის შემოუშავება რომელიც ავტომატურად განსაზღვრავს ინდიკატორების მეშვეობით რა სფეროებში არის სისუსტე და რა მიმართულებებია

გასაძლიერებელი ასევე ინდიკატორები განსაზღვრავს ქალაქის მოქნილ მართვას. ნებისმიერ მართვაში აუცილებელია მწყობრი მუშაობა რაც ზუსტი ინდიკატორების გარეშე შეუძლებელია.

თემის შესავალ ნაწილში აღინიშნა რომ დეცენტრალიზაციაზე დემოკრატიული და მოქნილი მართვა ჯერ არ მოუგონიათ. ამ მართვაში საერთო სტრატეგიას და პოლიტიკას ცენტრალური ხელისუფლება უნდა ადგენდეს სამინისტროების მეშვეობით ხოლო განხორციელება ადგილზე ხდებოდეს. ამ კვლევებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სისტემა არ არის ჩამოყალიბებული, ანუ ის რასაც უნდა აკეთებდეს ცენტრი არ აკეთებს სამაგიეროდ ცდილობს ისეთ მართვის სფეროებში ჩაეზიაროს მუნიციპალიტეტებს რაც მისი კომპეტენცია არ არის. ეს არის მართვის მახინჯი ფორმა რომელიც პრობლემებს წარმოქმნის და სწორედ ასეთი არათანმიმდევრული და გაუგებარი მართვის შემთხევაში ქალაქების განვითარებაც არასწორად მიმდინარეობს. იქ სადაც მართვის დონე მისი ინდიკატორები უფლებამოსილების გადანაწილება მახინჯ სახეს იღებს მართვა არასწორია.

მსოფლიო ცივილიზებული ქვეყნების მდიდარი, ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რეგიონული მართვის და მაშასადამე, დემოკრატიული პროცესების განვითარების დონის ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელია სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის ურთიერთმიმართება, მათ შორის უფლებებისა და მოვალეობის გამიჯვნის ხარისხი. რაც ბოლო წლებში ჩვენი ქვეყნის აქილევსის ქუსლად იქცა .

ევროპულ ქვეყნებში წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები მათზე დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად აღჭურვილნი არიან განსაზღვრული ქონებრივი, ეკონომიკური, საფინანსო-საბიუჯეტო, იურიდიული და სხვა უფლებებით. ეს იმაში გამოიხატება, რომ ქვეყნის განვითარების რეგულირების ფუნქციები ერთიანი სახელმწიფო ცენტრალური ორგანოებიდან სულ უფრო მეტად ინაცვლებს ადგილობრივ, რეგიონულ დონეზე. სწორედ ასეთ უფლება-მოსილების გამიჯვნას ითვალისწინებს რეკომენდაციები საქართველოს

მომავალი ეკონომიკური ზრდის შესახებ, სადაც უმთავრეს და აუცილებელ პირობად მიჩნეულია მთავრობის მიდგომის შეცვლა ქვეყნის ეკონომიკის მართვის მიმართ. ამ რეკომენდაციებით მთავრობამ უნდა შეწყვიტოს ყველანაირი მიკროეკონომიკური ჩარევა და კონცენტრაცია მოახდინოს მხოლოდ ისეთ ასპექტებზე როგორიცაა: სოციალური უზრუნვალყოფის სისტემა, სახალხო ინფრასტრუქტურების რეკონსტრუქცია და მართვისა და სამართლებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბება თანასწორუფლებიანი კერძო **მეწარმეობის განსავითარებლად**. უნდა განხორციელდეს ქვეყანაში ადგილობრივი მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა უფლებამოსილების კიდევ უფრო გაფართოება, რათა ადგილზე ქალაქები ცალსახად უზრუნველყოფილნი გახდნენ და მათი ეკონომიკური და ფინანსური დამოუკიდებლობის ხარისხმა მოიმატოს, ამიტომ სამართლებრივი ბაზის საფუძველზე უნდა მოხდეს სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების გამიჯვნა[8].

საქართველო, რომელიც ეხლა იწყებს დემოკრატიულ, თვითმმართველობაზე აგებული სახელმწიფოს მშენებლობას, ვერ გაუტოლდება ევროპის ქვეყნების განვითარების დონეს, თუ არ ექნა მეცნიერულად დასაბუთებული, მოსახლეობის მიერ ღრმად აღქმული, გათავისებული და საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებული რეგიონული მართვის პოლიტიკა.

1.3. თანამედროვე ქალაქების მართვაში წარმოქმნილი ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები

XXI საუკუნის ქალაქის მაცხოვრებელთა ცხოვრების დონე პირდაპირ არის დამოკიდებული ქალაქის ეფექტურ მართვაზე. თანამედროვე ქალაქის მართვა მიეკუთვნება ერთ-ერთ ყველაზე დაუმუშავებელ პრობლემების რიგს. ეს პრობლემა რთულდება ქალაქის დაუსრულებელი ზრდის, მისი იმფრასტრუქტურის განვითარებისა და ქალაქში მცხოვრებთა ახალ-ახალი მოთხოვნილებების მიხედვით.

ქალაქების ზრდის დამახასიათებელი ნიშანია ყოფითი პრობლემების ანუ ე.წ. „ქალაქური პრობლემების" მატება. ქალაქების ზრდა ბევრ სხვა გამოწვევებთან ერთად დღის წესრიგში აყენებს სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის კომუნიკაციების, კანალიზაციის სისტემის და სხვ. სოციალურ ობიექტთა მშენებლობის და განვითარების აუცილებლობას.

აღნიშნული პრობლემები თანაბრად აწუხებს, როგორც განვითარებად, ასევე განვითარებული ქვეყნების ქალაქში მცხოვრებთ, ამიტომ ამ პრობლემების კვლევა და გადაჭრა თანამედროვე მსოფლიოს აქტუალური საკითხია.

უნდა ითქვას, რომ ქალაქის კანონზომიერი განვითარების ფონზე, იქ მიმდინარე პროცესების ეფექტური მართვის სფეროში ხშირად იქმნება გაურკვევლობის სიტუაცია. სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვის პროცესში გაურკვევლობის სიტუაციის შექმნის დროს ეფექტური გადაწყვეტილების მიღების მოდელი არც საქართველოში და არც უცხოეთის ქვეყნებში სათანადო დონეზე ჯერ არ განხორციელებულა და ამდენად, ქალაქი რჩება ძნელად მართვად ანუ პრაქტიკულად უმართავ ობიექტად.

საქართველოში სიტუაციას ართულებს ის ფაქტიც, რომ დიდი ხნის განმავლობაში ქალაქების, როგორც რთული სოციალური ხასიათის და შეიძლება ითქვას - ძნელად ფორმალიზებადი ობიექტის მართვის მიზნით, არ ჩატარებულა შესაბამისი თეორიული კვლევები და არ დამუშავებულა თანამედროვე მართვის სამართლებრივი საფუძვლები. ამ ყველაფერს აქვს ფორმალიზებული ხასიათი და ქალაქები მეტ წილად დარჩა ისევ ცენტრალიზებული მართვის ობიექტად.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული საკვლევი თემა - ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარები სპროცესების მართვა არ არის ფუნდამენტურად ახალი მიმართულება. ქალაქები არსებობს დიდი ხნის განმავლობაში და ზრუნვა ამ საკითხების მიმართ, ყოველთვის წარმოადგენდა აქტუალურ საკითხს. ცხადია, ძნელად მოიძებნება ქალაქი,

რომლის მაცხოვრებლებსა და მმართველ წრეებს არ სურდეთ მოქალაქეთა ცხოვრების დონის ხარისხის გაუმჯობესება და ქალაქის განვითარება, მაგრამ, თუ როგორ უნდა მოხდესეს, რა საშუალებებითა და მეთოდებით, აი, ეს არის ძირითადი პრობლემა და ამას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება!

ქალაქის მუნიციპალური მართვა, რომელიც ხორციელდება მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ძირითადად იყოფა ორ: სოციალურ და ეკონომიკურ მიმართულებად.

ამდენად, თანამედროვე ქალაქს ესაჭიროება ეფექტური სოციალური და ეკონომიკური განვითარების მეცნიერული თეორიების და ინდიკატორული სისტემების შემუშავება და განხორციელება. ამავედროს, რადგან თანამედროვე ქალაქი წარმოადგენს მართვის რთულ იერარქიულ სტრუქტურას, ეს პრობლემა უფრო აქტუალური ხდება.

ჩვენი სადისერტაციო კვლევის მიზანია, ქალაქის ინდიკატორული მართვის კონცეფციის დამუშავება; ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინდიკატორული მართვის მოდელის მეშვეობით გადაწყვეტილების მიღებისა და მისი რეალიზები სპრობლემების დამუშავება.

ზოგადად მკაცრი ცენტრალიზაცია არ წარმოადგენს კარგ მაგალითს ქვეყნის განვითარებისა ამიტომ აუცილებელია შეიქმნას მართვის ისეთი მოდელი, რომელიც არა მარტო განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაციისა და ახალი ეკონომიკური ორიენტაციის კურსის მთლიან შესაძლებლობას, არამედ დაგვანახვებს კიდეც საქართველოს როგორც ერთიანი, მთლიანი, მძლავრი და მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ცივილიზებულად ინტეგრირებული ქვეყნის მომავალს.

ასეთი მოდელის ჩამოყალიბებაში ერთ-ერთი მთავარი როლი უნდა შეასრულოს ადგილობრივმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ და აქედან გამომდინარე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ადგილობრივმა

მართვამ. ადგილობრივი ეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენს რა მთავარ შემადგენელ ნაწილს უნდა უზრუნველყოფდეს ქვეყნის მთლიანად და მისი ცალკეული რეგიონების დაბალანსებულ განვითარებას, „ცენტრსა“ და „რეგიონს“ შორის, ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ, თვით რეგიონების შიგნით რაიონებს, ქალაქებს, სოფლებს, დაბებს, საკრებულოებს შორის ცივილიზებული ეკონომიკურ-ფინანსური, სოციალურ-ფსიქოლოგიური, დემოგრაფიულ-ეკოლოგიური კლიმატის შექმნას, მხოლოდ მას შეუძლია განსაზღვროს ეკონომიკური სისტემის გარდაქმნის მიმართულებები და მასშტაბები. ამ პოლიტიკამ უნდა დაგვანახოს გრძელვადიანი და საშუალოვადიანი „თამაშის წესები“, რომლებიც უზრუნველყოფენ მთლიანად ქვეყნის და მისი რეგიონების ეკონომიკის ფუნქციონირების ძირითად პირობებს.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მართვის ადგილობრივი მოდელი თვითმიზანი არ არის. იგი ითვალისწინებს, რა რეგიონის განვითარების საქმიანობაში სახელმწიფოს მხრიდან ყოველდღიური ზღვარს გადასული ჩარევის შემცირებას.

სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში ამ მიმართულებით შექმნილი მდგომარეობა ისე ვეღარ პასუხობს ქვეყნის წინაშე საერთაშორისო პარტნიორების მიერ წამოყენებულ ამოცანებს. თანამედროვე რთულ პირობებში, რაც უფრო მეტი უფლება-მოსილება გადაეცემათ ადგილებზე, მით უფრო უკეთესი იქნება სახელმწიფოსთვის, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისათვის.

განსაკუთრებით უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ ცენტრიდან ქვემდგომი დონეებისათვის უფლებამოსილების გადაცემის გაღრმავებული პროცესი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მცირდება სახელმწიფოს როლი რეგიონების ეკონომიკურ ფუნქციონირებაში. ასეთი წარმოდგენა ძირშივე მცდარია და ეწინააღმდეგება მსოფლიოში არსებულ პრაქტიკას. სწორედ სახელმწიფომ უნდა შექმნას განვითარების აუცილებელი შესაბამისი გარემო. მან უნდა შეიმუშაოს ისეთი

ტაქტიკური ხერხები რომელიც ადგილზე განვითარების საფუძველზე უზრუნველყოფს ეროვნული მეურნეობის კრიზისიდან გამოყვანას და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების დონეზე განვითარებას.

ქალაქს თავის განვითარების პროცესში საკმაოდ დიდი პრობლემები ხვდება რაც ხელს უშლის სოციალურ ეკონომიკური განვითარებას. ასეთებათ შეიძლება ჩაითვალოს:

1.3.1 უმუშევრობა

უმუშევრობა საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საკმაოდ რთულად მოგვარებადი ასევე სამწუხაროდ რთულად დასაძლევი პრობლემაა. ეს პრობლემა ჩვენს ქვეყანას 90 იანი წლებიდან შავ ლაქად მოყვება ეს არის პრობლემა რომლის მოგვარებაც ქვეყნისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა უნდა იყოს. (NDI)-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის 2015 წლის კვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის 67% რთულ და გადაუჭრელ საკითხად სწორედ სამუშაო ადგილების არასაკმარისობას მიიჩნევს. ასევე კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა თითქმის 70%-ი თავს უმუშევრად თვლის. საქსტატი მიხედვით იგივე წელს უმუშევრობის დონეს საქართველოში საკმაოდ დაბალ 12.4% -ს აჩვენებს. აქედან ვახდენთ ანალიზს და მკაფიოდაც ჩანს, რომ თუ მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილითვლის უმუშევრობის არის პრობლემა რატომ არის ასეთი არაერთგვაროვანი მაჩვენებლები საქსტატისთვის და ასევე რატომ გვაქვს დიდი სხვაობა ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებსა და უმუშევრობის საკითხებზე ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების შედეგებს შორის. მთავრობას უმუშევრობის სენის თანდათანობით გადასაჭრელად მხოლოდ ერთადერთი მნიშვნელოვანი გზა რჩება: ხელი შეუწყოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას რაც შეიძლება ჩქარა და სწრაფი ტემპებით მოხდეს ეკონომიკის ზრდის მიღწევა და პარალელურად გააუმჯობესოს ხარისხი განათლების სისტემაში. ეკონომიკის სწრაფი ზრდის ხელის შეწყობა კი

თავისთავად მრავალ საინტერესო კომპონენტს გულისხმობს, როგორიც არის: პოლიტიკური სტაბილურობა, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ქვეყნის უსაფრთხოება, კერძო საკუთრების უდავოდ და უპირობოდ დაცვა, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების გაფართოება და აშ. ქვეყნის ხელისუფალმა არანაირად არ უნდა იფიქროს იმაზე, რომ უმუშევრობის პრობლემა ძირითადად საჯარო სექტორში დასაქმების ზრდით გადაჭრას, ეს მხოლოდ და მხოლოდ კიდევ უფრო გაზრდის ქვეყანაში ბიუროკრატიული ხარჯებს და ისევ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ტვირთად იქცევა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა მკვეთრი ზრდის გამო კერძო სექტორში დასაქმებულები ავტომატურად სამუშაო ადგილებს დაკარგავენ [9].

დიაგრამა N1 საქართველოს უმუშევართა რაოდენობა

ყოველ მუნიციპალიტეტში არსებობს მისთვის დამახასიათებელი უმუშევრობის გარკვეული დონე. ამასთან, მუნიციპალიტეტებში არ არსებობს დასაქმებისა და უმუშევრების დახმარების ცენტრები. მთლიანობაში აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარების გარეშე მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა უმუშევრობის შემცირებაში შეუძლებელი იქნება. იმ ქალაქებში, სადაც ვითარდება ის დარგები, რომლებიც დაკავშირებულია ვაჭრობასთან ან მომსახურებასთან, ქალებს დასაქმების უფრო მეტი შესაძლებლობები გააჩნია. ტურიზმის განვითარება კარგ შესაძლებლობას იძლევა როგორც ქალის, ასევე კაცის

დასაქმებისათვის. მცირე ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონკრეტული მუნიციპალური პროგრამები.

1.3.2. მოსახლეობის ზრდის დაბალი ტემპი

მოსახლეობა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ქ. თბილისის და ქ. რუსთავის გარდა შედარებით ნელა იზრდება. ეს შეიძლება იყოს განპირობებული სხვადასხვა გარემოებებით:

1. დემოგრაფიული მდგომარეობით;
2. შობადობის შედარებით მცირე ზრდით;
3. სიღარიბის მაღალი ხვედრითი წილით სხვა რეგიონებთან შედარებით;
4. ახალგაზრდობის დასაქმების პრობლემებით;
5. მოკვდაობის მაღალი წილით;
6. სოციალური დაცვის სისტემის ნაკლოვანებებით;
7. ცუდი სოციალური ინფრასტრუქტურით; და ასე შემდეგ [10].

ეს და სხვა პრობლემები ზემოქმედებს ოჯახების როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკურ მდგომარეობაზე და საბოლოო ჯამში წარმოშობს წინააღმდეგობებს ახალო ოჯახების შექმნასა და განვითარებაში რაც პირდაპირ ურტყავს დემოგრაფიას.



დიაგრამა: N 2 მოსახლეობის რიცხოვნობა

1.3.3. დაბალი შემოსავლები და სიღარიბის მაღალი დონე

ყველა მუნიციპალიტეტს გააჩნია შემოსავლების თავისი წყარო. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა დამოკიდებულია მხოლოდ ქალაქისათვის დამახასითებელი შემოსავლების წყაროებზე. მაგალითად, ქალაქ ფოთის შემოსავლების ძირითად წყაროა ნავსადგური, და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა. სიღნაღის და ზღვისპირა ქალაქების დღევანდელი შემოსავლები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იქ ჩასული ტურისტების რაოდენობაზე, ხოლო ქ. რუსთავის მოსახლეობის შემოსავლები კი - მათ ქ. თბილისში დასაქმებაზე.

გამოკვლევების საფუძველზე იძლევა იმის საშუალებას, რომ მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნეს დაბალი შემოსავლების მიზეზეზები (დასაქმების სტრუქტურა, საინვესტიციო გარემო, შრომის ბაზრის მდგომარეობა და სხვ.) და მუნიციპალური ბიუჯეტის შემოსავლებიც წარიმართოს ამ პრობლემების გადასაჭრელად.

1.3.4. განათლების პრობლემა

შრომის ბაზარს მჭიდრო კავშირი აქვს განათლებასთან. ამ კავშირის დადგენა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იგი საშუალებას იძლევა უმუშევრობის მიზეზები ვეძებოთ განათლების არასაკმარის დონეში, პროფესიული მომზადების ნაკლოვანებებში ან კიდევ კაპიტალდაბანდებებში და ინვესტიციების ნაკლებობაში. ინვესტიციების დაბანდებისათვის აუცილებელია შესაბამისი კადრების არსებობა. არის მზად თუ არა მუნიციპალიტეტი (ქალაქი) იმისათვის, რომ ინვესტიციების ზრდის პირობებში ადგილობრივი კადრებით უზრუნველყოს შრომის მწარმოებლურობის ზრდა და პირიქით, მუნიციპალიტეტს (ქალაქს) გააჩნია თუ არა შესაბამისი შრომითი

რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ კერძო სექტორის სწრაფ ზრდას და ქალაქის სტრატეგიული მნიშვნელობის რეალიზაციას?

ყოველ მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა საფეხურის სასწავლო დაწესებულებები. ზოგიერთ მათგანში მუნიციპალიტეტები აფინანსებდნენ უნივერსიტეტებსაც რის ნათელი მაგალითებია რუსთავის თბილისის პროგრამები 2017 წელს სადაც ხდებოდა სტუდენტებისთვის რომელთა საშუალო მოსწრება 78 პროცენტზე მაღალია და მისი და მისი ოჯახის სოციალური ფონი დაბალი დაეფინანსებინა მუნიციპალიტეტებს. თუმცა ფინანსების სიმცირის გამო ძალიან ბევრი მუნიციპალიტეტი ვერ ახერხებდაამ პროექტების დაფნანსებას რაც საკმაოდ ცუდია იმიტომ რომ სწავლაში ჩადებული კაპიტელი ერთ–ერთი მნშვნელოვანია.

მიზანშეწონილია, მუნიციპალური ბიუჯეტიდან დაფინანსება წარიმართოს სახელმწიფოს მიერ გამოვლენილი ეროვნული გამოცდების შედეგად წარმატებული სტუდენტების ხელშესაწყობად და ნაცვლად საგანმანათლებლო დაწესებულებების სუბსიდირებისა, დაფინანსდეს უშუალოდ სტუდენტები (მუნიციპალური ვაუჩერით ან სტიპენდიით), რომელსაც ისინი წარადგენენ იმ უნივერსიტეტსა ან საშუალო სპეციალურ დაწესებულებაში, სადაც ისინი მიღებენ უკეთეს განათლებას. ასეთი პრაქტიკა შექმნის ადგილობრივი საგანმანათლებლო დაწესებულებებისდაფინანსების კონკურენტულ პირობებს და გაზრდის მათ პასუხისმგებლობას.

მუნიციპალიტეტების ერთ-ერთი პრიორიტეტია საბავშვო ბაგა-ბაღების მოვლა-პატრონობა და განვითარება. საბავშვო ბაღების საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებელია აღსაზრდელთა და აქ დასაქმებულთა რაოდენობა და მათზე გაწეული ხარჯების თანაფარდობა. ამასთან, შრომის ბაზრის და დასაქმების გენდერული სტრუქტურის ანალიზი იძლევა იმის საშუალებას, რომ გავარკვიოთ, თუ რამდენად სარგებლობს ბაღა-ბაგის მომსახურებით დასაქმებული ქალები, რამდენად საკმარისია ბაგა-ბაღების რაოდენობა, არის თუ არა ბაგა-ბაღების საქმიანობა

დაკავშირებული ქალების შინამეურნეობებში დასაქმებასთან. საბავშვო ბაგა-ბაღებზე მოთხოვნა შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ მას მუნიციპალიტეტი აფინანსებდეს სუბსიდირების ფორმით და ამ სარგებელს იმ ოჯახის შვილებიც ღებულობდნენ, რომელთა მშობლებიც არ არიან დასაქმებულნი საზოგადოებრივი

1.3.5. ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობა

მუნიციპალიტეტებში ფუნქციონირებს არაერთი პროექტი რომელიც ხელს უწყობს მოსახლეობის გარკვეულ ფენას ხელი შეუწყოს და დაეხმაროს თავიანთი სამედიცინო პრობლემების მოგვარებაში. ბიუჯეტიდან გამოყოფილია თანხები მხოლოდ ისეთი პროგრამული მიზნებისათვის არის გათვალისწინებული, როგორიცაა შეჭირვებული მოსახლეობის სტაციონალური მკურნალობის პროგრამა, ინფექციურ დაავადებათა გამოვლენისა და მკურნალობის პროგრამა, შეჭირვებული მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა, სამედიცინო ტექნიკის შეძენა-განახლების პროგრამა, ალკოჰოლისა და ნარკომანიის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებათა პროგრამა, სანიტარული ზედამხედველობის პროგრამა და სხვ.



დიაგრამა: N3 პოლიკნინიკების რაოდენობა

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის კომპონენტი 2006 წლის პირველი ივლისიდან შევიდა ძალაში. კომპონენტის სამედიცინო მომსახურების სფეროებია: მობილურ სპეციალისტთა ბრიგადები, სტაციონალური სამედიცინო მომსახურება, ოჯახის ექიმის, უბნის ექიმის, უბნის **პედიატრის მომსახურება, ინსტრუმენტალურ-ლაბორატორიული გამოკვლევები, გადაუდებელი სტაციონალური მომსახურება, სამეანო** მომსახურება, სპეციალისტთა კონსულტაცია, გეგმიური ქირურგიული სტაციონალური მომსახურება. ამ მიზნით გაიცემა სამედიცინო პოლისები რომლებიც დაფინანსებული იქნებიან სახელმწიფო პროგრამების.



დიაგრამა: N 4 მოსახლეობის მომსახურება სასწრაფო დახმარებით

1.3.6. სოციალური დაცვის დაბალი ეფექტიანობა

სიღარიბის მაღალი დონე განაპირობებს სოციალურ დაცვაზე გამოყოფილი საბიუჯეტო თანხების დაბალეფექტიანობას. იგი ვერ მოიცავს ყველა სოციალურად დაუცველ ფენას. დახმარებებისა და შემწეობების გაცემა ვერ უზრუნველყოფს მათი სიღარიბის საზღვრებიდან გამოყვანას. მთლიანობაში მუნიციპალიტეტიდან გამოყოფილი თანხები მოიცავს სიღარიბის საზღვრებს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის დაახლოებით 15 პროცენტს.

მოსახლეობის სოციალური დაცვა ფინანსდება როგორც ცენტრალური ბიუჯეტიდან, ასევე მუნიციპალური ბიუჯეტიდან.

ბიუჯეტებიდან გაცემული სოციალურ დაცვაზე დანახარჯების მენიუ შეიცავს:

- კომუნალურ მოსახურებაზე შეღავათებს, მგზავრობას საქალაქო ტრანსპორტით, ოჯახურ დახმარებებს, მარტოხელა დედების, ახალგაზრდა ოჯახების, ობოლი ბავშვების, უპატრონო ბავშვების, ხანდაზმული ასაკის ადამიანების და სხვა დახმარებებს;
- სოციალური დაცვის პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა კანონით გათვალისწინებულ შეღავათებს;
- სასმელი წყლის და კანალიზაციის ღირებულების გადასახადს;
- ელექტრო კავშირის ღირებულების გადახდაზე შეღავათებს;
- მრავალშვილიანი ოჯახების წახალისების ხარჯებს და ყოველთვიური დახმარებებს მარტოხელა დედებზე და ყოველ ახალშობილზე ერთჯერად დახმარებას;
- ხანდაზმულ უხუცეს პენსიონერთა ერთდროულ მატერიალური დახმარებას;
- მშობლების მზრუნველობას მოკლებული სასკოლო ასაკის მოზრდებისათვის მატერიალურ დახმარებას და სხვა.



დიაგრამა N5. რეგისტრირებული და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა



დიაგრამა: N 6 საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის წილი

მუნიციპალური ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების მიმღებთა (ბენეფიციართა) ძირითადი ფენა ქალებია, რაც განპირობებულია, ერთის მხრივ იმით, რომ ეკონომიკური სტრუქტურის გამო დასაქმებულთა ძირითადი ტვირთი მოდის მამაკაცებზე, ქალები კი ქმნიან ძირითად მოთხოვნას სოციალური დახმარების მისაღებად და უზრუნველყოფენ ოჯახის შემოსავლების დაცვას. ამასთან, ისინი არიან ყველაზე დაუცველი ფენა, რომლებიც მიმართავენ მუნიციპალიტეტს დასახმარებლად. ამ გარემოების გათვალისწინებით მიზანშეწონილია ქალების დასაქმების შემწყობი ინფრასტრუქტურითა და შესაბამისი განათლებით უზრუნველყოფა.

1.3.7. ინფრასტრუქტურის განვითარება

საქართველოში მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთი პრობლემაა მოსახლეობის უზრუნველყოფა წყლით, სუფთა ჰაერით, გზებითა და სანიტარული ქსელით. ინფრასტრუქტურის მშენებლობა უნდა ემყარებოდეს ნორმატივებსა და სტრატეგიულ მიზნებს.

საქართველოში სხვადასხვა რეგიონში მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფა არსად არ აღწევს ოპტიმალური მოხმარების დონეს. უმრავლეს რეგიონში იგი მხოლოდ საბაზისო მოხმარების ტოლფასია,

რაც თავის მხრივ, წარმოშობს ჰიგიენის და სერვისების პრობლემებს. ამასთან, წყლის ხარისხიც მნიშვნელოვნად დაბალია.[2] ეს კი ძირითადად პრობლემებს უქმნის ქალის შრომას ოჯახში.

1.4. გამჭირვალედ მართვის ნაკლებობის შედეგად წარმოქმნილი პრობლემები ადილობრივ თვითმმართველობაში

საქართველოში ადგილზე თვითმმართველობის დეცენტრალიზაციის პროცესების სიმძლევრეების გაზრდა ჩვენი ქვეყნის ადგილობრივი მმართველობის რეფორმისთვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაწილია. სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის რეფორმის ბოლო ცვლილებებთა პაკეტი 2014 წელს თვითმმართველობისთვის ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტით კოდექსით აღინიშნა. ის, სხვა უამრავ საკითხებთან ერთად, მიზნად ისახავდა გამგებლებისა და მერების 50 პროცენტიანი ბარიერით, პირდაპირი წესით არჩევას. ასევე მთელი რიგი კომპეტენციების ქირურგიული სიზუსტით გაყოფას, როგორც ცენტრალურ და ადგილობრივ, ისე მუნიციპალიტეტების შიგნით წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს შორის. ასევე კოდექსში ცალსახად გაცხადდა, აუცილებლად სისტემის სასარგებლოდ გამოკვეთილიყო ადგილობრივი ხელისუფლების ფინანსურად დამოუკიდებლობის ზრდისკენ მიმართული პროცედურები და სურვილები რომელიც გარკვეულწილად სასიკეთოდ იმოქმედებდა დეცენტრალიზაციის საკითხების სწორად შექმნაზე. მიუხედავად სამართლებრივი ჩარჩოების უზრუნველყოფისა, აღნიშნული ფორმები მუნიციპალიტეტებში სამწუხაროდ არაერთგვაროვნად დაინერგა. ამის რამდენიმე მკაფიო მიზეზი შეიძლება, გამოფილ იქნას: მუნიციპალიტეტებში არასასურველი მატერიალური და ტექნიკური ბაზა, ასევე გამოცდილება და რაც მათავარია ქვეყანაში პოლიტიკური ნების ნაკლებობა. ასევე უფრო მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის საკითხი იმის შესახებ

ჩაერთონ ყოველდღიურად პოლიტიკურ პროცესებში და რათქმაუნდა საკუთარი წვლილი შეიტანონ ამ პროცესებით ჩვენი ქვეყნის ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტაში. ბოლო არსებული გამოკითხვების მიხედვით, სამწუხაროდ მოსახლეობის მხოლოდ ძალზედ მცირე ნაწილია ინფორმირებული მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ. ასევე, უმნიშვნელოა იმ ადამიანების რიცხვი, რომელთაც აქვთ ინფორმაცია ადგილებზე ახლად დანერგილი საკითხების მექანიზმების შესახებ. (CTC) კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრის, მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის(MSDC) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა (IDFI) ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი. აღნიშნულმა კვლევებმა ადგილებზე მუნიციპალიტეტების ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობისა შეფასებით საკამოდ დაბალი შედეგები აჩვენა[11].

თუ კი ბოლო კვლევებს გადავხედავთ ვნახავთ, რომ გამჭირვალობის კუთხით მუნიციპალიტეტების მაჩვენებლები არ გვაძლევს სახარბიელო მდგომარეობას და მიუხედავად იმისა რომ რამოდენიმე მუნიციპალიტეტი ამ კუთხით წინ არის საერთო სურათი უკეთესის იმედს არ იძლევა. ჩაკეტილი სისტემა არაინფორმირებულობა მოსახლეობის ასევე არაგამჭირვალობა ეს თვითმართველობისთვის დადებით შედეგს ვერ მოგვცემს და პირიქით ხელს შეუშლის დეცენტრალიზაციის გაღრმავებას. რაც მთავარია ჩაკეტილი პრინციპით ქალაქის მართვა ყოველთვის იწვევს მართვის ინდიკატორების არასწორად დაგეგმას და ხშირ შემთხვევაში არასამართლიანი და არაეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას.





დიაგრამა N: 7. 2017 წლის თვითმმართველობის ინდექსის შედეგები

კვლევების შედეგად დადგენილ იქნა პრობლემებისა და გამოწვევების გადასაჭრელად, აუცილებელი, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგას ადგილობრივ დონეზე გამჭვირვალობის მოქალაქეთა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მიმართულებით [11].

1.5. ქალაქის თანამედროვე ფუნქციები

ქალაქების დაარსება და განვითარება მჭიდრო კავშირშია შრომის გეოგრაფიულ დანაწილებასთან. ქალაქთა უმრავლესობის განვითარების ძირითადი ფაქტორია საზოგადოებრივი წარმოების ფუნქცია, თუმცა არსებობს ქალაქ წარმომქმნელი ფაქტორებიც:

- ადმინისტრაციული (ჩვეულებრივი სხვა ფატორებტან ერთად);
- სამხედრო–სტრატეგიული (ციხე ქალაქი);
- დასასვენებელი და სამკურნალო (საკურორტო ქალაქები);
- სამეცნიერო საუნივერსიტეტო;
- რელიგიური;

თანამედროვე პირობებში ბევრმა ქალაქმა შეიძინა სხვა დანიშნულებაც: ტურისტული, სამუზეუმო, საფესტივალო, სპორტული და ასე შემდეგ. თითოეული ქალაქის ფუნქციური ტიპი არსებითად განისაზღვრება მისი გეოგრაფიული მდებარეობით და ქალაქსა და მისკენ მიზიდულ ტერიტორიას შორის კავშირებით [12].

რას ნიშნავს ადმინისტრაციული ტიპის ქალაქი – ეს არის ქალაქი რომლის წარმოქმნის პოცესში რაიმე სტრატეგიულ ან გარეშე ფაქტორებს არ მიუღიათ მონაწილეობა. ასეთი ტიპის ქალაქები განთავსებულია გაშლილ ტერიტორიებზე რის გარეშემოც მრავლად არის სასოფლო დანიშნულების ტიპის დასახლებები ანუ ასეთი ქალაქები ბუნებრივად წარმოქმნილია და მისი წარმოქმნის ერთ–ერთ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს სურვილი სიმჭიდროვე და აკუმულაცია საზოგადოების ერთ კონკრეტულ ხელსაყრელ ტერიტორიაზე. რომლის ძირითადი მიზანია უფრო კარგი ცხოვრების სურვილი. ასეთ ქალაქები როგორც წესი ძველია და დიდი ისტორიული მემკვიდრეობა გააჩნია. დღეის მდგომარეობით ეს ქალაქები უფრო ისტორიული ტიპის ქალაქებია რომელთაც ტურისტული მიმზიდველობის მაღალი კოეფიციენტით ხასიათდება რომელსაც საკმაოდ დიდი რაოდენობით ტურისტები სტუმრობენ მაგალითისთვის; პარიზი, ლონდონი, რომი, პრაღა და ასე შემდეგ.

სამხედრო – სტრატეგიული ტიპის ქალაქი. ასეთი ტიპის ქალაქები ისტორიულად როგორც წესი ქალაქი სახელმწიფოების ტიპის ქალაქებია, ასეთი დასახლებები საკმაოდ ხშირად იყო საზღვრის პირა ქალაქები, რომელთაც სამხედრო სტრატეგიული როლი ქონდათ. მაგალითად: ახალციხე რაბათის ციხე რომელიც საუკუნეების განმავლობაში იყო სტრატეგიული ციხე არამარტო ქართველებისთვის არამედ თურქებისთვისაც. რუსთავის ციხე ანუ ციხეგოჯი რომელიც ძველი ქალაქია და მას საუფლისწულო ქალაქსაც უწოდებდნენ, და დედაქალაქის დამცავ ქალაქად ითვლებოდა.

დასასვენებელ და სამკურნალო – ქალაქი. ასეთი ქალაქები როგორც წესი იქმნება ბუნებრივი თერმული ად მსგავსი ტიპის გარემო პირობების ირგვლივ და მისი შექმნაც სწორედ ამ რესურსის გამოყენებას უკავშირდება.

ასევე არსებობს სამრეწველო ტიპისქალაქები რომლის შექმნაც სტრატეგიულია და განკუთვნილია იმ დასახლებულ პუნქტში მოხდეს თავმოყრა მთლიანი სამრეწველო პოტენციალის. საქართველოს მაგალითზე ასეთ ქალაქი იყო რუსთავი რომელიც შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ და მისი ძირითადი მიზანი იყო მთელი სამრეწველო პოტენციალის აკუმლირება ერთ ტერიტორიულ ერთეულში . ასევე არსებობს ქალაქები სადაც სამრეწველო პოტენციალი ბუნებრივ რესურსებსაა მიბმული ასეთი ქალაქები საქართველოში არის ტყიბული ჭიათურა, და ასე შემდეგ.

საბოლოოდ შეიძლება ვთქვათ რომ ქალქებს მისი ჩამოყალიბების პროცესში გააჩნიათ თავის სტატუსი და შესაბამისად სტრატეგიაც. ასეთის არსებობა ქმნის სისტემის შექმნის წინაპირობას, როდესაც გარკვეულია თუ როგორი სახის და ხასიათისაა ქალაქი შესაძლებელია განსაზღროს ასევე რა ინდიკატორული მაჩვენებლებია საჭირო რომ ქალაქი სწორად განვითარდეს და მისი მართვა მარტივი იყოს და ეფექტურიც.

ქალაქების განვითარება საინტერესო პროცესია, არსებობს არაერთი მაგალითი იმისა რომ ქალაქი სახელმწიფოები იმ ეპოქის სწორი განვითარების და სტრატეგიის მეშვეობით როგორ ხდებოდნენ

სახელმწიფოები ასევე იმპერიები, სწორი სტრატეგია და მართვის სისტების შექმნა ხელს უწყობს ქვეყნის და პირველ რიგში ქალაქების განვითარებას. მაგალითად რომის იმპერია ესაა ნათელი მაგალითი იმის თუ როგორ გარდაიქმნა ძველი რომიდან (ქალაქი სახელმწიფოდან) სახელმწოფო იმპერიად და ბოლოს რესპუბლიკად. სწორი სტრატეგია და მართველობის სისტემების სწორი ჩამოყალიბება ქმნის სახლმწიფოს.

რომის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ ვნახავთ რომ ქალაქი სახელმწიფოდან აგრესიული პოლიტიკის მეშვეობით რომი გადაიქცა იმპერიად ხოლო ბუნებრივმა პროცესებმა ასევე სახელმწიფოებრივმა აზროვნებამ და იმ ეპოქისთვის დამახასიათებელმა ინოვაციების ანალიზმა და მართვამ ჩაუყარა საფუძველი რესპუბლიკის შექმნას. მონარქიის დამხობის შემდგომ რომში ჩამოყალიბდა რესპუბლიკური წყობა. შემოვიდა ახალი ტერმინი მოქალაქეობა რაც პრივილეგიას ნიშნავდა და მოქალაქე აქტიურად იყო ჩართული ქალაქის მართვაში [13].

თუ რომის რესპუბლიკა ქადაგებდა დემოკრატიის პრინციპებს სწორედ იმ ეპოქაში და მოგვიანებითაც არა ერთ ქვეყანაში მართველობის განსხვავებული სისტემები იყო როგორიცაა მონარქიული. ასეთ შემთხვევებში ქალაქების მართვა მემკვიდრეობითს წარმოადგენდა, სადაც მართვა გვაროვნული კლანური თუ სხვა მსგავსი სისტემის მეშვეობით ხდებოდა. ყველა სახელმწიფოს წინამძღვარს მართველს აქვს მინიჭებული უფლებამოსილება ჩამოაყალიბოს ისეთი მართვის სისტემა რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარებსა. ასევეა ქალაქების მაგალითზე დღევანდელ ეპოქაში თვითმმართველობის ხელმძღვანელები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ირჩევა სხვადასხვა ფორმით, მათ შორის საქართველოშიც და სწორედ არჩეულმა მმართველმა უნდა შექმნას სტრატეგია სწორი მართვისა და მართვის პროცესში დანერგოს ისეთი სისტემები რომელიც ხელს შეუწყობს გამარტივებულ მართვას ასევე სწორი ანალიზის საფუძველზე შექმნას ისეთი სისტემა რომელიც მოახდენს პრობლემების მყისიერ სწორ იდენტიფიცირებას და შეეცდება მოცემული იდენტიფიცირებული პრობლემების სწორად გადაწყვეტას შესაბამისი დანერგილი სისტემების მეშვეობით.

ნებისმიერი პრობლემის აღმოფხვრა იდენტიფიცირების შემდგომ ითხოვს ანალიზს და სწორი სისტემების მეშვეობით მყისიერ და კარგ გადაწყვეტილებას. საქართველოს რეალობაში არის არაერთი მაგალითი იმისა თუ როგორ შეიძლება კარგად დავგეგმოთ ნებისმიერი პროცესი ან პირიქით ვერ გავართვათ თავი ელემენტარულ საკითხს სისტემის არარსებობის გამო.

თუ ისევ დაუბრუნდებით თვითმმართველობას და ქალაქების მართვას მივხვდებით რომ დეცენტრალიზაციაც ეს არის სისტემა დანერგილი რომელიც საზღვრავს უფლებამოსილებების მკაფიო გამიჯვნას და თუ გადავხედავთ უახლოეს ისტორიას მივხვდებით, რომ მართვის პროცესში უფლებამოსილებების გადაცემა ეს არის მართვის გაუმჯობესების ერთ–ერთი უნიკალური საშვალება ვინაიდან ცენტრალიზებული მმართველობა ეს არის მოუქნელი სისტემა სადაც ინოვაციების დაგეგმა რთულია ასევე რთულია მარტივი და სწორი გადაწყვეთილების მიღება, როგორც წესი მსგავსი მმართველობა დამახასიათებელია დიქტატურისკენ მიდრეკილ ხელისუფლებისა და ქვეყნისთვის.

მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ მთელი რიგი ქვეყნების ქალაქების მართვის შედარებითი ანალიზი სადაც მკაფიოდ გამოჩნდება თუ რამხელა როლს თამაშობს დცენტრალიზაცია და ასევე დეცენტრალიზაციის საფუძველზე მარტივი და მოქნილი სისტემის ქონა ქვეყნის წინსვლის პროცესში ასევე გადაწყვეტილებების პროცესში სწორი ანალიზის ფორმირება.

თუ ავიღებთ ქართულ მაგალითს შეგვიძლია ვთქვათ რომ საქართველომ 2014 წელს მიიღო უპრეცენდენტო გადაწყვეტილება თვითმმართველობის განვითარებაში და გადადგა დიდინაბიჯი რაც გულისხმობს მერების და გამგებლების პრიდაპირი წესით არჩევს.

არჩეული მერები კიდევ უფრო დამოუკიდებლები ხდებიან მართვის პროცესში. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ მერი ირჩევა 4 წლის ვადით ეს სრულიად საკმარისია იმისთვის რომ არჩეულმა მერმა სწორად დაგეგმოს ქალაქის განვითარების 4 წლიანისტრატეგია. თუ ჩვენ გადავხედავთ

კანონის ცვლილებამდე არსებულ მდგომარეობას მივხვდებით რომ არჩევნები და არჩეული ხელმძღვანელები ეს დიდი ნახტომია კარგი და დახვეწილი სისტემების შესაქმნელად მაგალითისთვის რუსთავს 2014 წლამდე 15 წლის განმავლობაში მართავდა 8 მერირაც საშვალოდ გულისხმობს იმას, რომ ერთ მერს საქიანობისთვის და მართვის პროცეში სისტემების დანერგვისთვის არც მეტი არც ნაკლები საშვალოდ წელიწადი და რვა თვის პერიოდს ჰქონდა, რაც საკმაოდ მცირე პერიოდია ქალაქისთვის რამე მოქნილი გადაწყვეტილების მისაღებად, მითუმეტეს რაიმე სისტემის დასანერგად და შემდგომ მისი შედეგის ავკარგიანობის განსასაზღვრად.

თუ გადავხედავთ სხვა ქალაქებს ანალოგიური სიტუაცია იყო მაგალითისთვის ქუთაისი სადაც წელიწადში 4 მერი შეიცვალა. თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ ეს პროცესი დალაგდა რაც გულისხობს იმას რომ არჩეულ მერს ეძლევა საშვალება სრული პასუხისმგებლობის ქვეშ მაღალი ლეგიტიმაციით მიიღოს გადაწყვეტილებები და დანერგოს ისეთი სისტემები რაც ხელს შეუწყობს ქალაქის განვითარებას. არჩევითი თანამდებობები თვითმმართველობაში ზრდის ლეგიტიმაციას.

1.6. ელექტრონული მმართველობის მსოფლიო ტენდენციები

მსოფლიოში ინტერნეტ სისტემების დანერგვამ გარკვეული აფეთქება მოახდინა თანამედროვე ინფორმაციულ სფეროში და მალევე შესაძლებელი გახადა დიდი სისწრაფით განვითარებულიყო ინფორმაციის მოპოვება ასევე გავრცელება მთელი პლანეტის მასშტაბით, რამაც თავისთავად დასაწყისი მისცა ქვეყანაში უპრეცედენტოდ სწრაფ ცვლილებებს. მალევე საზოგადოებისთვის შესაძლებელი გახდა მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა კუთხის დაუყონებლივი ურთიერთ დაკავშირება და განვითარება. ეს კი რათქმაუნდა ზეგავლენას ახდენს

ქვეყნების ყოველდღიურ ცხოვრების წესზე; რაც ხელს უწყობს საზოგადოების მიერ ახალი ტიპის გაერთიანებების ასევე ასოციაციების ჯგუფების შექმნას რაც ასევე ახლო თუ გრძელვადიან პერსპექტივაში რათქმაუნდა მნიშვნელოვნად ცვლის სახელმწიფოთა მართვისა და მოწყობის ძირითად პრინციპებსა თუ შინაარს. 20 საუკუნის სწრაფმა ტექნოლოგიურმა გადატრიალებებმა სწრაფად შეცვალა დასავლეთის ქვეყნები. ისინი ნელ-ნელა ეტაპობრივად გადავიდნენ აგრარული ტიპის საზოგადოებიდან ინდუსტრიულ ტიპის საზოგადოებისკენ. წინა საუკუნის ტექნოლოგიური განვითარების ბოლო ტალღამ, საკომუნიკაციო და საინფორმაციო გამოგონებების სფეროში მალევე დაასრულა დასავლეთის ქვეყნებში მაღალი ინდუსტრიული ეპოქა და გარდაქმნა აღნიშნული საზოგადოება ინდუსტრიულ „საზოგადოებად". თანამედროვე ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა სრულიად შეცვალა არა მარტო ეკონომიკის, არამედ საზოგადოების სოციალური შემადგენლობაც, რამაც ქვეყნების საზოგადოებები ახალი გამოწვევებისა და ამოცანების წინაშე დააყენა გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა ასევე ქვეყნების პოლიტიკური ისტებლიშმენტი და რაც მთავარია და მათი მმართველობის რეჟიმები.

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებისა უპრეცედენტო ზრდის პირდაპირი შედეგია ციფრული მმართველობის დამკვიდრება დასავლეთის უამრავ სახელმწიფოებში. თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში დემოკრატიის ხარისხი ეხლა უფრო მკვეთრად მაღალი საფეხურზეა ასული და შესაბამისად ციფრული დემოკრატიის სწრაფი ზრდაც მუდმივად სახეზეა. ეს რათქმაუნდა მნიშვნელოვნად ზრდის დემოკრატიის პოტენციალს ქვეყნებში, მის ქმედითობას და ეფექტიანობას. ელექტრონული დემოკრატიის უმთავრესი შემადგენელი ნაწილი და რათქმაუნდა მისი ფუნქციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ეს არის ელექტრონული მმართველობა. ასეთ მართველობას დასავლეთში უწოდებენ “Electronic government, E-

government”. ელექტრონული მმართველობა ყოველთვის ემყარება ტექნოლოგიური სიტემების გამოყენებას ქვეყნის მართვის პროცესში. ის რათქმაუნდა მოიცავს ადგილობრივ თვითმმართველობას და ასევე სახელმწიფო მმართველობას ეროვნულ დონეზე. მისი მართვის ძირითადი ინსტრუმენტებია ციფრული ტექნოლოგიები და გლობალური საკომუნიკაციო სისტემები, რაც რა თქმა უნდა საშუალებას იძლევა შეიქმნას სახელმწიფოს ნებისმიერი სტრუქტურების, ორგანიზაციების ვებგვერდები, სადაც განთავსდება ინფორმაცია მათი საქმიანობის, მდგომარეობის, ვაკანსიების და ბევრი სხვა საკითხების შესახებ.

თანამედროვე ელექტრონულ მმართველობას სულ უფრო შეუძლია სახელმწიფო სექტორის ყოველწამიერი მუშაობა გახადოს უფრო: რაციონალური, ხალხთან საკმაოდ დაახლოებული და ამასთან რათქმაუნდა გაცილებით ეკონომიური; დაზოგოს ფინანსები, მატერიალური რესურსები; მისი საშუალებით გაცილებით უფრო მოქნილი და ეფექტური ხდება სახელმწიფოს კომუნიკაცია საზოგადოებასთან, მოქალაქესთან, ბიზნესთან რეგიონებთან, ასევე რაც მთავარია თვით სახელმწიფო სტრუქტურებს შორის. დღესდღეობით მკაფიოდ შედეგზე ორიენტირებული სახელმწიფო მართვა ცალსახად წარმოუდგენელია ელექტრონული მმართველობის გარეშე, საქართველოში ამ მხრივ ბევრი რამ ინერგება და ამ ახალი სისტემების დანერგვას, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა [14].

ამ კუთხით საქართველო მაქსიმალურად ცდილობს იყოს ჩართული და ამ მიმართულებით არაერთი ქმედითი ნაბიჯებიც განახორციელა რასაც თანამედროვე ტერმინოლოგიით **ღია მმართველობა უწოდეთ**. ეს არის სახელმწიფოსა და საზოგადოების კიდევ უფრო ჩართვა ქვეყნის მიმდინარე ნებისმიერ პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოენებით.

1.7. ღია მმართველობა საქართველოში

ღია მმართველობის ყველაზე მნიშვნელოვანი და ძირითადი ფუნდამენტური პრინციპები - მთავრობათა გამჭირვალობა ღიაობაა, რადგან ეს ფაქტორები აჩვენებენ სახეზე მთავრობების საქმიანობებს, საზოგადოების წინაშე მუდმივი ანგარიშვალდებულება და რათქმაუნდა მოსახლეობის ჩართულობა ყოველ ეტაპზე გადაწყვეტილების მიღების პროცესშიც აუცილებელი ფაქტორია და ის საქართველოს მთავრობისთვის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ქვაკუთხედად უნდა იქცეს ვინაიდან თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, საქართველო მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ნდობის მაჩვენებლის ამაღლებას რაც ჩვენ პირობებში საკმაოდ არაერთგვაროვანია და სამწუხაროდ დაბალიც.

საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელიც საკუთარი ინიციატივით გამოთქვა სურვილ აქტიურად ჩაერთულიყო ღია მმართველობის პარტნიორობაში 2011 წლის სექტემბერში. აღნიშნული დოკუმენტი ჩვენი ქვეყნის რიგით მეორე სამოქმედო გეგმაა. მიუხედავად ჩვენი ქვეყნის საკმაოდ საინტერესო პოსტ-საბჭოთა წარსულისა, დღეს საქართველო ევროპის ქვეყნებს შორის გარკვეულწილად მაინც გამოირჩევა როგორც კორუფციის და მექრთამეობის დაბალი მაჩვენებლით. აღნიშნული კვლევის მიხედვით საქართველო მექრთამეობის მაჩვენებელი არც მეტი 5 პროცენტზე ნაკლებია, ხოლო რაც შეეხება მსოფლიო ბანკის კვლევების მიხედვით ბიზნესის კეთების შესახებ, საქართველს საინტერესო ათეულშია.

ჩვენი ქვეყანა ბოლო 10 წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებებით ამაყობს, კერძოდ შესყიდვების, სახელმწიფო ფინანსების გამჭვირვალობისა და საჯარო სერვისებით და რაც მთავარია ქვეყანაში უზრუნველყოფის სფეროში მიღწეული შედეგებით. აღნიშნულმა ქვეყნისთვის დროულმა ინიციატივებმა, საერთაშორისო დონეზე

მოწონება და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) კუთვნილი ჯილდოც დაიმსახურა.

საქართველოს თავისი განვითარების რთულ გზაზე არაერთი გამოწვევა ელოდება. სწორედ ღია მართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ არის ასახული გამჭირვალობისა და ანგარიშვალდებულების ის დღისწესრიგი რომელიც მრავლად არის დახუნძლული საინტერესო რეკომენდაციებით.

ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა არასამთავრობო ორგანიზაციათა მთელი ჯგუფების და მთავრობის ერთობლივი ნამუშევარია. მის შემუშავებაში ასევე აქტიური მონაწილოება მიიღო რეგიონებში აქტიურმა საზოგადოების ნაწილმა საჯარო კონსულტაციების გზით.

საინტერესოა ის ფაქტორები, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად სახელმწიფოსთვის ქვეყნის მაშტაბით გამართულ ფორუმის ფარგლებში ქვეყნაში საჯარო კონსულტაციების მეშვეობით განხორციელებულ გეგმას სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს. ასევე მათი წარმოადგინეს დამატებითი რეკომენდაციები რომლებიც ვალდებულებების სახით აისახა სამოქმედო გეგმაში. აღნიშნული გეგმის პირველი ეტაპი შემუშავდა და დამტკიცდა და მალევე დატკიცდა. თუმცა, ეს გეგმა არ იყო გამყარებული არანაირი სახის ნორმატიული აქტით.

2013 წლის საქართველოს მთავრობის განკარგულებით მოხდა აღნიშნული საკითხის გადაჭრა და ღია მმართველობის კოორდინაცია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორის საბჭოს (ანტიკორუფციული საბჭო) დაევალა. აღნიშნულმა საბჭომ შესაბამისი სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთ-ერთი თანამშრომლობის თანამედროვე ფორუმის სახელმძღვანელო წესები შეიმუშავა, სადაც დეტალურად გაიწერა ყველა ფუნქცია და პროცედურები, აღნიშნულ სამოქმედო გეგმის ფარგლებში არაერთი საჯარო კონსულტაციები

ჩატარდა საქართველოს 15 ქალაქში USAID-ის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებისა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. ქვეყნის მასშტაბით გამართულ ოცამდე შეხვედრაში 700-მდე დაინტერესებულმა პირმა მიიღო მონაწილეობა.[15].

აღსანიშნავია ის ფაქტი რომ ღია მართველობის განვითარებისთვის 2014 წელს ჩატარდა საკმაოდ მოცულობითი სამუშაოები, სადაც იქნა მკაფიოდ განსაზღვრული ის გამოწვევები რომელიც შეიძლება ყოფილიყო რეფორმის ჩამოყალიიბების და დახვეწის პროცესში.

ზოგადად ელექტრონული მმართველობა ღია მმართველობა ეს ურთიერთ შეთავსებადი საკითხებია რომლების განვითარებაც ერთმანეთის გარეშე შეუძლებელია ელექტრონული მმართველობის ქართული ტენდენციები საკმაოდ სპეციფიკურ ისტორიას მოიცავს.

ბოლო პერიოდში თანამედროვე სისტემების განვითარებამ შექმნა ისეთი თანამედროვე მართვის ელექტრონული სპეციფიური სისტემები რომელიც აქტიურად ეხმარება სახელმწიფოს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის გმჭირვალობაში ასეთებია:

1.7.1. ელექტრონული შესყიდვა

საქართველოში ელექტრონული შესყიდვა იმ პერიოდისთვის ჩვენი ქვეყნისთვის თანამედროვე მმართველობის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ნახტომი და ქვეყნის ელექტრონული მართვის სისტემებზე დაფუძნებული გამჭირვალეობის ერთგვარი გამოძახილია. იგი სრულად ელექტრონიზირებულია რაც მთავარია არის ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის სახლიდან გაუსვლელად. ასევე არის საკმაოდ გამჭირვალე და მოქნილი. აღნიშნული სისტემის დანერგვა აუცილებელი გახდა მუდმივი კორუფციული ფაქტების არსებობის გამო. შესაბამისად აუცილებელი გახდა ქვეყანაში მოძიებულიყო ისეთი ღია და გამჭირვალე მექანიზმი რომელიც კარგად მოერგებოდა საქართველოს

კანონმდებლობას და თავშივე გამორიცხავდა კორუფციის ნიშნებს. დღესდღეისობით სახელმწიფოს მიერ დაწყებული ნებისმიერი შესყიდვა პირველივე წუთებიდან არის ღია და საჯარო საზოგადოებისთვის ასევე ხელმისაწვდომი როგორც დაინტერესებული პირებისთვის ასევე პოტენციური შემსრულებლებისთვის. სახელმწიფო შესყიდვების სისტემა ზოგადად ეს არის საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების ერთადერთი ოფიციალური გვერდი, რომელიც მკაფიოდ უზრუნველყოფს ღია, გამჭვირვალე და კონკურენტუნარიან გარემოს ნებისმიერი პირისათვის ვისაც სურს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილეობა

სურათი:N 1 შესყიდვების სააგენტოს ვებ გვერდი

სისტემის სრულფასოვან ფუნქციონირებას 24 საათის განმავლობაში უწყვეტად უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

არსებული სისტემით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ ადამიანს და მისი მართვა საკმაოდ მარტივია. ელექტრონული გვერდის აკრეფის და შესვლის შემდგომ მარტივად არის შესაძლებელი შესაბამისი დაინტერესების სფეროების მიხედვით ნახო და აირჩიო გამოცხადებული მიმდინარე თუ დასრულებული ტენდერები. ქვეყნის ნებისმიერი კუთხის თუ ქალაქის მიხედვით. არსებობს საკმაოდ მოხერხებული ველები

რომელიც გისაზღვრავს ინტერესის სფეროს რაც საკმაოდ ორიგინალურია მართვის სიმარტივის კუთხით.



სურათიN2 შეტყობინების ველი

ასევე აღნიშნულ სისტემას გააჩნია ნებისმიერი უწყების (რომელსაც ევალება საქართველოს კანონის შესაბამისად აწარმოვებდეს მსგავს რეგისტრაციას) მონაცემები. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ნებისმიერმა ადამიანმა ნებისმიერი ქვეყნიდან სტუმრის სტატუსით შეუძლია, ნახოს გაანალიზოს და მონაწილეობა მიიღოს შესყიდვების ნებისმიერ პროცესსში როგორც მხარემ. ასევე საზოგადოებიდან ხშირად არის ამა თუ იმ შესყიდვების პროცედურაზე ინფორმაციაზე წვდომის პრობლემა.

სისტემაში შესვლით მათ თავისუფლად შეუძლიათ ნახონ ნებისმიერი ტენდერის საწყისი ფასი ასევე ვაჭრობის შედეგად მიღებული შედეგები და რაც მთავარია ამ სისტემას გააჩნია საკმაოდ დიდი ფილტრები იმისთვის რომ არაკეთილსინდისიერმა როგორც დამკვეთმა ასევე შემსრულებელმა ვერ მოახერხოს კანონის გვერდის ავლა [16].

1.7.2. საქმის წარმოების დოკუმენტი

სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობის დოკუმენტი, ეგრეთ წოდებული E დოკუმენტი ეს გახლავთ საჯარო მოხელეთათვის წოველწამიერი მოხმარების ბოლო წლების ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი მართვის სისტემა რომელმაც საგრძნობლად მოახდინა სახელმწიფო უწყებებში შესასრულებელი სამუშაოების ვადების მკვეთრი შემცირება. ასევე დაუშვებელი და ფიზიკურად წარმოუდგენელი გახადა დოკუმენტის დაკარგვის ალბათობა და გამჭირვალე გახადა შემსრულებლი სამუშაოს პასუხისმგებლობის კოეფიციენტის განსაზღვრა, ასევე შესაძლებელი გახდა დოკუმენტის მოძრაობის სრული გამჭირვალობა. საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა ეს არის ერთ-ერთი ინოვაციური და საკმაოდ პროგრესული პროდუქტი, რომელიც ხელს უწყობს ქვეყანაში მაქსიმალურად გამარტივდეს პროცესები. სისტემის მთავარი ხიბლი სამსახურებრივი დოკუმენტების ქაღალდის გამოყენების გარეშე მოძრაობის საშუალებას იძლევა. აღნიშნულ სისტემას გააჩნია ისეთი უპირატესობები, როგორიც არის:

- დროისა მნიშვნელოვანი შმცირება;
- საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა:
- დავალებების მყისიერად ეფექტური და მოქნილი მართვა;
- MS Office-თან სინქრონიზებულობა;
- სამეურნეო ხარჯების შემცირება;
- უსაფრთხოების მაღალი ხარისხი;

აღნიშნული სისტემით სარგებლობს თითქმის ყველა სახელმწიფო ორგანიზაცია. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს სამინისტროები და სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სიპები. ადგილობრივი თვითმმართველობები, ავტონომიური რესპუბლიკა სახალხო დამცველის ოფისი და ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი და სხვა [17].

1.7.3. საჯარო რეესტრის ელექტრონული სისტემა

ეს სისტემა ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი სისტემაა რომელიც 2004 წლიდან ჩამოყალიბდა. საქართველოში საჯარო რეესტრის შექმნა იმ პერიოდისთვის ერთ - ერთი ყველაზე გონივრული პროცესი იყო ვინაიდან ის ახდენდა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის მოწესრიგებას შესაბამისად ეს გადაწყვეტილება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა, თუმცა ამ სისტემის ჩამოყალიბებას საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობით უამრავი პრობლემები ერგო: ქვეყანაში საერთოდ არ არსებობდა არცერთი უწყების არა თუ სრულფასოვანი არამედ რაიმე სახის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი სულ ცოტათი მაინც გამართული ინფრასტურქტურა, არ არსებობდა არანაირი საკანონმდებლო ბაზა, სამინისტრო სადაც აღნიშნული საკითხების დოკუმენტაცია ინახებოდა სისტემა განიცდიდა მაღალკვალიფიციური კადრების დეფიციტს, რაც ავტომატურად მომსახურების საკმაოდ უჩვეულო და დაბალ კულტურის მაჩვენებელს განაპირობებდა. სააგენტოში იყო მუდმივი რიგები და მიუღებელი არაკვალიფიცირებულობაზე დაყრდნობილი პასუხები. ასეთი კვალიფიკაცია და მიდგომები საზოგადოებისთვის ბუნებრივ მოვლენად აღიქმებოდა. შესაბამისად ფრაზა - „ქონების რეგისტრაცია“ ასევე ერთი ფანჯრის პრინციპი საზოგადოებისთვის აუხტენელი ოცნების სერიიდან იყო. შესაბამისად არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, საჭირო გახდა მომხმარებელზე პირველ რიგში მოსახლეობაზე ორიენტირებული,

გამჭვირვალე, უსაფრთხო და ერთიანი სარეგისტრაციო სისტემის შექმნა. ამისთვის უწყებაში დაიწყო ძირეული ცვლილებები მალევე დაიგეგმა და რეფორმების გატარდა ოთხი ძირიტად ეტაპად - ესენი იყო საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, ინსტიტუციური და ტექნოლოგიური მიმართულებებით. სისტემის შექმნის პროცესში მთავარი აქცენტი პირველ რიგში კადრების გადამზადებასა და სარეგისტრაციო პროცედურების გამარტივებასთან ერთად ასევე თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების პრაქტიკულ გამოყენებაზე გაკეთდა. დღეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მოქმედი სისტემა დახვეწილია. საკადრო პოლიტიკა და ინფორმაციების მოქნილად მიწოდება სამაგალითოა ბევრი სახელმწიფოსთვის. ხოლო აღნიშნული უწყების ეფექტური მუშაობა კი სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგებით დასტურდება რაც სასიხარულო ფაქტია. საჯარო რეესტრის წარმატების ერთ–ერთი პირველი ქვაკუთხედი ელექტრონული სისტემაა რომელიც საკმაოდ მოქნილად ემსახურება მოსახლეობას. აღსანისნავია ელექტრონული რეგისტრაციები და ერთი ფანჯრის პრინციპის არსებიბა. ასევე არსებობს არაერთ მსგავსი თანამედროვე სისტემა რომელიც საკმაოდ კარგად მუშაობს [18].

1.8. ელ. მართველობის ქართული ტენდენციები

ელექტრონული მმართველობა ციფრული დემოკრატიის ერთ-ერთი შემადგენელი უმნიშვნელოვანესი ნაწილია შესაბამისად მისი ფუნქციონირებისათვის უაღრესად აუცილებელია შესაბამისი ინსტრუმენტიც. დღესდღეობით მსოფლიოში სახელმწიფოს ნაყოფიერი მართვა გარკვეულწილად წარმოუდგენელია ელექტრონული მმართველობის გარეშე. ჩვენი ქვეყანა ბოლო წლებია ამ ახალი სისტემების დანერგვას განსაკუთრებული ყურადღებას აქცევს.

2006 წლს შეიქმნა ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი, სადაც შემუშავდა ქვეყნისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი დოკუმენტი

რომელიც შეეხებოდა საქართველოს ინფორმატიზაციის სახელმწიფო კონცეფციას ასევე თანამედროვე ელექტრონული მმართველობის კონცეფციას. საქართველოსთვის აღნიშნული კონცეფცია გარკვეული თემების ქვეშ ერთიანდება და ის რათქმაუნდა მიზნად ისახავს ჩვენს ქვეყანაში საინფორმაციო გარემოს შექმნის ამოცანებს.

დღესდღეისობით ელექტრონული მთავრობა საქართველოსათვის: არსი აქტუალური ის მოიცავს ელექტრონული მმართველობის ძირითად პრინციპებს. ელ მთავრობის მართვის კონცეფციაში ასევე დიდი ადგილი ეთმობა ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ელექტრონული მთავრობის შექმნას; 2008 წელს ადგილობრივი თვითმმართველოაში ელექტრონული მმართველობის სისტემის წარმოგენით მსოფლიოს ყველა ქვეყნის სახელმწიფო საიტების, ვებგვერდებს მმართვის და გამოყენების შესახებ მოხდა მოსახლეობის გამოკითხვა, რის საფუძველზე ელექტრონული მმართველობის ანალიზის დასკვნებით დადგინდა ბევრი რამ. ეს დოკუმენტი საინტერესოა არა მარტო შინაარსითა და დასკვნებით, არამედ თავისი სტატისტიკური მასალითაც. ასევე მეტად მნიშვნელოვანია ის მეთოდრბი, რომელიც იყო გამოყენებული ელექტრონული შესწავლისას. იმისათვის რომ ყველაფერი ობიექტურად ყოფილიყო შესწავლილი ქვეყნებს შორის არსებული ნებისმიერი სახის სხვაობები, მუშავდებოდა სპეციალურად ინტერნეტით „მომსახურების ხარისხის შეფასების ინდექსით". E-შეფასება დადგინდა 190 ქვეყნისთვის 5 ძირითად კატეგორიაში. იმ ქვეყანაში სადაც მაღალი იყო ყველა მოთხოვნა იღებდა მაქსიმალურ შეფასებას. შესაბამისადაც საქართველოს მინიჭებული აქვს საკმაოდ დაბალი ქულა და მხოლოდ 0.45, სომხეთს - 0.41, აზერბაიჯანს - 0.46, რუსეთს კი - 0.51 ქულა. შესაბამისად, ჩვენი ქვეყანა 190 ქვეყნიდან არცთუ ისე სახარბიელო 90-ე ადგილზეა. აღნიშნული ციფრები სამწუხაროდ არ იძლევა სახარბიელო იმედებს და ამ კუთხით სახელმწიფოს საკმაოდ დიდი და ძირეული ნაბიჯები ექნება გადასადგმელი. საქართველოს ძალზე სუსტი პოზიციები აქვს

ელექტრონულ მმართველობაში მოქალაქეების მონაწილეობის მხრივაც. აქ ჩვენ გამოკითხულ ქვეყნებში მაჩანჩალა ადგილს ვიყოფთ მეზობელ სომხეთთან ერთად, მაშინ როდესაც მოსახლეობის ჩართულობისთვის საერთაშორისო ორგანიზაციები უამრავ თანხებს ხარჯევენ კეთდება არაერთი პროექტი რითაც ცდილობენ მოსახლეობის ჩართულობის პროცენტი მართველობაში გაიზარდოს. [19].

საერთო დასკვნის სახით შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველო, ინფორმატიზაციისა და ელექტრონული მმართველობის მხრივ, იმყოფება განვითარების დაბალ საფეხურზე. რაც არ ასახავს სასიკეთოდ ჩვენი ქვეყნის განვითარებას. რაც შეეხება ელ სისტემების განვითარებას ამ სფეროში საქართველოს ძლიერი პოზიციები გააჩნია ადამიანური რესურსის მხრივ, მაგრამ სერიოზული ჩავარდნები აქვს ტექნოლოგიების დანერგვის, და მათი ჩართვის პროცესში[19].

1.9. საქართველოს 2014 წლის ელ-მმართველობისა და ელ-ჩართულობის ინდექსი

ელ ჩართულობის ინდექსი, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია იმის დასადგენად თუ რა პროცესში ვართ ელექტრონული მართველობის და საერთოდ ელ სისტემების მოხმარების კუთხით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ (გაერო -UN) 2014 წელს საქართველოში განხორციელდა ელექტრონული მმართველობის კვლევები სადაც, ელ-მმართველობის განვითარების ინდექსთ საქართველოს გაუმჯობესებული პოზიციები ქონდა წინა წელთან შედარებით, რის შედეგადაც 193 ქვეყანას შორის 56-ე ადგილი დაიკავა. 2012 წელს საქართველოს იმავე გამოკითხვაში 72-ე ადგილი ეკავა. აღნიშნული წინსვლა საკმაოდ დადებითად აღიქმება. კვლევის მეთოდოლოგიამ ასევე საქართველოს მიერ აღებულმა შეფასებამ და მისმა ანალიზმა აჩვენა, რომ პოზიციების ასეთი გაუმჯობესება ძირითადად

მხოლოდ ელექტრო სისტემების ინფრასტრუქტურის განვითარების შედეგად გახდა შესაძლებელი. სამწუხაროდ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებებიც, რომ მიუხედავად იმისა რომ ჩვენი ქვეყნა წინ წაიწია ჩამონათვალში ქვეყნის კოეფიციენტი მაინც საკმაოდ დაბალია.

	ელ-მმართველობის განვითარების ინდექსი	ადგილი ელ-მმართველობის განვითარების მსოფლიო რეიტინგში	ელ-მონაწილეობის ინდექსი	ადგილი ელ-მონაწილეობის მსოფლიო რეიტინგში
2012	0.56	72	0.21	73
2014	0.6	56	0.59	49

სურათი N 3 საქართველოს მაჩვენებლები 2012 და 2014 წლებში

კვლევაში ასევე მოცემული იყო საქართველოს ელექტრონული ჩართულობის ინდექსიც. ამ კომპონენტში საკმაოდ დიდი პროგრესი განვიცადეთ რის შედეგად 66-ე პოზიციიდან 49-ე ადგილზე გადავინაცვლეთ. გასათვალისწინებელია ასევე ისიც, რომ საქართველო პოსტსაბჭოთა 15 ქვეყნიდან სტაბილურ მეშვიდე ადგილს იკავებს.

	ონლაინ სერვისების კომპონენტი	სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის კომპონენტი	ადამიანური კაპიტალის კომპონენტი
2012	0.6	0.23	0.83
2014	0.6	0.43	0.80

სურათი N4 გაეროს ელ მართველობის ინდექსი



სურათი N5: ელ ჩართულობის ინდექსი

საერთაშორისო პრაქტიკით ელექტრონული მმართველობის ინდექსის შემუშავებისას ექსპერტები საკმაოდ საინტერესოდ აფასებენ ქვეყნების მაჩვენებლებს. ისინი შემდეგი სამი მიმართულებით ითვლება ეს არის ონლაინ სერვისები, სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაძლიერება და ადამიანური კაპიტალი.

თუ შევადარებთ ჩვენ სადისერტაციო ნაშრომში მოხვედრილ ბოლო კვლევებს ელ მართველობაზე მივხვდებით, რომ საქართველოში ონლაინ მომსახურების მიწოდებისა და ხარისხის კომპონენტი თითქმის უცვლელი დარჩა, ადამიანური რესურსების კომპონენტში კი კლება დაფიქსირდა. ამის საპირისპიროდ, საკმაოდ სწრაფი და მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია აჩვენა საქართველომ ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით. არსებული მეთოდოლოგიის მიხედვით, ონლაინ სერვისების ინდექსის ანალიზისას ითვლება აუცილებელი ოთხი

ძირითადი კომპონენტი რაც განსაზღვრავს ქვეყნის სერვისების ინდექსს. ესენია პირველი რამდენად შეუძლიათ მოქალაქეებს მარტივად სახლიდან გაუსვლელად ან ერთი ფანჯრის პრინციპით მიიღოს განახლებული ინფორმაცია ქვეყნის სამთავრობო დაწესებულებების შესახებ მათ საიტებზე. ასევე, უმთავრესი საკითხია თუ რამდენად შეიძლება სახელმწიფო ვებ გვერდზე ვნახოთ კანონების, რეგულაციების, სტრატეგიებისა და სხვა მრავალი სახელმწიფო ინფორმაციები. საქართველოს ამ კუთხით დრეის მდგომარეობით ერთ-ერთ ყველაზე მაღალი შეფასება აქვს, ასევე უნდა ითქვს რომ წინა წლებში სახელმწიფოს ამ ველშიც საქართველოს გარკვეული ჩავარდნები ქონდა. ასევე მთავრობა მოსახლეობას ინფორმაციის ცალმხრივად მიწოდების გარდა უნდა თავაზობდეს მის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის, გადმოწერის შესაძლებლობას. ასევე ვებ-გვერდებზე წარმოდგენილი უნდა იყოს ვიდეო და აუდიო მასალები. და რაც მთავარია მკვლევარები დიდ დროს უთმობენ ასევე იმ ფაქტორებს თუ როგორ ცდილობს ხელისუფლება ინტერაქციული აპლიკაციების დახმარებით მოსახლეობასთან დიალოგის წარმოებას. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, ელექტრონული-მართველობის ასე განვითარება ასევე ინდექსის ამაღლება ინფრასტრუქტურის და სხვა პოზიტიურ ცვლილებებთან ერთად საჯარო ინფორმაციის ელექტრონული გამოქვეყნების დამსახურებაცაა. გარდა ამისა, აღნიშნულმა კვლევის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მომავალში საქართველოს ხელისუფლებამ აუცილებლად აქცენტი უნდა გააკეთოს მოქალაქეებზე ორიენტირებული სერვისების დანერგვაზე, ასევე სისტემაში არსებული ციფრული ნაპრალის აღმოფხვრაზე, და მომხმარებელთა ინტერნეტის ცოდნის უნარების გაუმჯობესებაზე. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად გაზრდის დანერგილი სერვისების მოხმარების ეფექტურობას. რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ბიძგი მისცეს სატელეკომუნიკაციო ბიზნესის განვითარებასაც [20].

პირველი თავის დასკვნა

როგორც ჩვენს მიერ გაანალიზებული სამეცნიერო ნაშრომებიდან ჩანს, ქვეყანაში 29 წლის მანძილზე არსებული ვითარება ცხადყოფს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მართვის სფეროში მიუხედავად მცირედი წარმატებებისა საქართველოს ჯერ კიდევ საკმაოდ რთული გზა აქვს გასავლელი და ის არა მარტო ინტელექტუალურ არამედ ფინანსური ინვესტიციების განხორციელებას საჭიროებს. იმისათვის, რომ ქვეყანამ მოახერხოს და შესძლოს, ელექტრონული მმართველობის მხრივ დასავლეთის სტანდარტებთან შეძლებისდაგვარად მიახლოვება, საჭიროა ამ პროცესის მეცნიერული კვლევა და კვლევის შედეგების პრაქტიკული განხორციელება. ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკვლევისა და ანალიზით მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მართვის პოლიტიკაში არანაირ დონეზე არ არის დამუშავებული მართვის ელექტრონული პროცესის რეგულირების კონცეფცია. არ არსებობს საიმედო საინფორმაციო მონაცემთა ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ზუსტ აღრიცხვას და მიესადაგებოდა ქალაქებში არსებულ სოც ეკონომიკური პრობლემების ანალიზის სწორ სპეციფიკას, ძირითად მიმართულებებს და მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია:

- განისაზღვროს ქალაქების ადამიანური რესურსების შესაძლებლობა,
- შეიქმნას სპეციალისტთა მიზნობრივი მომზადების პროექტები და სასწავლო პროგრამები.
- სწორად განისაზღვროს ის მიზნობრივი ჯგუფი რომლებმაც უნდა მოამზადონ ის ძირითადი დოკუმენტაცია რომელიც იქნება მონაცემების უმსხვილესი ბაზა შემდგომი გადაწყვეტილებების გასაანალიზებლად.
- შეიქმნას თანამედროვე ელექტრონული მართვის სისტემა.

დამუშავდეს და დაინერგოს ინფორმატიზაციისა და ელექტრონული მმართველობის განვითარების უახლესი ტექნოლოგიები. დაინერგოს მოქალაქეთა მომსახურებისა და მათი მმართველობითი პროცესში

ჩართვის კუთხით აუცილებლობა, არამ ხოლოდ საკანონმდებლო დონეზე რაც განხორციელდა 2016 წელს ადგილობრივ თვითმმართველობის კოდექსში 85 მუხლის პრიმა მუხლების მეშვეობით, არამედ მოხდეს მოსახლეობის ქმედითი ჩართულობა. ვინაიდან ნებისმიერი ქალაქის და ადგილობრივი თვითმმართველობის მართვის მთავარი ქვაკუთხედი მოსახლეობის ჩართულობაა ნებისმიერ ეტაპზე ნებისმიერ პროცესში.

მინდა აღვნიშნო, რომ ჩემთვის მნიშვნელოვანია დისერტაციაზე მუშაობის პროცესში ის ფაქტი, რომ რუსთავის მუნიციპალიტეტი, რომლის არჩეული მერი გახლდით 2014-2017 წლებში, 2017 წლის სოციალური გამოკითხვების და შესაბამისი გამოკვლევის შედეგად აღიარეს ყველაზე გამჭირვალე მუნიციპალიტეტად. კვლევები მიმართული იყო:

- მუნიციპალიტეტის გამჭირვალობაზე;
- მოსახლეობის ჩართულობაზე;
- თანამონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვაზე;

საბოლოოდ შეიძლება ითქვას ის ფაქტი, რომ პირველ თავში საკმაოდ დიდი დრო დაუთმეთ იმ საკითხების ანალიზს თუ საიდან მოვდივართ რა გზა გამოვიარეთ ასევე ავღნიშნეთ ისიც, რომ ჩვენს ქვეყანას დიდი კულტურა და ისტორია გააჩნია ასევე მართვის თავისებური გამოცდილებაც და მიუხედავად იმისა როდესაც მთელი მსოფლიო მეოცე საუკუნის ბოლოს თანამედროვე სისტემების დანერგვით და განვითარებთ იყო დაკავებული ჩვენი ქვეყანა რკინის ფარდის ქვეშ ცხოვობდა და როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა საქართველო საკმაოდ რთულ და ჩამორჩენილ მდგომარეობაში აღმოჩნდა ვიდრე სხვა სახელმწიფოები. სახელმწიფოს აქვს საშუალება მოახდინოს ამ ჩავარდნის აღმოფხვრა და პრობლემებიდან თავის დაღწევა, თუ ხელისუფლება აქცენტს გააკეთებს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე. სადისერტაციო ნაშრომიც სწორედ აღნიშნულ თემას მიესადაგება.

II. ძირითადი ნაწილი

ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინდიკატორული მართვის მხარდამჭერი საინფორმაციო სისტემის კონცეფცია

2.1. ქალაქის მუნიციპალური მართვა

ქალაქი შედარებით მსხვილი დასახლებული პუნქტია, რომელიც ასრულებს სამრეწველო, სატრანსპორტო, სამეურნეო, კულტურული, პოლიტიკური, ადმინისტრაციული ორგანიზაციის. ქალაქს ახასიათებს დასახლების შედარებით დიდი სიმჭიდროვე და განაშენიანების კომპაქტურობა. ზოგადად ქალაქები წამოიქმნა ისტორიული განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც საზოგადოებაში აქტიურად მიმდინარეობდა შრომის დანაწილებისა და სოციალური დიფერენციაციის პროცესი. ამ ფაქტორების გამო მოსახლეობის ძირითადი ნაწილი გადაჯგუფდა როგორც მმართველი კლასი კერძოდ ხელოსნები, ვაჭრები და ასე შემდეგ. მათი კონცენტრაცია მოხდა ერთ დასახლებულ პუნქტებში სწორედ ეს დასახლებული პუნქტებია ქალაქები. დიდი დასახლებები ანუ ქალაქები ადამიანების განვითარების საკმაოდ ადრეულ ეტაპზე [21].

ქალაქის მუნიციპალური მართვა, რომელიც ხორციელდება მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ძირითადად იყოფა ორ: სოციალურ და ეკონომიკურ მიმართულებად.

განვიხილოთ ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინდიკატორული მართვის მოდელი, რომლის მეშვეობით ხდება გადაწყვეტილების მიღებისა და მისი რეალიზების პრობლემების დამუშავება. ამისათვის, პირველ რიგში უნდა განვსაზღვროთ ძირითადი ინდიკატორული მაჩვენებლები. ზოგადად ამ ჩამონათვალს შეიძლება ჰქონდეს ასეთი შინაარსი: ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები

(მოსახლეობის რიცხოვნობა, ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა, მკვდრადშობადობა, ახალდაბადებულთა სიკვდილიანობის რიცხოვნობა, გარდაცვლილთა რიცხოვნობა ასაკის მიხედვით, ბუნებრივი მატება, ქორწინება, განქორწინება და სხვ.); უმუშევრობის დონე საშუალოდ წელიწადში; მოსახლეობის რეალური შემოსავალი; საბინაო ფონდი (მოსახლეობასთან მიმართებაში); საგანმანათლებლო მონაცემები (ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული, უმაღლესი); მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა წილი; მცირეშემოსავლიან ოჯახთა რიცხოვნობა; ძირითადი კაპიტალის ინვესტიციების მოცულობა; მცირე საწარმოების მიერ წარმოებული, მათ შორის მიკროსაწარმოების და ინდივიდუალური მეწარმეების საქონლის (მომსახურების) ბრუნვა; ბიუჯეტში კონსოლიდირებული საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების ნაერთი; აღმასრულებელ და ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის შეფასების მაჩვენებლები მოსახლეობის მხრიდან და სხვ.

ჩვენს მიერ განხილული ინდიკატორული მართვის პრინციპების გათვალისწინებით უნდა ავაგოთ ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინდიკატორულ მართვის ზოგადი სტრუქტურული მოდელი.

საბოლოოდ შეიძლება ვთქვათ რომ ქალქებს მისი ჩამოყალიბების პროცესში გააჩნიათ თავის სტატუსი და შესაბამისად სტრატეგიაც. ასეთის არსებობა ქმნის სისტემის შექმნის წინაპირობას, როდესაც გარკვეულია თუ როგორი სახის და ხასიათისაა ქალაქი შესაძლებელია განსაზღროს ასევე რა ინდიკატორული მაჩვენებლებია საჭირო რომ ქალაქი სწორად განვითარდეს და მისი მართვა მარტივი იყოს და ეფექტურიც.

ნებისმიერი პრობლემის აღმოფხვრა იდენტიფიცირების შემდგომ ითხოვს ანალიზს და სწორი სისტემების მეშვეობით მყისიერ და კარგ გადაწყვეტილებას. საქართველოს რეალობაში არის არაერთი მაგალითი იმისა თუ როგორ შეიძლება კარგად დავგეგმოთ ნებისმიერი პროცესი ან პირიქით ვერ გავართვათ თავი ელემენტარულ საკითხს სისტემის არარსებობის გამო.

თუ ისევ დაუბრუნდებით თვითმმართველობას და ქალაქების მართვას მივხვდებით რომ დეცენტრალიზაციაც ეს არის სისტემა დანერგილი რომელიც საზღვრავს უფლებამოსილებების მკაფიო გამიჯვნას და თუ გადავხედავთ უახლოეს ისტორიას მივხვდებით, რომ მართვის პროცესში უფლებამოსილებების გადაცემა ეს არის მართვის გაუმჯობესების ერთ–ერთი უნიკალური საშვალება ვინაიდან ცენტრალიზებული მმართველობა ეს არის მოუქნელი სისტემა სადაც ინოვაციების დაგეგმა რთულია ასევე რთულია მარტივი და სწორი გადაწყვეთილების მიღება, როგორც წესი მსგავსი მმართველობა დამახასიათებელია დიქტატურისკენ მიდრეკილ ხელისუფლებისა და ქვეყნისთვის.

თუ ავიღებთ ქართულ მაგალითს შეგვიძლია ვთქვათ რომ საქართველომ 2014 წელს მიიღო უპრეცენდენტო გადაწყვეტილება თვითმმართველობის განვითარებაში და გადადგა დიდი ნაბიჯი რაც გულისხმობს მერების და გამგებლების პრიდაპირი წესით არჩევს.

2.2. ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინდიკატორული მართვის მოდელის აგების სტრუქტურა

ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინდიკატორული მართვის მოდელის მეშვეობით ადვილდება გადაწყვეტილების მიღებისა და მისი რეალიზების პრობლემების მოგვარება. ინდიკატორული მართვის მოდელის ასაგებად, პირველ რიგში უნდა განვსაზღვროთ ძირითადი ინდიკატორული მაჩვენებლები. ინდიკატორი მაჩვენებლებს ანსხვავებენ იმის მიხედვით, თუ როგორ ტიპს მიეკუთვნება ქალაქი. ზოგადად, ინდიკატორულ მაჩვენებლებად მიიჩნევა: დემოგრაფია; უმუშევრობის დონე საშუალოდ წელიწადში; მოსახლეობის რეალური შემოსავალი; საბინაო ფონდი; საგანმანათლებლო მონაცემები; მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა წილი; მცირეშემოსავლიან ოჯახთა რიცხოვნობა; ძირითადი კაპიტალის ინვესტიციების მოცულობა;

საწარმოების მიერ წარმოებული საქონლის (მომსახურების) ბრუნვა; ბიუჯეტში კონსოლიდირებული საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების ნაერთი; აღმასრულებელ და ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის შეფასების მაჩვენებლები მოსახლეობის მხრიდან და სხვ.

ინდიკატორულ მართვის ზოგადი სტრუქტურული მოდელი ჩვენ შემთხვევაში არის ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის შემდგენელი კონკრეტული ელემენტების ერთობლიობა, ამ ელემენტებს შორის არსებული ურთიერდამოკიდებულება და მათი კავშირი გარე სამყაროსთან (გარემოსთან, სოციუმთან).

სტრუქტურული მოდელი წყვეტს სოციალურ და ეკონომიკურ ამოცანებს.

სოციალურ ამოცანებს მიეკუთვნება: სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა; საბინაო და კომუნალური მომსახურების განვითარება; ჯანდაცვისა და განათლების განვითარება; საბინაო და სოციალურ-კულტურულ განვითარების პირობების შექმნა; საზოგადოებრივი მომსახურების და ვაჭრობის უზრუნველყოფა; დასაქმების ხელშეწყობა; მშენებლობის, ენერგეტიკული სისტემების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების უზრუნველყოფა; სანიტარული, სატრანსპორტო მომსახურების და სხვ. ორგანიზების უზრუნველყოფა; სტაბილური ცხოვრების გარემო პირობების შექმნა და სხვ.

ეკონომიკურ ამოცანებს მიეკუთვნება: ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარება; ქალაქში ინვესტიციების მოზიდვის სისტემური პოლიტიკის წარმართვა; რეგიონთაშორისი და შიდა რეგიონული კავშირების განვითარება; ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნა; არარაციონალური ხარჯვის შემცირება და სხვ.

მოხსენებაში წარმოვადგენთ სტრუქტურული მოდელის რეალიზების შემდეგ მიმართულებებს: სოციალურ-ეკონომიკური განვითარების

სტრატეგია; მართვის გადაწყვეტილებების მიღების კოორდინაცია; გადაწყვეტილებების მიღების რეალიზება.

2.3. ქალაქის ინდიკატორული მართვის მეთოდოლოგიური ასპექტების მეცნიერული ანალიზი

დღეს, მსოფლიოს მასშტაბით იკვლევენ, ამუშავებენ და პრაქტიკაში ნერგავენ ქალაქის ინდიკატორული დაგეგმვისა და მართვის თანამედროვე სისტემას. მკვლევართა ასეთი მასშტაბურობა და ყურადღება გამოწვეულია იმით, რომ ამ სისტემას გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები და თეორიულ-პრაქტიკული მახასიათებლები.

უცხოური წყაროების მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ინდიკატორული დაგეგმვისა და მართვის ტექნოლოგია მსოფლიო ეკონომიკაში, ქალაქების, მუნიციპალიტეტების და რეგიონების მართვაში საკმაოდ ფართოდ გავრცელებული სისტემაა, რომელიც დაკავშირებულია ისეთ ქვეყნებთან და სახელებთან, როგორიცაა: იან ტინბერგენი -ჰოლანდიაში, ჟან მონე - საფრანგეთში, იანოშ კორნაი - პოლონეთში და ა.შ. ძირითადი სამეცნიერო კვლევები ასოცირდება ისეთ ქვეყნებთან, როგორიცაა საფრანგეთი, იაპონია და ჩინეთი. ეს არის ის სახელმწიფოები, რომლებიც ყველაზე ხშირად განიხილება, როგორც პიონერი ინდიკატური დაგეგმვის და მართვის თეორიასა და პრაქტიკაში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, ზოგიერთ ქვეყანაში თუ ეს მიმართულება კერძო სექტორისათვის სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს, სახელმწიფოსთვის სავალდებულოა, როგორც სათანადო საჯარო პოლიტიკის, სოციალური ორიენტაციის განვითარების კოორდინაციის მექანიზმების შექმნა და ა.შ. იაპონიაში ამ სისტემის განვითარების და რეალიზების ძირითადი ფუნქციაა სოციალური დანიშნულება, რაც გულისხმობს სახელმწიფოს მიერ საზოგადოების ვალის შესრულების მაღალ ორიენტირებას; კორეა ადგას კოორდინირების და სოციალური მიზნების მიღწევის გარკვეულ მკაცრ

გზას; აშშ-ში პროგრამული უზრუნველყოფის მეთოდების გამოყენებაზეა ორიენტირებული და ა.შ. [22].

ინდიკატორულ დაგეგმარებას სხვადასხვა ქვეყანაში თავისი ლოკალური მიზანი აქვს.

მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ინდიკატორული დაგეგმარების ერთ-ერთ მიზანს მსხვილი ეკონომიკური რეგიონების განვითარების დაგეგმვა წარმოადგენდა. მათ შორის შერჩეული იყო პრობლემური რეგიონების ოთხი კატეგორია. მიღებული იქნა კანონი შინაგან საქმეთა სამინისტროში შექმნილიყო სამრეწველო დაგეგმვისა და სახელმწიფო საწარმოების ეროვნული საბჭო, რასაც შემდგომ უნდა მოჰყოლოდა პრობლემური რეგიონების განვითარების ყოვლისმომცველი პროგრამები [23].

იაპონიაში ინდიკატორული დაგეგმარება არის კერძო საწარმოებზე ორიენტირებული სახელმწიფოს მიერ შემუშავებული ამოცანების შესასრულებლად. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული გეგმები, რომლებიც ქვეყანაში ვითარდება, ფორმალურად არ არის კანონები, არამედ წარმოადგენს სახელმწიფო პროგრამებს, რომლებიც ახდენენ ეკონომიკური სტრუქტურის გარკვეული ნაწილის მობილიზებას ამ პროგრამების განხორციელებისათვის ეროვნული ინტერესების ფარგლებში [24].

ინდიკატორული დაგეგმვა საფრანგეთში არის სახელმწიფო და სხვა ეკონომიკური სუბიექტების ქმედებებისა და ინტერესების კოორდინაციის მექანიზმი. საინფორმაციო ღირებულების გარდა, ასეთ დაგეგმვას ასევე აქვს კოორდინაციის როლი. იგულისხმება "ცენტრის", დარგებისა და საწარმოების საქმიანობის კოორდინაცია მათ მიერ საწარმოო სამეურნეო პროგრამების დამოუკიდებლად დამუშავების პროცესში [25].

ქალაქის ინდიკატორული მართვის მეთოდების დასამუშავებლად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიოში არსებული თეორიული და

პრაქტიკიული გამოცდილების განზოგადებას, გადამუშავებას და სამამულო პრაქტიკაში გამოყენებას. ვგულისხმობთ ქალაქის განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრაში დასახული მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად იმ, ორგანიზაციული მექანიზმების შექმნას, რომლის პროექტებიც დამუშავებულია და წარმატებით არის გამოყენებული მოწინავე ქვეყნებში. აღნიშნული პროექტები მიზნად ისახავს ინდიკატორული მართვის პროგრამის ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფას, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასა და სოციუმშ შორის თანამშრომლობის კოლაბორაციული ურთიერთობების დამყარებას.

ინფორმაციის ანალიზი ქალაქის მართვის ინდიკატორულ მეთოდის ირგვლივ გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ ქალაქის ინდიკატური მართვის და დაგეგმარების სისტემის გამოყენება არის სოციალური განვითარების სტრატეგიული მიზნების განხორციელების ხელშემწყობი ეფექტიანი ტექნოლოგიური ინსტრუმენტი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სისტემის შინაარსი ითვალისწინებს ქალაქის ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ მიმდინარეობასთან ადაპტირებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ სამამულო ეკონომიკაში და მით უმეტეს, ქალაქის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მართვის სტრატეგიაში ინდიკატორული მართვის სისტემების გამოყენების მაგალითი არ აღინიშნება. არ არის ჩატარებული მეცნიერული კვლევები, რომელიც გზას გაუხსნიდა ამ მეტად ხელსაყრელ მიმართულებას.

ინდიკატორულ მართვის სფეროში არსებული საზღვარგარეთული გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, მიზანშეწონილად მივიჩნევთ ყურადღება გავამახვილოთ მის მექანიზმებზე და ჩავატაროთ შესაბამისი კვლევები, რომელიც მიმართული იქნება ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების გაუმჯობესებისაკენ.

პირველ რიგში განვიხილოთ ინდიკატორული მართვის მეთოდოლოგიური საკითხები.

თუ გავითვალისწინებთ შესავალში ინდიკატორული მართვის შესახებ გადმოცემულ ინფორმაციას, შეიძლება ვთქვათ, რომ ინდიკატორული მართვა წარმოადგენს სახელმწიფო ინსტიტუტებისა, ეკონომიკურ სუბიექტებს და სოციუმს შორის საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებულ ურთიერთობათა სისტემას. ინდიკატორული მართვის სისტემა ჰარმონიზაციის საფუძველზე ახორციელებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნის, მათი მიღწევის გზების კოორდინაციასა და შემსრულებელ მხარეთა ქმედებების ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრას.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინდიკატორული მართვის ლოგიკა მოიცავს ოთხ ძირითად ეტაპს [26]:

- მართვის ორგანიზაციის ქმედებათა მიზნების განსაზღვრას და შეფასებსა;
- ინდიკატორების დადგენა და ექსპერტული გამოკვლევა;
- მართვის ობიექტის ქცევის მონიტორინგის ორგანიზაცია და ჩატარება;
- სოციალური და ეკონომიკური ქვესისტემების მართვა.

ამ ეტაპების მეშვეობით შესაძლებელია ინდიკატორული მართვის შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაწყვეტა და განხორციელება:

1. ქალაქის განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში მონაწილეთა საქმიანობის პრიორიტეტების დროსა და მთლიანობაში სისტემის განვითარების ტრაექტორიასთან შერწყმა;
2. დასმული ამოცანებისა და მისი გადაწყვეტის რესურსული უზრუნველყოფის ადექვატურობის მიღწევა.

ეს ამოცანები თავისთავად მოითხოვენ ინდიკატორების ფორმირებას, რომელთა მეშვეობითაც გვექნება შესაძლებლობა გამოვავლინოთ ქალაქის განვითარების ტექნოლოგიის დონე. ინდიკატორული მაჩვენებლების საშუალებით განისაზღვრება სტრატეგიული გეგმა და შეიქმნება ნათელი წარმოდგენას, თუ რომელი მიმართულებით უნდა მოხდეს ქალაქის განვითარება. გარდა ამისა ინდიკატორების მეშვეობით შეგვიძლია

შევაფასოთ ქალაქის მძლავრი და სუსტი მხარეები, რაც თავის მხრივ გვიკარნახებს ქალაქის მართვის მიმდინარე პირობებს და დაგვეხმარება სამომავლო განვითარებისათვის საჭირო პრიორიტეტულ მიმართულებების განსაზღვრაში ქალაქის განვითარების სტრატეგიის შესაბამისად.

ძალზე საინტერსოა ქალაქის ინდიკატორული მართვის უახლესი მიმართულება, რომელიც "ჭკვიანი ქალაქის" ინდიკატორების სახით არის სახელდებული [27].

რას წარმოადგენს "ჭკვიანი ქალაქი"? ეს არის თანამედროვე ინოვაციური მიმართულება, რომლის საფუძველზეც შეიქმნა „ჭკვიანი დაფები“, "ჭკვიანი გარემო“, "ჭკვიანი" სისტემები“, "ჭკვიანი მრეწველობა“ და ა.შ. უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით მსოფლიოში არ არსებობს ამ ტერმინისსაყოველთაოდ მიღებული ერთი განმარტება და ის სხვადასხვა ინტერპრეტეციით არის წარმოდგენილი. რაც შეეხება ზოგად შინაარსს, ნებისმიერი „ჭკვიანი“ სისტემა, ეს არის თანამედროვე კომპიუტრული ქსელების, ტექნოლოგიების, პროგრამების, მეთოდების, მოდელების და ასე შემდეგ ერთობლიობა, რომელიც ადამიანთან (მის ინფრასტრუქტურაში) ინტერაქტიურ რეჟიმში წყვეტს მართვის მნიშვნელოვან პრობლემებს და იღებს სამართავ გადაწყვეტილებებს. მიუხედავად იმისა, რომ "ჭკვიანი" ტექნოლოგიები განვითარების საწყის ეტაპზეა, და საჭიროებს ბევრი ტექნოლოგიური, ტექნიკური და მარეგულირებელი შეზღუდვების გადალახვას, უკვე არსებობს მაგალითები, რომლებიც ეფექტიანად იყენებენ "ჭკვიან" ტექნოლოგიების განათლებაში („ჭკვიანი დაფები“) ინდუსტრიაში, ტრანსპორტსში, მედიცინაში და სხვ. ამის ერთ-ერთი მაგალითია "ჭკვიანი ქალაქის" ინდიკატორები.

"ჭკვიანი ქალაქის" ინდიკატორების მეთოდოლოგიური საფუძველი ეფუძნება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას და წარმოადგენს ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნების

მიღწევის ინსტრუმენტს. მართვის ინდიკატორები ქმნიან ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ ინდიკატორების სისტემას ნახ. 1.



ნახ. 1. ჭკვიანი ქალაქის ინდიკატორების სისტემის სტრუქტურული სქემა

როგორც ამ ნახაზიდან ჩანს, ქალაქის ინდიკატორული მართვის პროცესის ორგანიზაცია მთლიანად იყრის თავს ინფორმაციის შეგროვების, გადამუშავებისა და შენახვის სისტემურ წარმოებასთან, რაც მართვის ავტომატიზებული სისტემების მეშვეობით უნდა გადაწყდეს. ამ პროცესში კი უდიდეს როლს თამაშობს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. ინდიკატორული მართვის მთავარ ინფორმაციულ მაჩვენებლად პირველ რიგში გამოვყოფდით ქალაქის ეფექტიანი მართვის ჯერ ზოგად და შემდგომ ლოკალური ინდიკატორული მაჩვენებლების დადგენას და მისი მონაცემთა ბაზის ფორმირებას.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, პრაქტიკული გამოყენების სფეროს მიუხედავად, ინდიკატორული მართვის მეთოდების ეფექტიანად

გამოყენების მიზნით, მიზანშეწონილია დავიცვათ შემდეგი პრინციპები ნახ. N 2



ნახ.2. მეთოდოლოგიური პრინციპები

ინფორმაციის ანალიზი ქალაქის მართვის ინდიკატორულ მეთოდის ირგვლივ გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ ამ სისტემის გამოყენება არის სოციალური განვითარების სტრატეგიული მიზნების განხორციელების

ხელშემწყობი ეფექტიანი ტექნოლოგიური ინსტრუმენტი. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ სამამულო ეკონომიკაში და მით უმეტეს, ქალაქის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მართვის სტრატეგიაში ინდიკატორული მართვის სისტემების გამოყენების მაგალითი არ აღინიშნება. არ არის ჩატარებული მეცნიერული კვლევები, რომელიც გზას გაუხსნიდა ამ მეტად ხელსაყრელ მიმართულებას. სტატიაში, ინდიკატორულ მართვის სფეროში არსებული საზღვარგარეთული გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ყურადღება გაგვემახვილებია მის თეორიულ და პრაქტიკულ მექანიზმებზე, რომელიც მიმართული იქნება ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების გაუმჯობესებისაკენ.

2.4. გადაწყვეტილების მიღების ხელშემწყობი, ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის მართვის ინდიკატორული მექანიზმი

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურმა რეფორმებმა ახალი პრობლემის წინაშე დააყენა საქალაქო მეურნეობის მართვა, რამაც თავის მხრივ გაართულა სამართავი გადაწყვეტილების მიღება და შედეგად იმრავლა არაეფექტიანმა გადაწყვეტილებებმა. აქედან გამომდინარე, დღეს განსაკუთრებით მწვავედ დგას ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსურ ჭრილში განხილვის საკითხი. ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთი მიმართულებაა, ქალაქის ინდიკატორული მართვის მექანიზმის შემუშავება. როგორც ცნობილია, ინდიკატორული მართვა ძირითადად მოიაზრება, როგორც ეკონომიკური მაჩვენებლების კვლევის საფუძველზე განხორციელებული სამართავი ქმედებები. ინდიკატორული მართვის პრინციპებისა და მექანიზმების ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი წარმოადგენს სახელმწიფო და არასახელმწიფო სუბიექტების ინტერესებისა და შეთანხმებული მოქმედების

ერთობლიობას. კოორდინებული მოქმედება ხელს უწყობს საბაზრო და არასაბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირების პროცესებს, რომელიც მიმართულია ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისაკენ. ასე, რომ ინდიკატორული მართვა წარმოადგენს რეპროდუქციულ პროცესთა ჰარმონიზაციის მხარდამჭერი პროცედურების სიმრავლეს, რომლის რეალიზება ხორციელდება ქალაქის მმართველობის სხვადასხვა დონეზე.

ჩვენ შემთხვევაში ინდიკატორული მართვის მექანიზმის დამუშავებაში ვახდენთ ინდიკატორების სისტემათა შედარებებს, რომელიც მოიცემა რაოდენობრივ და ხარისხობრივი ერთეულებში. ეს შეიძლება იყოს ქალაქის ეკონომიკური მდგომარეობა, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი და სხვ. ინდიკატორული დაგეგმვა და მართვა, ეს არის თვითმმართველი ხელმძღვანელობის მიერ ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური რეგულირება. ხელმძღვანელობა ფაქტობრივად წარმოადგენს ინდიკატორული მართვის სუბიექტს, რომლის მოქმედებას საფუძვლად უდევს მთელი რიგი კრიტერიუმები და ემსახურება ერთ მიზანს, ქალაქის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ინდიკატორული მართვის მექანიზმის ერთ-ერთი პრობლემაა ინდიკატორების ფორმირება. ინდიკატორების მაფორმირებელი მაჩვენებლები არ არის სტანდარტიზებული და მისი დადგენა უნდა მოხდეს საიმედო წყაროს მეშვეობით, როგორიცაა სტატისტიკური მონაცემები, ქალაქის სხვადასხვა სამსახურები და დაწესებულებები, ადმინისტრაცია, განყოფილებები და ა.შ.

ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის გამოკვლევისა და მართვის გადაწყვეტილების მიღების ინდიკატორული მექანიზმის შემუშავებისას სისტემური მიდგომის ფარგლებში აუცილებელია შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება [1]:

C - ძირითადი მახასიათებლები (სტრუქტურა, სახეობა, სიმძლავრე და სხვ);

S - სტრუქტურული ფაქტორები (კავშირები, დამოკიდებულება);

F - ფუნქციური ფაქტორები (პოტენციური ფუნქციები, ფუნქციების შედარება; ფუნქციური სტრუქტურის იდენტიფიცირება);

I -ინტეგრაციულობა (წინააღმდეგობების განსაზღვრა და გადაწყვეტა);

H - იერარქიულობა (პოტენციური დონეები, კავშირები დონეებთან).

შესაბამისად, მართვის გადაწყვეტილების მიღების ინდიკატორული მექანიზმი განსაზღვრული იქნება შემდეგ სიმრავლეზე:

$$M = \{G, S, F, I, H\}$$

დისერტაციაში განვიხილავთ აღნიშნულ სიმრავლეზე ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის შეფასების ინდიკატორული მექანიზმის ქცევის ალგორითმს. ალგორითმში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ქალაქის განვითარების მაკრომოდელის კონცეფციაზე, განვითარების შეფასების მაჩვენებლების სისტემაზე, მართვის გადაწყვეტილების მიღების ინდიკატორული მექანიზმის ბაზისურ მოდელზე.

2.5. რისკების რეგულირება ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვაში

როგორც ცნობილია, რისკი წარმოადგენს წინასწარ დაგეგმილი მართვის შედეგიდან გადახრის დადგომის ალბათობას, და უარყოფით გავლენას ახდენს სტრატეგიული მიზნების მიღწევაზე. რაც შეეხება რისკების რეგულირებას (risk control), ეს არის იმ მეთოდების ერთიანობა, რომელიც ორიენტირებულია რისკების მახასიათებლების მიზანმიმართულ ცვლილებებზე. ეს მახასიათებლები სხვადასხვაგვარად ავლენენ თავის თავს და შეიძლება განვსაზღვროთ როგორც: რისკის მოხდენის ალბათობა; რისკის ხდომილობის გავლენა მართვაზე; ხდომილობის კონკრეტული შედეგის დადგომის შესაძლებლობა და სხვ.

რისკი შეიძლება დავახარისხოთ პრიორიტეტების მიხედვით, მისი მნიშვნელობის დონის მიხედვით და მართვის მიზნებიდან გამომდინარე.

რისკის რეგულირების მეთოდები რა თქმა უნდა იცვლება და მას არ გააჩნია კლასიფიცირებული ფორმა. თუ შევაჯამებთ სხვადასხვა მეცნიერების მიერ შემოთავაზებებს, შეიძლება რისკის რეგულირების მეთოდებად განვიხილოთ:

- რისკის თავიდან აცილება (რაც ნაკლებად სავარაუდოა);
- რისკის შემცირება (რაც გაცილებით მოსახერხებელია), რომელშიც იგულისხმება გაფრთხილება რისკის მოსალოდნელ ხდომილებაზე შესაბამისი პრევენციული (წინასწარი ღონისძიებები არასასურველი მოვლენის თავიდან ასაცილებლად) ქმედებების განსახორციელებლად ან რისკით გამოწვეული ზარალის შესამცირებლად (იმ შემთხვევაში, თუ რისკს ვერ ავიცილებთ);
- რისკის გადაცემა რეგულირებისათვის. ეს მეთოდი ძალზე რთულია და ამავე დროს ძნელია მისი საიმედოობის შეფასება. ეს დამოკიდებულია რისკის მიმღების სწორ არჩევანზე, მის შესაძლებლობებზე და მიღებული რისკის მართვის მზაობაზე.

რისკების მართვისა და რეგულირების მეთოდიკაში რიგითობით უნდა განვიხილოთ ის რისკები, რომელთა მოხდენის ალბათობა და ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვაზე გავლენა ყველაზე მაღალია. პრაქტიკულად ეს პროცესი რთულია, რადგან შეიძლება რაიმე რისკის მოხდენის ალბათობა იყოს მაღალი, მაგრამ ქალაქის მართვაზე უარყოფითი გავლენა იყოს დაბალი ან პირიქით. ცხადია, ასეთ შემთხვევებში უნდა მივმართოთ რისკების პრიორიტეტებად დალაგებას რაიმე კრიტერიუმების ან მოთხოვნადობის მიხედვით, რაც ასევე ერთგვარ პრობლემებს ქმნის. ეს პრობლემები თავს იჩენს რისკის განსაზღვრის, შეფასების, მონიტორინგის და რისკის სასურველ დონეზე შენარჩუნების პროცესში.

ქალაქის სტრატეგიულ მართვაზე ყოველთვის მოქმედებს და გავლენას ახდენს პოტენციური დადებითი და უარყოფითი ფაქტორები, რისკის რეგულირების და მართვის მთავარი ამოცანაა გამოვლენილი იქნეს და მოახდინოს ამ ფაქტორების იდენტიფიცირება საპასუხო ღონისძიებების გატარების მიზნით. რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების შემდგომი ნაბიჯია შიგა აუდიტის წარმოება, რისკების მართვის სისტემის შეფასებისა და სტატისტიკური ანალიზისათვის, რისკების რეგულირების გასაუმჯობესებლად. ეს ხელს შეუწყობს რისკის მართვის პერმანენტულობას, ქალაქის სტრატეგიული მართვის უზრუნველყოფას და მართვის ამოცანების ეფექტურად შესრულებას.

ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს რისკების მართვაში მონაწილე ცალკეულ სუბიექტთა პასუხისმგებლობას. ქალაქის სოციალ-ეკონომიკური პროცესების მართვის პასუხისმგებლობა გამოიხატება: რისკის კულტურის ცნობიერების ჩამოყალიბებაში; რისკის მიმართ სტრატეგიული მიდგომის და რისკის მისაღები დონის განსაზღვრაში; რისკის მართვის შესაბამისი გარემოს ჩამოყალიბებაში; მნიშვნელოვანი რისკების განსაზღვრასა და იდენტიფიცირებაში; რისკის მართვის პოლიტიკის შემუშავებასა და მისი მუდმივ განახლებაში; რისკის მართვის პროცესების აუდიტის განხორციელებაში. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება აქ ჩამოთვლილი პრობლემების გადაწყვეტის კონცეფტუალური მხარე.

2.6. ქალაქის ავტომატიზებული მართვის ფორმალიზებული მოდელის შინაარსი

ბოლო ორ ათწლეულში საქართველოში ფართო მასშტაბით გაიშალა სამუშაოები ქალაქის მართვის სრულყოფისათვის. ქვეყნის ხელისუფლება ამუშავებს ახალ ახალ პროექტებს, სწავლობს ევროპისა და სხვა ქვეყნის გამოცდილებებს, რათა ეს ყველაფერი გათვალისწინებული იყოს

პრაქტიკაში. ბუნებრივია, რომ ახლა ყურადღება მიპყრობილია თვითმმართველობების სისტემების განვითარებაზე. სხვა ქვეყნების პრაქტიკამ აჩვენა, რომ დღის წესრიგში ყველგან დგას ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის უფრო მეტი უფლებამოსილების გადაცემის საკითხი. პირველ რიგში ეს დემოკრატიისაკენ გადადგმული ნაბიჯია და გარდა ამისა, ქალაქების მართვა უფრო მოქნილი ხდება, რადგან ამით ცენტრალური ხელისუფლება თავისუფლდება მისთვის ნაკლებად საჭირო ფუნქციებისაგან და მას გადაცემს ადგილებზე. ამით ცენტრალურ ხელისუფლება სშესაძლებლობა ეძლევა, უფრო მეტი დრო დაუთმოს ისეთ ძირითად საკითხებს, როგორიცააქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის გაუმჯობესება, საგარეო ურთიერთობები, თავდაცვა, სოციალური, ჯანდაცვის, დემოგრაფიის, განათლების მეცნიერების და სხვ.მაგრამ ეს იმდენად არ არის მთავარი, რამდენადაც, ის, რომ თვითმართველობის პროცესში მოსახლეობა ახლოს არის ხელისუფლებასთან და მისთვის საჭირბოროტო საკითხებზე ადგილზე იღებს პასუხს, ისევე როგორც ადგილზევე თვითმმართველობებისაგან ღებულობს ადეკვატურ სოციალურ მომსახურებას.შეიძლება ითქვას, რომ თვითმმართველობის სისტემამ ჩამოაყალიბა ზოგადი კანონზომირებები და პრინციპები, თუმცა სხვადასხვა ქვეყნის მოდელი გარკვეულწილად განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც მახასიათებელი ნიშნებით, ასევე საშემსრულებლო მექანიზმებით.

როგორც საქართველოს კონსტიტუციურ სამართალში ვკითხულობთ, ჩვენ ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციით აღიარებული უფლება, შესაძლებლობა და პასუხისმგებლობა, დადგენილი წესით, დამოუკიდებლად გადაწყვიტონ საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განსაზღვრული ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების კონსტიტუციური საფუძვლები მოცემულია კონსტიტუციის ზოგადი დებულებების მე-2 მუხლში. ამავე

მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კონსტიტუციურმა კანონმდებელმა ადგილობრივი ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება, მათი სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტა ორგანულ კანონს მიანდო. საქართველოს პარლამენტმა 1997 წლის 16 ოქტომბერს მიიღო კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“, რომლითაც აღნიშნული საკითხები განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტთან შესაბამისობაში, საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ კონსტიტუციური კანონის მიღებამდე.ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება სახელმწიფო სუვერენიტეტის შეულახავად. ადგილობრივი მმართველობა არის კანონმდებლობით განსაზღვრული სახელმწიფო აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ურთიერთკოორდინირებული საქმიანობა, რომელიც ადგილებზე, მოსახლეობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, უზრუნველყოფს სახელმწიფო ინტერესების დაცვას [27].

ის ფაქტი, რომ ადგილობრივი მმართველობაადგილებზე, მოსახლეობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კანონმდებლობით უზრუნველყოფს სახელმწიფო ინტერესების დაცვას და საქართველოს კონსტიტუცია ადგილობრივ თვითმმართველობას აღიარებს როგორც მმართველობის დემოკრატიული სისტემას, ძალზე კარგია, მაგრამ სრულებით არ ნიშნავს, რომ ყველაფერი რიგზეა, და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური უზრუნველყოფა მაღალ დონეზეა. ეს პრობლემა სერიოზულ დაბრკოლებას ქმნის და საჭიროებს მისი გადაწყვეტის გზების ძიებას, ახალ მეცნიერულ მიდგომებს.

დღევანდელი ქალაქის მეურნეობა ურთულესი სამართავი ობიექტია და ამ კანონმდებლობამ, იქიდან გამომდინარე, რომ ადგილობრივ თვითმმართველობას გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა დააკისრა, კიდევ უფრო გაართულა მართვის პროცესი და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. როგორც ცნობილია, მართვა წარმოადგენს

მმართველი ორგანოს მოღვაწეობის მიზნმიმართულ ქმედებასთანამედროვე ტექნოლოგიებითა და საშუალებებით, მათემატიკური და ლოგიკური მოდელებით და ალგორითმებით, საინფორმაციო-კომუნიკაციური და კომპიუტერული ტექნიკა-ტექნოლოგიებით და უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას, მოქალაქის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, რესურსების რაციონალური გამოყენებით.

უნდა ითქვას, რომ მსოფლიოში, ბოლო წლებში ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების საფუძველზე, არნახული მასშტაბით მიმდინარეობს სამუშაოები ქალაქის მართვის სრულყოფისათვის, რომლის ვექტორი ძირითადად ორიენტირებულია ავტომატიზებული მართვის პროექტების დამუშავებისკენ. ეს პროექტები მოიცავს თანამედროვე ქალაქის მეურნეობის ყველა ძირითად სფეროს. ქალაქის ავტომატიზებული მართვის პროექტის შექმნა უნდა დაეფუძნოს ადგილობრივი მართვის ორგანოების ფუნქციონირებისა და ინფრასტრუქტურის ანალიზს., რომლის მეშვეობით განისაზღვრება ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები და მართვის სრულყოფის ასპექტები. ანალიზის საფუძველზე უნდა განისაზღვროს პირველი რიგის პრიორიტეტული ამოცანები.

ცხადია, ავტომატიზებული მართვის პროექტების მაღალ დონეზე დამუშავებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს არსებულ პრობლემათა კომპლექსურ გადაჭრას, უნდა განისაზღვროს ქალაქის ძირითადი ეკონომიკური მახასიათებელი და პოტენციალური რესურსები, რითაც ხასიათდება ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებული ობიექტები - გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, განაშენების ფართობი, მცხოვრებთა რიცხვი, მოქალაქეთა ინტელექტუალური პოტენციალი, დემოგრაფია, დასაქმება, მომსახურების და კეთილმოწყობის დონე, არსებული

საწარმოები და დაწესებულებები, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო კერები და სხვ [28].



ნახ.3. ქალაქის ძირითადი შესაძლო პოტენციალური რესურსები

ავტომატიზებული მართვის პროექტის დასამუშავებლად უნდა მოხდეს ქალაქის ძირითადი ეკონომიკური მახასიათებლების და პოტენციალური რესურსების ფორმალიზებული აღწერა. ფორმალიზებულ აღწერაში ვგულისხმობთ ინფორმაციის ისეთ ფორმაში წარმოდგენას, რომელიც გამოგვადგება მოდელის კომპიუტერული რეალიზებისათვის. იგი ითვალისწინებს ერთმანეთთან ფუნქციურად კავშირში მყოფ ობიექტთა და მის შემადგენელ ელემენტთა მახასიათებლებისა და მათ შორის არსებული ბინარული დამოკიდებულებების დადგენას. მართვის ობიექტის ფორმალიზებული აღწერის საფუძველზეუნდა აიგოს ობიექტზე მიმდინარე პროცესების

ადეკვატური მათემატიკური მოდელი. ცხადია, მოდელის აგება მარტივად არ ხერხდება. ეს ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია სისტემის ელემენტთა ქცევის არამდგრადობით და ზოგ შემთხვევაში განუსაზღვრელობის სიტუაციითაც.. აქედან გამომდინარე, საჭიროა კომპრომისული გადაწყვეტილების მიღება, რაც შესაძლებელია მოდელში სისტემური ბლოკების ჩართვით, ეს კი იმიტაციას გაუკეთებს შექმნილ სიტუაციას ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად.

მოდელის აგების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი ფაქტორები, რომლებიც თან სდევს ქალაქის მართვას. ესენია: უკუკავშირები ობიექტსა და სამართავ რგოლს შორის, ინფორმაციის შეგროვებისა და გადაცემის საიმედოობა, ინერციულობა, ობიექტთა სტრუქტურიზების (კარგად, სუსტად, ცუდად სტრუქტურიზებული) ხარისხი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ქალაქის მართვის ამოცანის ფორმალიზების ძირითად ფაქტორს და განსაზღვრავს კიდეც ამ სისტემის ელემენტთა ქცევის მათემატიკური აღწერის ადეკვატურობას. აუცილებელია დადგინდეს ობიექტის ელემენტთა სიმრავლე, რომელთაგან თითოეული შეიძლება ხასიათდებოდეს საწარმოო მაჩვენებლებით, ბუნებრივი რესურსებით, გეოგრაფიული კოორდინატებით, და ა. შ. ყოველივე ეს წარმოადგენს ელემენტების ვექტორულ მახასიათებლებს. Aმის შედეგად მივიღებთ შემდგენ ვექტორთა სიმრავლეს, რომელიც განისაზღვრება მიზნობრივი ფუნქციით. მიღებულ ვექტორთასიმრავლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ობიექტის მართვის ანალიზისა და სინთეზის ამოცანების გადაჭრა, რომლებიც ხელშ შეუწყობს სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ურთიერთშეფასებისა და მართვის ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას [28]

მეორე თავის დასკვნა

ამ თავის ძირითადი შინაარსი ქალაქების სოციალურ ეკონომიკური მართვის პროცესში სისტემური ანალიზის ჩატარებაა, აქ მართვის

ინდიკატორების მეშვეობით აუცილებელი და მოქნილი მოდელისა და მონაცემთა ბაზების აგების კონცეფციის დამუშავება არის ასახული. ასევე საინტერესოდ არის ნაჩვენები ის ძირითადი ინდიკატორები რომლებიც ეხმარებიან თანამედროვე სისტემების შექმნაში. თემაში აღინიშნა, რომ ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური მართვის ინდიკატორების განსაზღვრისთვის უნდა გავიაზროთ რისგან შედგება ის.

განვიხილეთ რა ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინდიკატორული მართვის მოდელი, რომლის მეშვეობით ხდება გადაწყვეტილების მიღებისა და მისი რეალიზების პრობლემების დამუშავება. განისაზღვრა ძირითადი ინდიკატორული მაჩვენებლები. აღნშნული მაჩვენებლები ეს არის საწყისი წერტილი იმისა თუ როგორ გამოვიყენოთ შემდგომ ინდიკატორები. ჩვენს მიერ განხილული ინდიკატორული მართვის პრინციპების გათვალისწინებით უნდა ავაგოთ ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინდიკატორულ მართვის ზოგადი სტრუქტურული მოდელი.

საბოლოოდ შეიძლება ვთქვათ, რომ ქალაქებს მისი ჩამოყალიბების პროცესში გააჩნიათ თავის სტატუსი და შესაბამისად სტრატეგიაც. ასეთის არსებობა ქმნის სისტემის შექმნის წინაპირობას, როდესაც გარკვეულია თუ როგორი სახის და ხასიათისაა ქალაქი შესაძლებელია განსაზღროს ასევე რა ინდიკატორული მაჩვენებლებია საჭირო რომ ქალაქი სწორად განვითარდეს და მისი მართვა მარტივი იყოს და ეფექტურიც.

ნებისმიერი პრობლემის აღმოფხვრა იდენტიფიცირების შემდგომ ითხოვს ანალიზს და სწორი სისტემების მეშვეობით მყისიერ და კარგ გადაწყვეტილებას. საქართველოს რეალობაში არის არაერთი მაგალითი იმისა თუ როგორ შეიძლება კარგად დავგეგმოთ ნებისმიერი პროცესი ან პირიქით ვერ გავართვათ თავი ელემენტარულ საკითხს სისტემის არარსებობის გამო. ქალაქის სწორი მართვისათვისას ინდიკატორების შექმნის შემდგომ მისი ანალიზის საფუძველზე ახალი მოქნილი მონაცემთა ბაზების აგების მიზნით გაანალიზდება ქალაქების

განვითარებაზე მოქმედი ძირითადი სუსტი და ძლიერი მხარეების, აუცილებელი შესაძლებლობებისა და არსებული საფრთხეების კრიტიკული შეფასებები, რაც მდგრადი ქალაქების განვითარების სწორი სტრატეგიის ფორმულირებას შეუწყობს ხელს.

ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინდიკატორული მართვის მოდელის მეშვეობით ადვილდება გადაწყვეტილების მიღებისა და მისი რეალიზების პრობლემების მოგვარება. ინდიკატორული მართვის მოდელის ასაგებად, განვსაზღვრეთ ის ძირითადი მაჩვენებლები რომელიც საზღვრავს თუ როგორ ტიპს მიეკუთვნება ქალაქი.

აღნიშნულ თემაში ასევე ვაჩვენეთ ყველა ის ინდიკატორი რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქის მესვეურებს რისკების შემცირებაზე ვინაიდან სწორი ანალიზის და რისკების შემცირების გარეშე შეუძლებელია სწორი გადაწყვეტილების მიღება.

III. ექსპერიმენტული ნაწილი

ქალაქის ავტომატიზებული მართვის მხარდამჭერი მონაცემთა ბაზის ფორმირება რუსთავის მაგალითზე

3.1. ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები ქვემო-ქართლის და რუსთავის მაგლითზე

ქვემო ქართლი ეს საქართველოს ისტორიულ მხარეა, ის მდებარეობს ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში. რეგიონის დიდი ნაწილი დედაქალაქიდან სამხრეთით არის განლაგებული. რეგიონის ფართობი შეადგენს 6500 კვ.კმ–ს, რაც საკმაოდ მოზრდილია და ქვყნის ერთი მეათედის ტოლია. რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი რუსთავი[29].

სადისერტაციო თემის დამუშავების პროცესში აუცილებელია კვლევის შედეგების მკაფიო წარმოდგენისათვის სრული ინფორმაცია გვქონდეს ყველა საკვლევი ჯგუფის სოციალურ–ეკონომიკური ასევე დემოგრაფიული მახასიათებლების შესახებ. მონაცემების შეჯამებამ გვიჩვენა, მიუხედავად ყველაფრისა ქვემო ქართლის რეგიონისათვის მკაფიოდ არის დამახასიათებელი შრომითი.

ქვემო ქართლის მრავალფეროვანია თავისი ეთნიკურობით, სადაც ძირითადი ეთნოსი ქართველები არის და შეადგენენ საერთო რაოდენობის ორ მეასმედს. ასევე მრავლადაა აზერბაიჯანული ეთნოსი (35%) და სომხები (5.6%). რეგიონში ასევე გვხვდებიან რუსები, ბერძნები და პოლონელები. თუმცა ამ ჯგუფების წილი საერთო წილში საკმაოდ მცირეა. რეგიონში ერთ–ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფო ენის ცოდნის ძალიან დაბალი დონე. კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ არაქართულენოვანი ეთნოსის მოსახლეობის ორ მესამედზე მეტმა არ იცის ქართული. ასეთი ფაქტორით გამოირჩევა ეთნიკური აზერბაიჯანელები, რომელთა 80% არ შეუძლია ქართულად საუბარი. ქართული ენის ცოდნის დონე ყველაზე დაბალია ისეთ ზონებში

რომელიც ახლოს არის საზღვრებთან მაგალითისთვის მარნეულში, გარდაბანსა და დმანისში. ენის არ ცოდნა კი პირდაპირ კავშირშია მათი ჩართულობის ინდექსთან ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაში ამიტომ ხშირად მათ წარმოდგენა არ ააქვთ თუ რა პროექტები ხორციელდება მათთვის რეგიონში ან ქვეყანაში.

ასევე მნიშვნელოვანია დასაქმების კომპონენტი. რეგიონში ბოლო წლებში არაერთმა ორგანიზაციამ ჩაატარა კვლევა დასაქმების კუთხით ყველა ერთხმად აღნიშნავს რომ რეგიონში უმუშევრობის კოეფიციენტი არ აღემატება 50 პროცენტს. აქ საინტერესოა ის ფაქტორი, რომ შრომითი ორგანიზაციები თვითდასაქმებულებსაც დასაქმებულთა ნუსხაში ატარებენ შესაბამისად სოფლის მეურნეობით დაკავებული ადამიანები დასაქმებულთა პროცენტშია, რაც ჩვენი აზრით არასწორია ვინაიდან ასეთი დასაქმება სეზონურია და მას შემოსავალი მხოლოდ ნატურალური სახით ააქვს. [30].

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ მოსახლეობის სოც ეკონომიკური მდგომარეობა უნდა ვიცოდეთ ჩვენთვის საინტერესო ქალაქის თუ რეგიონის ყველა ძირითადი ინფორმაცია და მონაცემები, კერძოდ:

3.1.1. მოსახლეობის რიცხოვნობა

მოსახლეობა და მისი რიცხოვნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია როგორც ქვეყნის ასევე ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. თუ გადავხეავთ სტატისტიკურ მონაცემებს ნათლად გამოჩნდება ქვეყნის ქალაქის მოსახლეობის მიგრაციის როგორც შიდა ასე გარე ტენდენციები. ასევე დავადგენთ მთელ რიგ საკითხებს რაც მოეხმარება ხელისუფალთ ქალაქის სწორ მართვაში. სამწუხაროდ 90 - იანი წლების შემდგომ სტატისტიკური მონაცემების მოგროვება და მობილიზება ნენ-ნელა შეჩერდა. ქვეყანაში არსებული სამოქალაქო ომების ფონზე ალბათ ასეთი ინფორმაციის მოპოვებას მეორე ხარისხოვნად თვლიდნენ. რამაც საბოლოოდ მართვაშიც იჩინა თავი.

როდესაც არ იცის ხელმძღვანელმა რას ფლობს რას მართავს მისთვის შეუძლებელია ის მართოს სწორი ფორმით და ხშირად მიღებული გადაწყვეტილებებიც არასრული ინფორმაციების გამო შეიძლება გამოუსწორებელ შეცდომამდე მიიყვანოს ქალაქები თუ სახელმწიფო. რაც შეეხება რუსთავის და რეგიონის მართვას აქ მოსახლეობის რიცხოვნობა ბოლო 20 წლის განმავლობაში სხვადასხვანაირად იცვლებოდა. თუ ჩვენ ავიღებთ ქვეყნის სტატისტიკას ასევე რეგიონის და ქალაქის ნათლად გამოჩნდება დემოგრაფიული საკითხები.



დიაგრამა N8 საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა

როგორც დიაგრამაზე ჩანს მოსახლეობა 1994 წლიდან დღემდე მცირდებოდა აქ გასარკვევია თუ რა ხვედრითი წილია ქვემო-ქართლზე, ასევ ქალაქ რუსთავში და რაც მთავარია რამ გამოიწვია შემცირება რა სეგმენტში მოხდა შემცირება და ასე შემდეგ. სწორედ სტატისტიკური მონაცემების შეგროვების ძირითადი მიზანიც ესაა გაირკვეს პრობლემის სათავე და მოხდეს მისი პრევენცია მანამ სანამ ეს პრობლემა გამოუსწორებლად არ გადაიქცევა.



დიაგრამა N9 ქვემო ქართლის მოსახლეობის რიცხოვნობა



დიაგრამა N 10 რუსთავის მოსახლეობის რიცხოვნობა

არსებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ 1994 წლიდან დღემდე მოსახლეობის რიცხოვნობა მცირდება. სამივე დიაგრამაზე ჩანს რომ შემცირება 2000 წლამდე განსაკუთრებით მაღალია რუსთავში. თუ 1994 წლის მონაცემით 161,6 ათასი ადამიანია 2001 წელს ეს ნიშნული ყველაზე დაბალზე დადის და 110.1 ათას შეადგენს. რაც მთელი 50 ათასი ადამიანით შემცირებას ნიშნავს. ეს საკმაოდ კატასტროფული შედეგია. 2001 წლის მერე ნელ ნელა იწყება ზრდა რომელიც არ შეჩერებულა და 2019 წლის მონაცემით რუსთავში მოსახლეობის რიცხოვნობამ 128,3

ათასმა შეადგინა. საინტერესოა ის ფაქტი რომ 19,2 ათასი ადამიანი 2002 წლიდან გეგმაზომიერად თანაბრად იზრდება.

თუ ავიღებთ ბოლო 8 წლის მონაცემს ვნახავთ:

რუსთავი



დიაგრამა N 11: 2012-2019 წლის სტატისტიკური მონაცემი რუსთავი,

ქვემო-ქართლი



დიაგრამა N 12: 2012-2019 წლის სტატისტიკური მონაცემი ქვემო-ქართლი,

საქართველო



დიაგრამა N 13: 2012-2019 წლის სტატისტიკური მონაცემი საქართველო.

დიაგრამები გვიჩვენებს რომ ქალაქ რუსთავს ახასიათებს ბოლო 8 წლის განმავლობაში გეგმაზომიერი მატება მაშინ როცა სახელმწიფოში ეს მაჩვენებლები ძალზედ არაერთგვაროვანია. რაც შეესხება რეგიონს აქაც მატება შეინიშნება. აღნიშნული მონაცემებიდან გასარკვევია რა იწვევს რუსთავში მოსახლეობის მატებას მაშინ როცა სახელმწიფოში დიაგრამა არაერთგვაროვანია. არის ეს შიდამიგრაციის პრობლება ქალაქისთვის მარტო თუ არის ბუნებრივი მატებებიც.

3.1.2. ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა

შობადობა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტენდენციების დადგენისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ამიტომ, რაც უფრო სრულფასოვანია დაბადებათა რაოდენობის აღრიცხვა, მით უფრო სანდოა საბოლოოდ გაანგარიშებული ესა თუ ის მაჩვენებელი და მის საფუძველზე ჩატარებული ანალიზი, კვლევები და გამოტანილი დასკვნები.

დაბადებულთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის სხვადასხვა წყარო არსებობს:

- მოსახლეობის აღწერები,
- მიმდინარე აღრიცხვა,

მოსახლეობის აღწერები მხოლოდ გარკვეული პერიოდულობით ტარდება მაღალი სანდოობის შემთხვევაშიც კი ყოველთვის რჩება საკითხი დაბადებულთა რაოდენობის შესახებ აღწერების შუა პერიოდში. ამიტომ დაბადებულთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია მიიღება მიმდინარე აღრიცხვის მეშვეობით სტატისტიკური ორგანოების მიერ. საქართველოში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, დაბადებულთა მიმდინარე აღრიცხვას აწარმოებენ შესაბამისი ორგანოები, რომელთაგან ინფორმაცია საბოლოოდ სტატისტიკის დეპარტამენტში იყრის.

როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?



დიაგრამაN14 ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნება

სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ მონაცემები არაერთგვაროვანია და ნათლად აჩვენებს ეკონომიკური მდგომარეობას საქართველოში. თუ გადავხედავთ დიაგრამას ვნახავთ რომ დაბადების მაჩვენებელი კლებულობს 90-იანი წლების შემდგომ როდესაც ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა უარესდება. და იწყებს ზრდას ეკონომიკური მაჩვენებლის გაზრდასთან ერთად. ზრდის პიკს აღწევს 2015 წელს და შემდგომ მკვეთრად მცირდება. საინტერესოა რა ფაქტორი იწვევს შემცირებას სწორედ ჩვენს მიერ შექმნილი სისტემა შეეცდება მეტნაკლებად სწორი ფორმულირებით გვაჩვენოს რეალობა.

თუ ავიღებთ ქვემო ქართლის და რუსთავის მაგალითს სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს აღნიშნული პროცესების დიაგრამას და თავისი დადებითი თუ უარყოფითი მდგომარეობით, პლიუსებით თუ მინუსებით.



დიაგრამა N15 რეგიონის შობადობის ინდექსი

რეგიონის სტატისტიკური მაჩვენებელი თითქმის იდენტურად იმეორებს ქვეყნის შობადობის მაჩვენებლის დიაგრამას რაც საკმაოდ სინტერესო ფაქტორია და გვიჩვენებს ჩვენს მიერ ჩამოთვლილი მაჩვენებლის ერთ უმთავრესი ფაქტორის მიგრაციის საკითხს . ცალკე აღებული ნებისმიერი დემოგრაფიული მაჩვენებელი ვერ იძლევა სრულ ინფორმაციას არსებულ მდგომარეობაზე მაგრამ როდესაც ხდება სისტემური ანალიზი ავტომატური გამორიცხვების შედეგად დადგინდება რა ფაქტორი ის ძირითადი ფაქტორი რაც იწვევს ცოცხლად შობადობის ასეთი მაჩვენებლების დაფიქსირებას.

საინტერესოა ავღნიშნოთ და ვნახოთ ქალაქ რუსთავის მაჩვენებლები აღნიშნულ პერიოდში.



დიაგრამა N 16 რუსთავში შობადობის მაჩვენებელი

აღნიშნული დიაგრამაც თითქმის მიყვება ქვემო-ქართლის და მთლიანად საქართველოს სტატისტიკური მონაცემების შედეგად შექმნილ დიაგრამებს. ეს კიდევ უფრო ამყარებს პოზიციას რომ სტატისტიკური მონაცემების პროცესში მნიშვნელოვანია მიგრაციისას განვსაზღროთ რა არის გამომწვევი მიგრაცია თუ სხვა ფაქტორები. იმ შემთქვევაში როდესაც დიაგრამები არითმეტიკული სიზუსტით თანაბრად იკლებს და მატულობს პროცენტულად გვაფიქრებინებს რომ ეს

მიგრაციის კონკრეტულად კი გარე მიგრაციის ფაქტორია. იმ შემთქხვევაში როდესაც საქართველოს მაჩვენებელი სტაბულურია რეგიონის და ქალაქის არა მიუთითებს შიდა მიგრაციას სახელდობრ რეგიონის შიგნით მშობლების გადაადგილებას . იმ შეთხვევაში როდესაც საქართველოს სტატისტიკა თანაბარია ხოლო დანარჩენი ორი იდენტურად კლებულობს ესიც შიდა მიგრაციაა ოღონდ სხვა რეგიონში. აქ უკვე გასარკვევია რა იწვევს ამ მიგრაციას. აუცილებელია იმისთვის რომ დადასტურდეს მიგრაციის საკითხი შობადობის მონაცემებთან ერთად გვქონდეს მიგრაციის მონაცემები და თუ ეს ფაქტორები ემთხვევა დავადგენთ რომ ეს მიგრაციის პრობლემაა. როდესაც შობადობის შემცირება მიბმულია მიგრაციაზე. ჩვენს მიერ მოფეიქრებული სისტემით დავადგენთ რა ფაქტორების გამო ხდება მიგრაცია . აქ უკვე გამოირიცხება შობადობის შემცირების გამოწვევის სხვა ფაქტორებზე თუნდაც გარემოს პროსესების შეცვლის გამო სიკვდილიანობის ზრდა. აქ ვიწყებთ ძიებას რა ფაქტორები იწვევს და სწორედ სტატისტიკური მონაცემები დაგვიდგენს და მიგვიყვანს იმ მიზეზებამდე რომლებიც შეიძლება მაგიდაზე გვედოს მაგრამ ურთიერთ შეკავშირების არარსებობის გამო ვერ ვიაზრებთ [34].



დიაგრამა N 17 შობადობის ზოგადი მაჩვენებელი

ეს დიაგრამები ნათლად აჩვენებს და ამყარებს პოზიციას რომ დიაგრამაზე შობადობის შემცირება პირდაპირ პროპორციულად მცირდება საქართველოში ქვემო ქართლში და რუსთავშიც.

თუ ავიღებთ და გავშლით ამ დიაგრამებს წლების მიხედვით ვნახავთ, 1994 წლიდან 2005 წლამდე პროცესი მცირდება სამივე დიაგრამაში სინქრონულად. ეს წლები ქართული ეკონომიკის არარსებობის და ბიუჯეტის მუდმივი დეფიციტის ეპოქაა. 2005 წლიდან იზრდება შემდგომ კლებულობს 2012 წლამდე იზრდება კვლავ და კლებულობს 2015 წლიდან. მონაცემები აშკარად აჩვენებს რომ ეს ფაქტორები გამოწვეულია მიგრაციით განსაკთრებულად კი გარე მიგრაციით.

აქ შეიძლება ჩაიშალოს ასევე:

- ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა დედის ასაკის მიხედვით
- ცოცხლად დაბადებულების რიცხოვნობა ქორწინების რეგისტრაციის მდგომარეობით
- ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა თვეების მიხედვით
- შობადობის ზოგადი კოეფიციენტი
- დედის საშუალო ასაკი დაბადებისას. და ასე შემდეგ.

3.1.3. ახალდაბადებულთა სიკვდილიანობის რიცხოვნობა

სტატისტიკური მონაცემების ანალიზისას უნდა გვქონდეს აუცილებელი ინფორმაცია სიკვდილიანობის შესახებ ეს მონაცემებიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვილთა მოკვდაობისათვის დამახასიათებელია კლების ტენდენცია. აღნიშნული ტენდენცია გულისხმობს ჩვილთა მოკვდაობის თანდათანობით შემცირებას.



დიაგრამა N 18 ჩვილ ბავშვთა მოკვდავობის კოეფიციენტი

დიაგრამა გვიჩვენებს რომ სიკვდილიანობის პროცესი შემცირებულია წლებთან ერთად. ანუ ჩვილ ბავშვთვა გარდაცვალების კოეფიციენტი დაბალია. ეს ფაქტორი გამოწვეული არის თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებსათან, სამედიცინო სისტემის გაძლიერებასთან, მოსახლეობის ეკონომიკური მაჩვენებლის ზრდასთან ასევე ბევრ მავალ ფაქტორტან ერთად.

თუ ავღებთ ასევე რეგიონის კონკრეტულად ქვემო-ქართლის ასევე რუსთავის მაგალითს ვნახავთ, რომ მდგომარეობა იდენტურია.

რეზიუმესთვის შეიძლება ითქვას, რომ ბოლო 25 წლის განმავლობაში შობადობა კლებულობდა 2004 წლამდე ასევე კლებულობდა მკვდარშობილთა რაოდენობაც ხოლო 2005 წლიდან იწყება შობადობის ზრდა 2015 წლამდე და აღწევს 1994 წლის ნიშნულს და აჭარბებს ხოლო სიკვდილიანობა კლებულობს. 2015 წლიდან დღემდე კლებულობს შობადობა და დადის 2012 წლის ნიშნულზე მაგრამ სიკვდილიანობა მკვეთრად მცირდება შესაბამისად დგინდება, რომ სიკვდილიანობა ჩვილი ბავშვების ძალიან შემცირებულია რაც დადებითი ტენდენციაა. თუ ჩვენ ეკონომიკურ ჭრილში განვიხილავთ მივხვდებით, რომ შემცირება სიკვდილიანობის პირდაპირ პროპორციულად არის დამოკიდებული ეკონომიკის ზრდასთან. თუ არ არის შემოსავალი ოჯახები შესაბამისად დაბალია მომსახურება და ავტომატურად მაღალია

სიკვდილიანობა. ამიტომ როდესაც მიგრაციაზე ვსაუბრობთ ვერ ვიტყვით რომ მოსახლეობის შემცირება მხოლოდ სიკვდილიანობის ან შობადობის ბრალია .

ჩვილთა მოკვდაობის პარალელურად შემცირდება ასევე 5 წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობა [31].

3.1.4. მკვდარშობადობა

დღეს დღეისობით მკვდრადშობადობა ქვეყანაში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, როგორც წესი მკვდრადშობადობის მაღალი მაჩვენებელი საშუალო და დაბალი განვითარების ქვეყნებში იჩენს ხოლმე თავს. მკვდრადშობადობის უამრავ მიზეზებს შორის ყველაზე ხშირად გვხვდება სამწუხაროდ ნაადრევი შობადობა, სიმსუქნე და დიაბეტი ასევე ნაყოფის განვითარების შეფერხება და სხვა. მკვდრადშობადობის მაჩვენებლებით ბოლო წლების განმავლობაში ბევრად შემცირდა საქართველოში რაც გარკვეულწილად მეტყველებს ქვეყანაში ჯანდაცვის სისტემის განვითარებაზე [32].

მკვდარშობილობის კოეფიციენტი საქართველოში დადებით მაჩვენებლისკენ მიგვითითებს რაც საკმაოდ პოზიტიური მოვლენაა. როგორც ზემოთ ავღნიშნე მკვდარშობილობის შემცირება დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლის გაუმჯობესებასთან. ზოგადად დამახასიათებელ ტენდენციებზე კარგად არის გაანალიზებული ჯანდაცვის სამინისტროს 2016 წლის. მოხსენებაში. სადაც დეტალურად არის აღწერილი მკვდარშობილობის მთელი დეტალები სწორედ ჩვენი სისტემის შექმნის შემდგომ საჭიროებისამებრ მოთავსებული იქნება მთელი მონაცემები რაც გლობალურად მოგვცემს საშუალებას ნებისმიერი საკითხის მიმართ ამომწურავი ინფორმაციები გვქონდეს.

3.1.5. გარდაცვლილთა რიცხოვნობა ასაკის მიხედვით

საკმაოდ საინტერესო ტენდენცია აქვს გარდაცვალების რიცხოვნობებს განსაკუთრებით ასაკის მიხედვით. მონაცემები რომელიც არის საქსტატის მკაფიოდ აჩვენებს პროცესებს მიმდინარეს ჩვენ ქვეყანაში. პირველ რიგში ვნახოთ ზოგადად საერთო მონაცემი გარდაცვალების კოეფიციენტის საქართველოს მაშტაბით შემდგომ ქვემო ქართლის და ქალაქ რუსთავის, აქ მკაფიოდ ვნახავთ 25 წლის განმავლობაში წარმოქმნილ მდგომარეობას დიაგრამის მიხედვით.



დიაგრამა N19 გარდაცვალებულთა რიცხოვნობა



დიაგრამა N 20 გარდაცვალებულთა რიცხოვნობა ქვემო ქართლი



დიაგრამა N21 გარდაცვალებულთა რიცხოვნობა რუსთავი



დიაგრამა N 22 გარდაცვალებულთა რიცხოვნობა შეჯამება

აღნიშნული მონაცემები აჩვენებს რომ სიკვდილანობის მაჩვენებელი ქვეყანაში სტაბილური კოეფიციენტით არის ასახული 45 ათასიდან 50 ათასამდე. ასევეა რუსთავის მონაცემებიც. მთლიანი მონაცემები გვიჩვენებს გარდაცვალებულთა რაოდებობაზე როგორც რეგიონის მიხედვით ასევე ასაკობრივი მაჩვენებლებით რაც თავისთავში გვიჩვენებს რა ასაკის ადამიანებზეა სიკვდილიანობის მაღალი რისკის ზონა არის ეს ბალანსური თუ დისბალანსური ასევე აჩვენებს მონაცემს სქესიდან გამომდინარე ანუ გარდაცვლილთა მაჩვენებელი გენდერული კუთხით.

საქსტატის მონაცემებში კარგადაა მოცემული ასაკონრივი ასევე გენდერული კუთხით რა ვითარება არის საქართველოში 25 წლის

განმავლობაში. აქ მკაფიოდაა განსაზღვრული თითოეული ნიუანსი შესაბამისად შეიძლება ითქვას რომ მოცემული მონაცემებით ჩანს რისკის ჯგუფები.

3.1.6. ბუნებრივი მატება

ბუნებრივი მატების მაჩვენებელი ერთ-ერთი შედეგია ზემოთ მოცემული მონაცემების გაერთიანებისა და თავისთავად გვიჩვენებს საქმიანობისთვის რა შედეგზე გავიდა ქვეყანა განვითარების პროცესში არის ეს მატების თუ კლების დამახასიათებელი ტენდენციები. თუ ავიღებთ საქსტატის მონაცემებს ნათლად ვნახავთ ბუნებრივი მატების მაჩვენებელს.

დიაგრამა N 23 ბუნებრივი მატება

აღნიშნული დიაგრამა გვიჩვენებს ზოგად ტენდენციებს სადაც ნათლად ჩანს მატების კოეფიციენტი. დიაგრამაზე ვხედავთ, რომ 1994 წლის შემდგომ 2004 წლამდე კლების ტენდენცია მკაფიოა. 2005 წლის შემდგომ 2009 წლის ჩათვლით მაჩვენებელი ზრდადია 2009 წლიდან 2012 წლამდე იკლებს მაგრამ ბალანსი დადებითია. ხოლო შემდგომ მატულობს

და აჭარბებს 1994 წლის ნიშნულს. 2015 წელს მაჩვენებელი კვლავ იკლებს და საშვალო ნიშნულს იკავებს.

ასევე მნიშვნელოვანია ვნახოთ რუსთავის მაგალითი.



დიაგრამა N24 ბუნებრივი მატება რუსთავის მაგალითზე

ამ მაჩვენებელშიც ანალოგიური დინამიკა ფიქსირდება რაც საკმაოდ საინტერესოა . 1994 წლის შემდგომ არის თანაბარი ზრდა 1998 წლამდე შემდგომ მონაცემი მცირდება 2004 წლამდე. 2005 წელს იწევს მატების მაჩვენებელი 2012 წელს არის კლების ტენდენცია რომელიც 2015 წლამდე გრძელდება ხოლო 2016 წლიდან მატების ტენდენციები მცირდება.

3.1.7. ქორწინება

როდესაც ვსაუბრობთ სტატისტიკურ მონაცემებზე ასევე დემოგრაფიულ მონაცემებზე და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტენდენციებზე უნდა გავითვალისწინოთ ქორწინების მაჩვენებლები. თუ ჩვენ აქაც ავიღებთ 25 წლის მონაცემს ვნახავთ შემდეგ ტენდენციებს.



დიაგრამა N 25 რეგისტრირებული ქორწინების რაოდენობა საქართველოს მაშტაბით

დიაგრამა გვიჩვენებს 1994 წლიდან 2004 წლამდე შემცირების ტენდენციას, შემდგომ არის მატება 2011 წლამდე . 2012 წელს ასევე 2013 წელს აღინიშნება შემცირება და უტოლდება 20010 წლის ნიშნულს ხოლო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება 2015 წელს . შემდგომ იწყება მკვეთრი შემცირება და 2018 წელს ნიშნული 2007 წლის ნიშნულს უტოლდება. რაც შეეხება რუსთავის მაგალითს შეგვიძლია განვსაზღვროთ დიაგრამაზე მოცემული ციფრები და გავაანალიზოთ მდგომარეობა.



დიაგრამაN 26 რეგისტრირებული ქორწინების რაოდენობა ქ. რუსთავი

აღნიშნული დიაგრამის მაჩვენებელიც გვიჩვენებს რომ კლების ტენდენცია 2016 წლის შემდგომ მოდის. თუ მანამდე მეტნაკლებად

სტაბილური ზრდის ტენდენცია იყო აქ უკვე გვაქვს შემცირების მკვეთრი მაჩვენებელი.

თუ ჩვენ რეზიუმეს სახით შეჯამებას მოვახდენთ აღნიშნული ქვეთავების ვნახავთ, რომ ყველა ცალკეულად გამოტანილი მაჩვენებელი დიაგრამებით გვიჩვენებს რომ არსებობს ქვეყანაში მათ შორის ქვემო ქართლის რეგიონში და ქალაქ რუსთავში საკვანძო წლები. ეს არის 2004 წელი ასევე 2012 წელი და 2015-20016 წელი რაზეც მოგვიანებით სისტემის შექმნის პროცესში კიდევ უფრო აქტუალურად გაიშლება.

3.2. მოსახლეობის სოც -ეკონომიკური მდგომარეობა რეგიონის და რუსთავის მაგალითზე

დღეისათვის საქრთველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში მიმდინარე გარდაქმნების სოციალური შინაარსის განსაზღვრას და მის სწორ შეფასებას. ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების შეფასების მთავარი კრიტერიუმია მოსახლეობის კეთილდღეობა, ცხოვრების დონის ამაღლება. ქმედითი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისათვის კი აუცილებელია მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შესახებ გვქონდეს სრული ინფორმაცია. ამ მიზანს ემსახურება სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა. სწორედ სტატისტიკური მეთოდების გამოყენებითაა შესაძლებელი დადგენილ იქნას პრობლემის თავისებურებანი, ტენდეციები და მასე მოქმედი ფაქტორები. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ბევრ ფაქტორს გვიჩვენებს. მათ შორის

3.2.1. ქვეყნის უმუშევრობის დონე რეგიონის ჭრილში

აღნიშნული მონაცემები საკმაოდ საინტერესოა ვინაიდან ამ მონაცემებით სრულად შესაძლებელია დავადგინოდ ქვეყნის

უმუშევრობის ასევე რეგიონისა და ქალაქის ხვედრითი წილი უმუშვრობის ჭრილში და სწორედ მსგავსი ინფორმაციის გაანალიზება გვაძლევს საშუალებას გავარკვიოთ რა ფაქტორები ახდენენ გავლენას ქვეყანაში უმუშევრობის დონეზე და რაც მთავარია მიგრაციის პროცესში არის თუ არა აღნიშნული ფაქტორი პირდაპირი გავლენის მატარებელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესზე.



დიაგრამა N 27 უმუშევრობის დონე რეგიონულ ჭრილში

აღნიშნული დიაგრამა პირდაპირ აჩვენებს რომ უმუშევრობის დონე ქვემო ქართლში საკმაოდ მაღალია და ამ კუთხით მხოლოდ თბილისი უსწრებს. რაც შეეხება უშუალოდ ქალაქ რუსთავს უმუშევონის დონე რუსთავში უმუშევრობის დონე მერყეობს 45 დან 50 პროცენტის ფარგლებში. და ერთადერთი ფაქტორი რის გამოც უმუშევრობა არ აღემატება 50% -ს არის ქალაქ რუსთავში თბილისთან სიახლოვე.

არსებული სტატისტიკური მონაცემებით 2015 წლიდან დღემდე ყოველ დღე თბილისის მიმართულებით გადაადგილდება 21-23 ათასი ადამიანი სადაც მხოლოდ 4 ათასიდან 5 ათასამდეა სტუდენტი დანარჩენი თბილისშია დასაქმებული ან არის სამუშაოს მაძიებელი.

საბოლოო ჯამში რეგიონის უმუშევრობის დონის ასეთი მაღალი მაჩვენებელი ასევე არის გამოწვეული იმ ფაქტორით, რომ რეგიონში მოსახლეობის 65 პროცენტი ეთნიკურად არაქართველია და არ იციან სახელმწიფო ენა შესაბამისად არ ააქვთ პრეტენზია იყვნენ დასაქმებული რაიმე სახელმწიფო ან კერძო კომპანიებში და ძირითადად თვითდასაქმებულნი არიან, ან გადაადგილდებიან მათი ეთნოსის შესაბამის სახელმწიფოში სამუშაოდ საუბარია აზერბაიჯანზე და სომხეთზე.

3.2.2. საგანმანათლებლო მონაცემები (ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული, უმაღლესი) რეგიონის და ქალაქ რუსთავის ჭრილში

ქვემო-ქართლი ეს არის აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთით მდებარე რეგიონი სადაც ფუნქციონირებს 270-მდე საჯარო სკოლა, აქიდან 22 სკოლა ქალაქ რუსთავშია განთავსებული. რეგიონში რომლებშიც 300-ამდე სკოლაა სულ 65,9 ათასი მოსწავლე სწავლობს. სკოლების ინფრასტრუქტურა, რეგიონში როგორც წესი საშუალოა. გაცილებით კარგი სიტუაციაა ამ კუთხით ქლაქი რუსთავში სადაც ინფრასტრუქტურა დამაკმაყოფილებელია. თუმცა, არის სკოლები, რომლებიც სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებს. რეგიონის ტერიტორიაზე 71 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება განთავსებული. სკოლამდელი დაწესებულებები უკვე 6 წელია ფინანსდება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტით. სკოლამდელი აღზრდის სისტემაში გაცილებით მძიმე მდგომარეობაა ქალაქის გარდა მუნიციპალიტეტებში ბაღების მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. ქალაქ რუსთავშიც რეაბილიტაციები ბოლო 7 წელია ხორციელდება. რეგიონში მოქმედებს 2 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. გარდა ამისა, ქალაქ რუსთავში მოქმედებს 2 საშუალო პროფესიული გადამზადების ცენტრი, სადაც

სპეციფიური პროფესია ისწავლება. ზოგადად, რეგიონში საგანმანათლებლო დაწესებულებების საკმაოდ დიდი დეფიციტია. ქალაქ რუსთავს დედაქალაქთან სიახლოვის გამო აქვს მხოლოდ ერთი უმაღლესი სასწავლო სამედიცინო ცენტრი, ამიტომ ქართულენოვანი ახალგაზრდობა უმაღლესი განათლებას თბილისში იღებს. რაც შეეხება ეთნიკურად არაქართველი ახალგაზრდებს უმაღლესი განათლების მისაღებად, ხშირად, ბაქოსა და ერევანში მიდიან და მათი ძალზე მცირე ნაწილი სწავლობს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, ქართული ენის არცოდნის გამო, სწავლის გაგრძელების არც სურვილს ამჟღავნებენ და ისინი, ხშირად, მეათე მეთერთმეტე კლასში ტოვებენ სწავლას. ეთნიკურად აზერბაიჯანულ მოსახლეობაში საკმაოდ მაღალია დამამთავრებელი კლასის გოგონების დაქორწინების ტენდენცია რაც სისხლის სამართლის დანაშაულია, ასევი ადრეული დაქორწინების გამო ისინი სკოლას აღარ ამთავრებენ [33].

3.3. ქალაქის ეკონომიკის რესურსული უზრუნველყოფის ავტომატიზებული მართვის მხარდამჭერი მონაცემთა ბაზების აგების კონცეფცია

თანამედროვე ქალაქის ეფექტური მართვა როგორც უკვე არაერთხელ ავღნიშნეთ რთული პროცესია და საკმაოდ ბევრი საკითხებისგან შედგება. მართვის პროცესზე დიდ როლს თამაშობს სწორად გეგმაზომიერად ჩამოყალიბებული და გამართული სისტეები. არსებობს უამრავი პრობლემები რომელიც ხშირად იჩენს თავს ქალაქის განვითარების პროცესებში. ხშირად აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა არ არის სტანდარტული და ხშირ შემთხვევაში ასეთი საკითხების გადაჭრისთვის აუცილებელია მოქნილი მართვის თანამედროვე სისტემები.

დღვანდელ ეპოქაში არსებობს უამრავი ინფორმაციები სამართავ ქალაქზე. აღნიშნული მონაცემები როგორც წესი ყოველთვის მართველის თვალწინ არის, მაგრამ ხშირ შემთხვევში არსებული პრობლემების გადაწყვეტილება არაეფექტურია არასწორი ანალიზის გამო. ასე, რომ ეფექტური მართვა დამოკიდებულია სწორედ იმ არსებული მონაცემების სწორად გამოყენებაზე.

საქართველოს არც ერთი ქალაქი არ იყენებს კლასიკური გაგებით სისტემების მეშვეობით სწორი გადაწყვეტილების კონცეფციას. გარკვეულ სისტემურ მიდგომას შესაბამისად როგორც წესი მართვაც არათანმიმდევრული და ქაოსურია. ხშირ შემთხვევაში არსებობს პრობლემები, არსებობს ასევე ხელმძღვანელის ხელთ ამ პრობლემების გადაჭრის გარკვეული გზები მაგრამ ვერ ხერხდება სწორი კავშირებით ანალიზის გაკეთება. სწორედ ასეთმა პრობლემების სწორი გადაწყვეტის ნაკლებობამ გამოიწვია დაინტერესება აღნიშნული სისტემის გარკვეული კომპონენტის შექმნისა რომელიც მკაფიოთ დაეხმარება პასუხისმგებელ პირებს მიიღონ ადექვატური და სწორი გადაწყვეტილება.

სადისერტაციო თემის მესამე ნაწილი სრულად დაეთმო სტატისტიკური მონაცემების გარკვეულ რაოდენობას რომელთა გარკვეული სისტემური დაჯამებით შესაძლებელია ანალიზი რის შემდგომაც ნათელი გახდება, რომ კონცეფცია რომელიც ამ სადისერთაციო ნაშრომშია ავსახე არის სწორი და საკმაოდ ადექვატურია რათა განისაზღვროს ქალაქის მართვის პროცესში სწორი გადაწყვეტილების მიღება.

ქალაქის მართვის სისტემური ანალიზის ბაზა, პირველი ველი უნდა შედგებოდეს ძირითადი მაჩვენებლისგან რაც აუცილებელია მართვის პროცესის სისტემაში მოსაყვანად მაგალითისთვის.



ნახაზიN4 სისტემის ძირითადი მაჩვენებლები

თითოეული ველი გავშალოთ პატარა ქვე ველებათ, მაგალითად. მოსახლეობა და დემოგრაფია.



ნახაზიN5 დემოგრაფიული მაჩვენებლებში შემავალი ველები

თითეული ქვე ველი ჩაიშლება და თითეულ ქვე ველს ექნება სპეციფიური ინფორმაციები რომელიც მნიშვნელოვანია ანალიზისთვის საინტერესოა ის პროცესი, რომ ყველა კონკრეტულ ინფორმაციას ექნება ბმა რაც მნიშვნელოვანია.



ნახაზი N 6 დაბადების მაჩვენებელში შემავალი ველები

თითოეული ველები იშლება კონკრეტულ ინფორმაციამდე ეს არის ურთიერთ დამოკიდებული ბევრი ველი სადაც გადაკვეთები მუდმივადაა და სადაც ინფორმაციები სტატისტიკა ერთმანეთს აზღვევენ და თუ ჩვენ გვინდა მივიღოთ ინფორმაცია შობადობასთან დაკავშირებით უნდა ვნახოთ ის ველები რომლებიც ერთმანეთს გადაკვეთენ ესენია: ეკოლოგია, მშობლების უმუშევრობა, მიგრაცია, ცხოვრების დაბალი დონე, შიდა მიგრაცია და ასე შემდეგ. ერთი შეხედვით გვაქვს ამომწურავი ინფორმაცია რომელიც მოცემულია.



ნახზი N7 პრობლემაზე მამოქმედებელი ინდიკატორები

აღნიშნული მონაცემები ერთმანეთში იკვეთება სადაც ხდება ანალიზი. არსებული ველები უბრალოდ მოინიშნება წლების მიხედვით სადაც მოხდება ბევრი კვეთა ყველა ამ რგოლების სტატისტიკა მესამე თავის საწყისშია გაშლილი სადაც ასეთი ტენდენციაა 1994 წლის შემდგომ და ეს ტენდენცია ყველა მიმართულებით მონაცემების შკალაზე შემცირებით აღინიშნება.

ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი თეორიული ნაწილის საფუძველზე შევქმენით გარკვეული სახის ბაზა რომელმაც თეორია პრაქტიკულ ჭრილში უნდა გადაიყვანოს. აღნიშნულმა ველებმა უნდა აგვიხსნას თუ როგორ იფუნქციონირებს სისტემა რომელიც მიეხმარება ხელმძღვანელს სწორი გადაწყვეტილების მიღებას და საფრთხის დანახვაში.

ინტერნეტ ბროუზერის მეშვეობით შევალთ სისტემაში რომელზეც იქნება მიბმული სრული ინფორმაცია. აღნიშნული ინფორმაციები მრავლად შეიძლება ქონდეს ქალაქის ხელმძღვანელს მაგრამ მისი მოყვანა სისტემაში ეს არის უმთავრესი პროცესი. გახსნილი ვებ გვერდიდან ვხედავთ ძირითად იმ ველებს რომელიც საჭიროა ქალაქის მარტვის პროცესში ვინაიდან ჩვენი ამოცანაა მოცემულ მომენტში გავარკვიოთ შობადობის ტენდენცია ქალაქში უნდა შევიდეთ მოსახლეობა და დემოგრაფიის ველში



სურათი: N 6 სერვისების პანელი

აღნიშნულ ველში შესვლისას სურათზეც ნათლად ჩანს ხდება ველების ჩაშლა ანუ იხსნება ახალი გვერდი სადაც მოსახლეობა და დემოგრაფიის ველი მთავარია ხოლო ეს ველები მასში შემავალი თითოეული მათგანი წარმოადგენს ქალაქის განვითარებისთვის აუცილებელ საკითხებს.



სურათი: N7 მოსახლეობის და დემოგრაფიის მთავარი ველი

დემოგრაფიის ველი თავისთავად შეიცავს რამოდენიმე ველს როგორიცაა: დაბადება, გარდაცვალება, ბუნებრივი მატება და ასე შემდეგ.

ვინაიდან ჩვენი ინტერესის სფეროა შობადობის საკუთხები აუცილებლად ამ ველიდან შევდივართ შობადობის ველში, სადაც ხდება კიდევ უფრო დეტალებში ჩაშლა სისტემის და ჩნდება უამრავი ვარიანტი შობადობის პროცესში წარმოქმნილი პრობლემებისა როგორიცაა ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა ასაკის სქესის და სხვა მრავალი ფაქტორით. ჩვენ ვირჩევთ ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობას ქალაქის მიხედვით და გადავდივართ ამ გვერდზე აღნიშნული გვერდი კიდევ უფრო იშლება და გვივვენებს ახალ ჩამონათვალს.



სურათი N8 დაბადების მართვის პანელის ქვე ველი

ვინაიდან ჩვენ გვჭირდება ცოცხლად დაბადებულთა ველი შევდივართ და აქ უკვე აღნიშნული ველი გვჩვენებს სტატისტიკური მონაცემების ნუსხის ვარიაციებს წლების მიხედვით.



სურათი N9 ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა

სტატისტიკური მონაცემები გვჩვენებს მდგომარეობას ქალაქში მათ შორის ძველს და მიმდინარე სტატისტიკას. თუ ჩვენ ვნახავთ 2017 წლის მონაცემს აქ სისტემა გამოგვიტანს მთლიანი წელს და თვეების მონაცემს სადაც იქნება მოცემული შობადობა სიკვდილიანობა რომელიც დაყოფილია გენდერული კუთხით .



სურათი N10 2017 წლის დაბადების მაჩვენებელი



სურათი N11 2019 წლის დაბადებულთა მაჩვენებელი თვეების მიხედვით



სურათი N12 2019 წლის ივნისის თვის დაბადებულთა მაჩვენებელი



სურათი N 13 2019 წლის მაისის თვის დაბადებულთა მაჩვენებელი

ჩვენ მოცემული სურათებით ვნახეთ, რომ ველები ჩადის ბოლო დეტალამდე და მინდა მივაქციოთ ყურადრება იმ ფაქტორებს, რომ ბოლო სურათებში კარგად ჩანს ის რისთვისაც გაკეთდა აღნიშნული პროგრამა. თუ ჩვენ შევადარებთ ბოლო ორ სურათს ვნახავთ, 2019 წლის იანვრის და 2019 წლის მაისის თვეებს. პირველ სურათში კარგად ჩანს, 2019 წლის სტატისტიკა ამ პერიოდში დაბადებულთა რაოდენობაა 155 ბავშვი სადაც გოგოა 92, ბიჭი კი 63 . სიკვდილიანობის მაჩვენებელია 4 ბავშვია ორი გოგო ორი ბიჭი. აქ საინტერესო არის ის ფაქტორი, რომ დადგენილი ინდიკატორით ქალაქში სიკვდილიანობის ინდექსის ზღვარი უნდა იყოს 2 პროცენტი შესაბამისად სისტემამ აჩვენა რომ მოცემულ თვეში სიკვდილიანობის მაჩვენებელი აცდა 2 პროცენტს და შეადგინა 2,58 პროცენტი რაც საგანგაშოა სა მოითხოვს დამათებით ყურადრებას. მაშინ როდესაც ანალოგიური წლის მაისში ეს მაჩვენებელი შეჩერდა 1,93 -ზე. რაც ნიშნავს იმას რომ აღნიშნული მაჩვენებელი ზღვარზეა.

მოცემული ველებით ვაჩვენეთ რომ ქალაქის ხელმძღვანელს მარტივად შეუძლია დაინახოს საფრთხეები და ეძებოს მისი გადაჭრის გზები.

მესამე თავის დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავი მთლიანად არის დათმობილი იმ საკითხებს რომელიც ეხმარება ინდიკატორების სწორად დალაგებაში. თემაში არაერთხელ ავღნიშნეთ, რომ ქალაქის განვითარება იყოფება სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებად რომელიც შედგება თავის მხრივ უამრავი ინდიკატორებისგან და თითოეული ინდიკატორი თავისთავად გვიჩვენებს გზას გამოსავალს ჩიხიდან.

ქალაქის განვითარება საკმაოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის და დღევანდელი მართველობის პრინციპიც ამას აღიარებს, რომ სწორი განვითარება რეგიონების პირდაპირ ასახავს ქვეყნის განვითარებას. ამიტომ მნიშვნელოვანია შეირჩეს ისეთი გადაწყვეტილებები მართვის პროცესში რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქის სტაბილურ და მწყობრ განვითარებას. ამიტომ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელი უნდა დაეყრდნოს გარკვეულ მონაცემებს და ამის შემდგომ მიიღოს გადაწყვეტილება. ჩვენს რეალობაში შეიძლება იყოს პრობლემა კონკრეტული ქალაქისთვის რომლის გადაწყვეტაც მნიშვნელოვანია ასევე მნიშვნელოვანია ამ გადაწყვეტის გზებიც. შესაძლებელია იყოს უამრავი გადაჭრის გზებიც რომელიც ხელმძღვანელის ხელშია მაგრამ ვერ დაინახოს. ამიტომ როდესაც გადაწყვეტილებას ვიღებთ ეს უნდა იყოს გააზრებული და არა სპონტანურად მიღებული. კარგ გადაწყვეტილებას კი ჭირდება ჭკვიანი ხელმძღვანელი და ასევე მის ხელთ გარკვეული სისტემა თავის ინდიკატორებით რომელიც განუსაზღვრავს და გამოურიცხავს გარეშე ფაქტორებს და ხელის გულზე დაანახებს პრობლემებს მისი წარმოქმნის ადგილს დროს და გადაჭრის საშუალებებს. ამიტომ ჩევენი თემის მესამე ნაწილი სრულად დაეთმო მსგავსი კვლევების ანალიზს სადაც კარგად გავიაზრეთ სად ვართ რა გვინდა. ამიტომ მნიშვნელოვანია შეიქმნას სისტემა ინდიკატორებით დახუნძლული რომელიც დაგვეხმარება გადაწყვეტილების ეფექტურად მიღებაში. სადისერტაციო თემაში

ვაჩვენეთ გარკვეული პრობლემა უამრავი სტატისტიკური მონაცემები რომლებიც შეიძლება დაწყვილდეს ერთმანეთთან გარკვეული ველების მეშვეობით და ხელი შეუწყოს სწორი გადაწყვეტილების მიღებას. სტატისტიკური მონაცემების ანალიზისას გონიერი კაცი აღმოაჩენს პრობლემას და მისი გადაჭრის გზებსაც მაგრამ ასეთი ანალიზი არ კეთდება წუთებში და მას დრო ჭირდება. მერს შეიძლება დღეში უამრავი პრობლემა ქონდეს რომლის გადაჭრაც ჭირდება. ჩვენს მიერ დაგეგმილი სისტემა ძირითადი ინდიკატორების მეშვეობით დაეხმარება მას ყველა პრობლემის მოგვარებასა და სწორი გადაწყვეეტილების მიღებაში.

დასკვნა

როგორც ჩვენს მიერ გაანალიზებული სამეცნიერო ნაშრომებიდან ჩანს, ქვეყანაში 29 წლის მანძილზე არსებული ვითარება ცხადყოფს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მართვის სფეროში მიუხედავად მცირედი წარმატებებისა საქართველოს ჯერ კიდევ საკმაოდ რთული გზა აქვს გასავლელი და ის არა მარტო ინტელექტუალურ არამედ ფინანსური ინვესტიციების განხორციელებას საჭიროებს. იმისათვის, რომ ქვეყანამ მოახერხოს და შესძლოს, ელექტრონული მმართველობის მხრივ დასავლეთის სტანდარტებთან შემლებისდაგვარად მიახლოვება, საჭიროა ამ პროცესის მეცნიერული კვლევა და კვლევის შედეგების პრაქტიკული განხორციელება. ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკვლევისა და ანალიზით მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ:

- ადგილობრივი თვითმმართველობის მართვის პოლიტიკაში არ არის დამუშავებული მართვის ელექტრონული პროცესის რეგულირების კონცეფცია.
- არ არსებობს საიმედო საინფორმაციო მონაცემთა ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ზუსტ აღრიცხვას და მიესადაგებოდა ქალაქებში არსებულ სოც ეკონომიკური პრობლემების ანალიზის სწორ სპეციფიკას, ძირითად მიმართულებებს და მოთხოვნებს.

აქედან გამომდინარე დისერტაციაში დავამუშავეთ შემდეგი საკითხები:

- გავაანალიზეთ ინფორმატიზაციისა და ელექტრონული მმართველობის განვითარების უახლესი ტექნოლოგიები.
- განვსაზღვრეთ ქალაქის ადამიანური რესურსების პოტენციური შესაძლებლობის მექანიზმები;
- მეცნიერულად დავასაბუთეთ მოქალაქეთა მომსახურებისა და მათი მმართველობითი პროცესში ჩართვის აუცილებლობა.

ჩავატარეთ ქალაქების სოციალურ ეკონომიკური მართვის პროცესში ინდიკატორული მექანიზმის გამოყენების სისტემური ანალიზი.

განვიხილეთ რა ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინდიკატორული მართვის მოდელი, რომლის მეშვეობით ხდება გადაწყვეტილების მიღებისა და მისი რეალიზების პრობლემების დამუშავება. განისაზღვრა ძირითადი ინდიკატორული მაჩვენებლები.

ქალაქის სწორი მართვისათვისას ინდიკატორების შექმნის შემდგომ მისი ანალიზის საფუძველზე ახალი მოქნილი მონაცემთა ბაზების აგების მიზნით გაანალიზდა ქალაქების განვითარებაზე მოქმედი ძირითადი სუსტი და ძლიერი მხარეების, აუცილებელი შესაძლებლობებისა და არსებული საფრთხეების კრიტიკული შეფასებები, რაც მდგრადი ქალაქების განვითარების სწორი სტრატეგიის ფორმულირებას შეუწყობს ხელს. ინდიკატორული მართვის მოდელის ასაგებად დავადგინეთ ის ძირითადი მაჩვენებლები რომელიც საზღვრავს, თუ როგორ ტიპს მიეკუთვნება ქალაქი.

დამუშავებულია დისერტაციაში მიღებული საკვლევი შედეგის - ქალაქის მართვის სისტემური ანალიზის ბაზა და მისი პრაქტიკული რეალიზების ამოცანები, რომელთაგანაც ერთი ამოცანა - დომოგრაფიული სიტუაციის მართვა, რეალიზებულია კომპიუტერთან ინტერაქტიურ რეჟიმში. გახსნილი ვებ. გვერდიდან მომხმარებელი ხედავს იმ ძირითად ველებს, რომელიც საჭიროა ქალაქის მართთვის პროცესში. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა მოცემულ მომენტში გავარკვიოთ ქალაქში შობადობის ტენდენცია, მენიუს ფანჯრიდან შევდივართ „მოსახლეობა და დემოგრაფია“ ველში და შემდგომში ვმოქმედებთ დიალოგური ფანჯრის კარნახის მეშვეობით.

თეორიული ნაწილის საფუძველზე შევქმნილია გარკვეული სახის მონაცემთა საინფორმაციო ბაზა, რომელმაც ჩვენგან დამუშავეული თეორია პრაქტიკულ ჭრილში უნდა გადაიყვანოს, რაც დაეხმარება ქალაქის ხელმძღვანელობას მართვის სწორი გადაწყვეტილების მიღებაში და მოსალოდნელი საფრთხის მიმართ პრევენციული ღონისძიებების გატარებაში.

ლიტერატურა

1. https://ka.wikipedia.org/wiki/ქალაქი. ნანახია2018
2. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია) გრძელვადიანი სტრატეგია დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისათვის 2017-2029 http://nala.ge/uploaded/nala/2018-04/20180409154753148742662 3.pdf)
3. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია) გრძელვადიანი სტრატეგია დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისათვის 2017-2029. http://nala.ge/uploaded/nala/2018-04/20180409154753148742662 3.pdf)
4. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია) გრძელვადიანი სტრატეგია დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისათვის 2017-2029 . http://nala.ge/uploaded/nala/2018-04/20180409154753148742662 3.pdf)
5. საჯარო პოლიტიკის შემუშავებაში მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე . საქართველოს კვლევითი რესურსების ცენტრი 2018 წელი.
6. იხილეთ; დემოკრატია და ადგილობრივი მმართველობის გაძლიერება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (PGG 2015-2017) კვლევა საქართველოსთვის ევროსაბჭო, ევრო კავშირი და საქართველოს ადგილობრივი თვითმართველობის ეროვნული ასოციაცია(NALAG) - ის მიერ. (2017 წლის გამოცემა)
7. ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი, საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასება 2017 წელი . http://droa.ge/wp-content/uploads/2017/12/LSGINDEX_Report_Final.pdf)
8. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფინანსურ-ეკონომიკური ფაქტორები და მისი რეგულირების მექანიზმები საბაზრო ურთიერთობის ფორმირების პირობებში http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?
9. http://forbes.ge/news/960/umuSevrobis-problema
10. http://geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo
11. ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასება 2017 წელი. http://droa.ge/wp-content/uploads/2017/12/LSGINDEX_Report_Final.pdf).
12. https://ka.wikipedia.org/wiki/ქალაქი ნანახია 2018).
13. https://ka.wikibooks.org/wiki/ძველი_რომის_ისტორია/ადრეული_რეს პუბლიკა ნანახია 2018
14. https://idfi.ge/ge/e-governance-in-georgia-world-tendencies ნანახია 2018
15. ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმა 2014-2015
16. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო ნანახია 2018
17. http://fas.ge/eDocument.

18. https://napr.gov.ge/p/141 (ნანახია 16,02,201)
19. https://idfi.ge/ge/e-governance-in-georgia-world-tendencies(ნანახია 2018).
20. ელ. ჩართულობა საქართველოში) https://eparticipationge.wordpress.com /2014/07/07/საქართველოს-ელ-მმართველო/2018 წ).
21. (https://ka.wikipedia.org/wiki/ქალაქი ნანახია2018).
22. ადამია ვ., არაბული ნ., ცირამუა ზ. კომპიუტერული ქსელები. თბილისი, 2009.
23. მირცხულავა ლ. ქსელური ტექნოლოგიები და კომუნიკაციები. თბილისი, 2009.
24. http://mastsavlebeli.ge/?p=2787, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული- (ნანახია07.11.2017).
25. კაკაშვილი გ. სისტემური მოდელირებისა და სისტემური თეორიის მეცნიერული არსი. საერთაშორისო პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი "ინტელექტი" # 2(58), თბილისი, 2017.
26. https://theconversation.com/how-the-internet-was-born-from-the-arpanet-to-the-internet-68072, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული- (ნანახია 13.04.2018.)
27. საქართველოს კონსტიტუცია ადგილობრივ თვითმმართველობას აღიარებს როგორც მმართველობის დემოკრატიული სისტემის ერთ-ერთ აუცილებელ საფუძველსა და პირობას რუხაძე ზ. 1999.
28. ჩაჩანიძე გ., ფალიანი ნ. 2003.
29. http://www.novators.ge/qvemo_qartli.php (ნანახია 2019 აპრილი)
30. შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტო. ქვემო ქართლის მოსახლეობის სოციალურ– ეკონომიკური მდგომარეობისა და განწყობების შესწავლა.
31. საქ სტატის მონაცემები (ნანახია 2019 წელს).
32. საქართველოს შრომის ჯამრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო . პერინატალური ჯამრტელობის ანალიზი 2016 წელი.
33. ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის.
34. https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/saq%20demografia 1.pdf (საქართველოს დემოგრაფიული განვითარება გუშინ დღეს ხვალ).